პავლე თოფურია

ისევ „თეძრძი-მესხემის“ და ერთგნელის შესახებ

ანუ

ძველი ყაიმყოფლების

თბილისი
2007 წელი

ნარკვევში გაკრიტიკებულია საქართველოს ოპოზიციის და ქართველების ნაწილის უარყოფითი, თითქოს ეროვნული, სინამდვილეში ნაციონალისტური — და არა ნაციონალური — დამოკიდებულება ე.წ. „თურქი მესხების“ თავიანთ სამშობლოში დაბრუნების საკითხთან.

განხილულია საქართველოში და მის გარეთ, მსოფლიოში მიმდინარე გარდამტეხი მოვლენების ტენდენციური, კერძო ინტერესებით შეფასების უარყოფითი მნიშვნელობა კაცობრიობის პროგრესული განვითარების საქმეში. ავტორი ასეთ შემფასებლებს ყიამყრალებს უწოდებს. ვითომცდა დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, მათ არსებობასა და საქმიანობასთან შეგუება, წაყრუება, არა მარტო გაუმართლებელია, დანაშაულია იმავე კაცობრიობის წინაშე.

ტექნიკური რედაქტორი კობა ბედოიძე

© პავლე თოფურია
© „ეთნოპოლიტიკა“

„მოყვარეს პირში უბრახე–“

დიახ, ისევ; რადგანაც მათი პრობლემა, დღიდან მისი გაჩენისა, ვერა და ვერ გადაწყდა საქართველოში. გაჩნდა კი იგი, მოგეხსენებათ, 1944 წელს, როდესაც სტალინისა და სტალინიზმის თავხედური განუკითხაობის ეითარებაში სამშობლოდან აყარეს და სადღაც შუა აზიაში გადაკარგეს.

საბჭოთა საქართველოში ეს პრობლემა ვერ გადაწყდებოდა – ქართველებს ამას არავინ გეეკითხებოდა. დღეს საბჭოთა საქართველო აღარ არსებობს. პრობლემა ისევ რჩება. რატომ?

დიახ, საკუთარი სამშობლოდან გადაკარგეს. მაგრამ ვერ *დაკარგეს* – შეინარჩუნეს ეთნიკური თავისთავადობა და სამშობლოში დაბრუნებას – სამართლიანობის აღდგენას ითხოვდნენ და ითხოვენ. არც სტალინის ხანაში და არც შემდგომ, არც თანამედროვე, თავისუფალ და სუვერენულ საქართველოში მათი ეს სამართლიანი სურვილი, თხოვნა თუ მოთხოვნა უყურადღებოდ არა, მაგრამ განუხორციელებელი რჩება. რატომ, უსაფუძვლოსა და გაუმართლებელს რასმე ითხოვენ?!

რჩება დღესაც – დემოკრატიული ანუ ადამიანის უფლებების დამცველი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის დროსაც. მაშასადამე, ან ეს მშენებლობა ყალბია და მოჩვენებითი, ან აქამდე ვერ ავმაღლებულვართ და ადამიანის უფლებების დაცვა არ გვსურს.

ყალბი რომ არ არის, ამას ჩვენი კეთილისმსურველები, ამ უფლებების დაცვაში სწორედ რომ გამობრძმედილი,

პროგრესული სახელმწიფოები და საქართველოს მთავრობის, პარლამენტის უმრავლესობის პოზიცია ადასტურებს; ამ პარლამენტის უმცირესობის ანუ ოპოზიციის – ვთქვათ ასე – მცირე ნაწილისგან განსხვავებით.

დიახ, „თურქი-მესხების" სამშობლოში დაბრუნების უფლებას უარყოფენ ოპოზიციის ის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტში რომ მოკალათებულან და მომსრეები პარლამენტის გარეთაც, სამწუხაროდ, სანთლით საძებნელი რომ არა პყავთ. ჩვენ მათ ყიამყრალებს ვუწოდებთ.

აქვთ თუ არა უფლება ე. წ. „თურქ-მესხებს" დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში? ამ შემთხვევაშიც მოპასუხეს გააჩნია. მაგრამ ჯერ ეს გავარკვიოთ – რა არის 'სამშობლო"? არ არის საკამათო – ეს არის ის ქვეყანა, სახელმწიფო, სადაც დავიბადე. და თუ მას ვაღიარებ და სურვილიც მაქვს ჩემს სამშობლოში ვცხოვრობდე, ამის შეუვალი უფლებაც უნდა მქონდეს; რა თქმა უნდა, თუ მის წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის და ჩემი სამშობლოს, სახელმწიფოს კანონი ამ უფლებას არ მართმევს.

.რა დააშავეს „თურქმა-მესხებმა"?! „დააშავეს" ის, რომ მეორე მსოფლიო ომის მძვინვარების დროს სტალინი ამ ომში თურქეთის ჩარევას თუ მოახერხებდა, მაჰმადიან მესხებს ანუ ქართველებს – გნებავთ, მესხეთის მაჰმადიან (მუსლიმ) მცხოვრებლებს – თურქული ორიენტაციით ომში წარმატებისათვის ხელი რომ არ შეეშალათ, 1944 წელს ესენი თავიანთი სამშობლოდან აყარეს და გადაასახლეს. რა ექნათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იმ დროს რომ არსებულიყო კიდეც, როგორ ფიქრობთ, მათი საჩივარი იქამდე მიაღწევდა?!

დიახ, თურქეთის ომში ჩათრევამდე კი – სტალინის აზრით – მესხეთის არასანდო ელემენტისგან გაწმენდა იყო საჭირო. გაწმინდა კიდეც! აქვე ამასაც ვიკითხავთ: რისთვის, ვისი ინტერესებისთვის ყოველივე ეს – საქართველოს სსრ-ის თუ სსრკ-ის ანუ ბოროტების იმ-

გამარჯობათ, ქართველებო!

პერიის სასარგებლოდ? ამ კითხვაზე პასუხს ქართველ აშკარა თუ ფარულ სტალინისტებს ეუთმობთ; კულტით მონუსხულებს, მათდა სამარცხვინოდ, ღღესაც კი რომ ვერ დაეღწევიათ თავი ფანატიზმის ბრჭყალებისგან.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ თურქეთის ხელმძღვანელობამ სწორად შეაფასა არსებული ვითარება, ომში არ ჩაერია და მესხეთი მესხებისგან, გნებავთ, თავის მცხოვრებლებისგან გაწმენდილი დარჩა.

„თურქი-მესხების", უფრო სწორად, მაჰმადიანი მესხების, კიდევ უფრო სწორად, მესხეთის მცხოვრებთა სამშობლოში დაბრუნება დემოკრატიზმის, ადამიანის უფლებების ზეიმი იქნებოდა. საბჭოურ ხანაში ეს გამორიცხული იყო — ადამიანთა საზოგადოების ამ ღირებულებებს იგი არ აღიარებდა, არ იცავდა. ამიტომ საზოგადოებაში უმრავლესობამ არც კი იცოდა, რას წარმოადგენდა ეს ღირებულებები. არც ისტორიული საქართველოსთვის იყო ცნობილი დემოკრატიული სინამდვილე.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1989 წლის ზაფხულში, თითქოს ფრთაგაშლილი პერესტროიკის დროს, როდესაც საბჭოურ წყობას ანუ სტალინიზმს ვებრძოდით და უარვყოფდით, გადასახლებულ მესხებს ახალ საცხოვრისში გენოციდი მოუწყვეს. რატომ, რისთვის?!

ასე მოვედით ღღევანდლობამდე, როდესაც ჭეშმარიტად ძირფესვიანი გარდატეხა განვიცადეთ და განვიცდით. მაგრამ ზემოთ აღნიშნული არცოდნა დემოკრატიისა ხშირ შემთხვევაში ძალაში რჩება. ამას, ჩვენი წარსულის გათვალისწინებით, ახსნას კი მოვუძებნით მაგრამ გამართლებას ვერა. ფრიად სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ დემოკრატიის არცოდნას საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ძალუმად აელენენ. თუნდაც მესხების მაგალითი რად ღირს. რატომ ხდება ასე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წიგნი მაინც არ წაგიკითხავს და სათანადო ცოდნა თუ განათლება

ვერსად მოიძიე?! ასეთი არცოდნა, უბრალოდ, მიუტევებელია. და თუ ვიცით და საჭიროების შემთხვევაში არ ვიყენებთ, ეს უკვე იდეოლოგიური კრიმინალია. მეტიც — დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე. და ყველაფერი ეს „პატრიოტულ“ ყიამყრალობაში იმალება?!

მესხეთიდან გადასახლებულთა სამშობლოში დაბრუნების მოწინააღმდეგეთა ღოროტოტოდ, გნებავთ, რუპორად საქართველოს პარლამენტში, როგორც აღვნიშნეთ, ოპოზიციის — და არა უმრავლესობის — წარმომადგენლები გვეელინებიან. ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ ისინი, ამ შემთხვევაშიც, ქართველი ხალხის, უფრო სწორად, მისი ერთი, საკითხში გაურკვეველი ნაწილის ნებას ამოფარებულან და ამით მანიპულირებენ ანუ „ოინბაზობენ, ყალთაბანდობენ“. და თუ ასე არ არის, იმ ხალხში უნდა გავიდნენ და პრობლემის სწორად გადაწყვეტის გზები დაუსახონ. და თუ ამდენი არ იციან — სხვისგან ისწავლონ. არაფერი სამარცხვინო აქ არ არის. დემოკრატიზმის ანაბანასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ზოგიერთებისთვის ეს ანაბანა რთული ასათვისებელი გამოდგა.

თავისთავად იბადება კითხვა — რა ხალხმა მოიყარა თავი საქართველოს პარლამენტის ოპოზიციაში? საქართველოს კეთილდღეობის მათ სურვილში ეჭვს თითქოს ვერ შევიტანთ, მაგრამ როგორ ესმით მათ ეს კეთილდღეობა და რა გზებით აპირებენ მიაღწიონ მას? მესხების დაბრუნებაზე უარით? კი; მათი აზრით, ამ უარით ეროვნულ ინტერესებს იცავენ.მაგრამ ეს რომ დიქტატურაა, ძალადობაა ამას ვერ ხვდებიან?! სტალინმა აყარა და გადაასახლა. უსამართლობა ჩაიდინა. შენ უკან არ აბრუნებ. ესეც ხომ სტალინიზმი ანუ უსამართლობაა! თავს რითი იმართლებ — ერის, სახელმწიფოს ეთნიკური, სარწმუნოებრივიერთიანობის პრინციპით?!მაგრამ ამ სწორი პრინციპის ამგვარად განხორციელება რომ მცდარია,ამას რა ვუყოთ?! მაგრამ მცდარია ვისთვის?

მართლაც წარმოადგენენ ოპოზიციის ეს წამომად-

გენლები თავიანთი ამომრჩევლების ანუ ქართველი ხალხის ნაწილის ნებას? და თუ ეს ასეა, მაშასადამე, ეს ნაწილი, მის მიერ არჩეულ დეპუტატებთან ერთად, არ იზიარებს ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის და მის მიერ არჩეული დეპუტატების ანუ პარლამენტის უმრავლესობის ნებას, განზე დგას მისგან. თუ ასეთ ვითარებას სოციალურ-ეკონომიკური დაპირისპირებაც უდევს საფუძვლად, ადვილი შესაძლებელია, იგი არსებით კონფლიქტში გადაიზარდოს. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

მაგრამ როდესაც მესხების დაბრუნების კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობისგან პარლამენტში შედის და იქ – უმცირესობისგან განსხვავებით – უმრავლესობის მხარდაჭერას პოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა და მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, – ამ შემთხვევაშიც – ერთსულოვანია და არსებითად განსვავდება საპარლამენტო ოპოზიციის პოზიციისაგან.

მაგრამ იცის კი ოპოზიციის დეპუტატთა ამომრჩეველმა ქართველი ხალხის ნაწილმა საქმის არსი, სწორად ერკვევა შექმნილ ვითარებაში? და საერთოდ, ამ შემთხვევაშიც, რას ნიშნავს „სწორი“?!

როდესაც ქართველი ხალხის თუნდაც ნაწილის ნებას ამოფარებული ოპოზიციის წარმომადგენელი რიხით აცხადებს: ვკითხოთ ხალხს ეთანხმება თუ არა იგი მესხების დაბრუნებასო, ჩვენ მას, წარმომადგენელს, ვეკითხებით: – როგორ, რომელი პოზიციიდან აუხსნის იგი ამ ხალხს შექმნილ ვითარებას, რას ურჩევს – დაბრუნებას თუ არდაბრუნებას დაუჭირონ მხარი? და თუ იმავე ხალხთან იმავე შეხვედრაზე გამოსული საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ოპოზიციისაგან განსხვავებით, დაბრუნებას დაუჭერს მხარს, მაშინ ამ ხალხმა რა ქნას, რომელს დაუჭიროს მხარი? ცხადი ხდება: – აუცილებელია ეს ხალხი სწორად – ისევ „სწორად“ –

ერკვეოდეს შექმნილ ვითარებაში (იმედი გვაქვს, საკითხის ასეთი, დემოკრატიული განხილვის წინააღმდეგი არ იქნება ოპოზიციის წარმომადგენელი).

ჩვენი ანუ მთელი ხალხის მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის პრობლემას მივადექით. როგორია იგი, — დემოკრატიული, ადამიანის უფლებების დამცველი ანუ ისეთი, რომელსაც მხარს უჭერს, ამკვიდრებს, ავითარებს პროგრესული კაცობრიობა თუ ჩვენთვის ასლო წარსულიდან კარგად ცნობილი ტოტალიტარული, დიქტატორული?

თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ ეროვნულ თუ ფედერალურ სახელმწიფოს მისი მოქალაქეები შეადგენენ. და თუ ეს სახელმწიფო დემოკრატიულია, ეს მოქალაქეები, მიუხედავად მათ შორის არსებული ნებისმიერი განსხვავებისა, თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ. და თუ ეს დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფო თავის ისტორიულ — განსაკუთრებით უახლოესს — წარსულს დემოკრატიული თვალსაზრისით არ შეაფასებს და იმ წარსულში არსებულ, მისი ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულ ამკარა შეცდომებს, არასწორ, დანაშაულებრივ ქმედებებს არ აღიარებს და არ უარყოფს, ასეთი სახელმწიფო დემოკრატიული ანუ პროგრესული ანუ მოწინავე და სამართლიანი არავითარ შემთხვევაში არ იქნება. არც მისი მოქალაქეების შეგნებული ნაწილი იქნება ამაყი და თავისუფალი — წარსულის მავნე კომპლქსების გავლენას, სინდისის ქენჯნას იგი თავს ვერ დააღწევს და იმის მიხედვით თუ რომელი ნაწილის მსოფლმსედველობა, იდეოლოგია ჭარბობს, მისი შესაბამისი იქნება ამ ხალხის, ერის განწყობა, სოციალური ფსიქოლოგია. კონკრეტულად: — თუ საქართველოს სახელმწიფო არ დააბრუნებს ე. წ. „თურქ-მესხებს“ თავიანთ სამშობლოში, მის შეგნებულ, დემოკრატიული მსოფლმხედველობის მოქალაქეებში იგი ავტორიტეტით, პა-

ტივისცემით არ ისარგებლებს. ფაშისტური გერმანიიდან ასეთი მოქალაქეები გარბოდნენ. შეძლებისდაგვარად. არ არის ძნელი მისახვედრი — ამგვარ ვითარებაში ერთიანი ერი არ შეიკვრება.

ესეც კარგად არის ცნობილი — ნებისმიერი სახელმწიფო, მისი საზოგადოება აბსტრაქტული ან ზებუნებრივი ძალებით შექმნილი და განპირობებული არ გახლავთ — საკუთრივ ამ საზოგადოების, მისი ხელმძღვანელი ძალების მოქმედების, მოღვაწეობის შედეგია. თუ ეს ძალები ხედავენ — უნდა ხედავდნენ — რომ ამ საზოგადოებაში ზოგი რამ — ისტორიული უკუღმართობის გამო — არასწორად ესმით, ვალდებულნი არიან ისინი სწორ გზაზე დააყენონ. ნებისმიერი დემოკრატიული ანუ ხალხის მიერ მიღებული, მოწონებული საშუალებებით. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ეს ძალები თვითონ დგანან სწორ გზაზე.

და თუ ყოველივე ეს იცი და ხალხის სახელით კერძო, საკუთარ ინტერესებს გამოდევნებული არ აკეთებ, რბილად თუ ვიტყვით, პირწავარდნილი ყიამყრალი ბრძანდები. თუ პირდაპირ — მტერი! და თუ არ იცი, ისწავლე, სხვას დაუჯერე, კაცობრიობის ისტორიის სათანადო გამოცდილებით იხელმძღვანელე. ერთ-ერთ ასეთს — ჭეშმარიტად საამაყოს და ადამიანის მაღალი დანიშნულების მეტყველს — თანამედროვე გერმანია წარმოადგენს, თავისი ფაშისტური წარსული რომ დაგმო და თანამემამულე გერმანელი ფაშისტი კაციჭამიების მიერ მსოფლიოს ხალხების წინაშე ჩადენილი საზარელი დანაშაულისათვის მათ ბოდიში რომ მოუხადა. დიახ, მოუხადა და ამით გერმანელი ხალხი წარმოუდგენლად ამაღლდა საკუთარ და მსოფლიოს თვალში.

თქვენ კი, ბ-ნო ოპოზიციონერებო, დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან გადმომდგარხართ და საკუთარი სამშობლოდან უდანაშაულოდ გაძევებულ, განდევნილ, გაუბედურებულ, მიწიერ ჯოჯოხეთ-

გამოელილ შენს თანამოძმე და თანამემამულე მესხს თუ მესხეთის მკვიდრს კაციჭამიას და რაღას არ უწოდებ! რა არის ეს თუ არა ყიამყრალობა?! მეტიც არის – ამკარა დანაშაულია არა მარტო იმ მესხების, საერთოდ ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს წინაშე!

დიახ, მესხს თუ მესხეთის მკვიდრს. მას ქართველი ნაციონალისტები – ჩვენს შორის ასეთებიც არიან, სამწუხაროდ, – რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ არა მარტო ქართველი, არამედ, საერთოდ, მსოფლიოს ნებისმიერი სალხის, მით უმეტეს, ერის ეთნოგენეზის ანუ წარმოშობის შესახებ, ქართველად არ თვლის.

არ თვლის და, მისი მოკლე ჭკუის თანასმად, ალანიები, ბერძენიშვილები, თურქიაშვილები, ლეკიშვილები, ქისტაურები, ჩერქეზიშვილები – რომელი ერთი ჩამოვთვალოთ – ქართველები არ არიან?! მაშ, ე. წ. „ოქროს ხანის“ საქართველოს მესვეურები ბეცნი და ჭკუამოკლენი გახლდნენ, როდესაც ქურთი და შემდგომ გასომხებული მხარგრძელნი თავიანთ რიგებში რომ მიიღეს და სწორედ საქართველოს სახელმწიფოში გაერთიანებული სომხეთის „ჩრდილო მხარეთა“ მმართველებად რომ დანიშნეს?!

როდესაც ისტორიული საქართველოს ძირძველი მკვიდრი, აჭარელი ქართველი დამპყრობმა ოსმალომ არჩევანის წინაშე დააყენა – ან მიწა (მამული) ან სარწმუნოებაო, რა უნდა ექნა მას?! გააკეთა ის, რაც უნდა ექნა – მიწა (მამული) ირჩია, სარწმუნოება დათმო. ნამდვილად თუ მოჩვენებით, ამას არ განვიხილავთ. დიახ, დათმო, მაგრამ თავისი ქართველობაც ზედ მიაყოლა?! არ მიუყოლებია! არც ოსმალეთის იმპერიაში და არც დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოში მყოფ ლაზებს მიუყოლებიათ...

ოპოზიციონერი კი გვმოძღვრავს: „თურქი-მესხები“ (მისი აზრით თურქი მესხები) არ უნდა მივიღოთ – მათ

უკან ორი სახელმწიფო დგასო. ესეც — არცოდნის თუ დემაგოგიის აჭიაკოკონება. განა ოდესმე, გნებავთ, ისტორიულად, გნებავთ, თანამედროვეობაში, სადმე ყოფილა, რომ ნებისმიერი ხალხის, სახელმწიფოს უკან თუ გვერდით ვინმე არ მდგარიყოს?! გააჩნია, ვინ იყო და არის ის მდგომი, როგორი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს მას შენთან და შენ მასთან.

და თუ იმდენი არ იცის და ვერ ხედავს, რომ იმ ორი სახელმწიფოდან ისლამური თურქეთი — ქრისტიანული რუსეთისგან განსხვავებით — დღეს საქართველოს მიმართ თავის კეთილგანწყობას აშკარად რომ აელენს, ცუდად ყოფილა საქმე. თუ ასეა, მაშინ შეიძლება თუ არა დავსვათ კითხვა: — როგორ მოხვდა ასეთი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში? რატომ, რა მიზნით?!

ასეთები, თავს ურცხვად საქართველოს ინტერესების დამცველებად რომ ასაღებენ, პარლამენტის გარეთაც, დიდად სამწუხაროდ, ხმამაღლა ყიამყრალობენ. ვინ არიან ისინი, რომელი იდეოლოგიური წყაროებიდან იკვებებიან?!

ნუთუ მათ ისიც არ იციან, იმ ორის გარდა სხვებიც რომ დგანან?!

დგანან, რა თქმა უნდა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მათ დასაცავად. და როდესაც საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების სასელმწიფოებრიები ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო რუსეთის ე. წ. ფედერაციისა ეწინააღმდეგება ორივესას, ეს გახლავთ სწორედ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი და წარმმართველი ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი.

მაგრამ ასეთ რამეებს ვერ დაინახავ, ვერ ჩასწვდები ნაციონალისტურ ანუ არადემოკრატიულ ანუ კაცთმოძულე სამრეკლოდან. აბა, იმას როგორღა ჩასწვდება ვისი — ზ. გამსახურდიას თუ ე. შევარდნაძის — უდიდესი ძალ-

ისხმევის შედეგად დადგნენ თანამედროვე მსოფლიოს უმძლავრესი სახელმწიფოები პატარა და სუსტი, მაგრამ მძლავრი პოტენციის მქონე საქართველოს გვერდით თუ უკან? „პოტენციის“ მნიშვნელობას შევახსენებთ პატივცემულ ყიამყრალებს. – „ფარული შესაძლებლობა, უნარი, რომელიც შეიძლება (!) გამოვლინდეს სათანადო პირობებში“.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, შეიძლება გამოვლინდესო! მაგრამ თუ ეს სათანადო პირობები საერთოდ არ შეიქმნა, არც უნარი, არც შესაძლებლობა არ გამოვლინდება და მათთან ერთად – სულ აღვილი შესაძლებელია – მათი მფლობელიც გაქრეს.

რა ქმნის ამ სათანადო პირობებს? უმთავრესი და უპირველესი – დემოკრატიული მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის საზოგადოება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ იდეოლოგიას ანუ საერთო-სახალხო ინტერესების დაცვას მთელი საზოგადოება, და არა მისი რომელიმე ნაწილი, უნდა იზიარებდეს. და თუ არ იზიარებს, მაშინ რა ვქნათ – არგამზიარებელს, აქაოდა დემოკრატები ვართო, თავზე ხელი გადავუსვათ?!

კიო, აბა როგორო, აქოთქოთდებიან! მაგრამ როგორ დემოკრატიასთან გვექნება ამ შემთხვევაში საქმე, ეს მათ არ აწუხებთ. თუმცა, ვცდებით, აწუხებთ – ეს დემოკრატია მათს, ფულიანების და მდიდრების, და არა საერთო სახალხო ინტერესებს უნდა იცავდეს. არც ის აწუხებთ, ხალხისგან შექმნილი სიმდიდრე საერთო-სახალხო რომ უნდა იყოს. ჭეშმარიტად და არა დემაგოგიურად, ყალბად. ახლო წარსულში ეს ყველაფერი კარგად იყო ცნობილი. ახლა დავივიწყოთ?! ვის სასარგებლოდ, ვისი სურვილით დავივიწყოთ? მაგრამ არც იმ წარსულის დემაგოგია არ უნდა დავივიწყოთ...

უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მოპირდაპირედ, აღმავალი ქუჩის მარცხენა მხარეს, შენობის მეორე

სართულს დიდი, გამომწვევი ტრანსპარანტი ამშვენებდა: „იგორ გიორგაძის ფონდი". დღეს მას პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი წარწერა ცვლის: „ქირავდება".

დიახ, გამომწვევი და მრავლისმეტყველი, რადგანაც კარგად ვიცით რას წარმოადგენენ თავიანთი იდეოლოგიით მამა-შვილი გიორგაძეები, ვინ იდგა მათ უკან, რა ამოძრავებდათ მათ, ვინ აფინანსებდა ამ ფონდს და რას მოიმოქმედებდნენ მისიო დაპურებული (მსუყედ?) ამ ფონდის წევრები საქართველოში.

კიდევ დიდხანს იპარპაშებენ საქართველოშიდაუთხანები, იგორ გიორგაძეები და მისთანანი?!

ვინ, თურქეთმა თუ ერთმორწმუნე და ვითომ ძმამ და მეგობარმა რუსეთმა დაარღვია აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა?! და რომ არა თურქეთთან ერთად მსოფლიოს პროგრესული ძალების თანადგომა და მხარდაჭერა, გექნებოდათ კი, პატივცემულო ოპოზიციონერებო, საქართველოს პარლამენტი და მასში ესოდენ თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობა?! ჩვენი – და არა მარტო ჩვენი – ღრმა რწმენით არ გექნებოდათ.

მაშ, ახლა „თურქი-მესხების" საქართველოში დაბრუნებით დაუბრუნდება ნატო-ში დემოკრატიული პრინციპებით გაძაგრული თურქეთი ოსმალეთის იმპერიის ბრახვებს, დაბრუნებულ მესხებს თუ მესხეთის მკვიდრთ აგვიბუნტებს და არა მარტო მესხეთს, მთელ დასავლეთ საქართველოს – ჯერ ამ საქართველოს – წაეპოტინება? ამის თქმა გსურთ, ბ-ნო ყიამყრალებო?! ხმამაღლა თქვით, რისი, ვისი გერიდებათ?!

არსებულივითარების ობიექტურიშეფასების უნარი რომ შეგწევდეთ, თანამედროვე თურქეთსა და რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობაში ერთმანეთს არ გაუტოლებდით. რამ წაგართვათ ეგ უნარი?! ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ საინტერესოა, თქვენ რას იტყვით?

ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ არა ზემოთ აღნიშნული თანადგომა, პოსტსაბჭოური რუსეთი, საქართველოში მრავალად არსებულ „პატრიოტულ“ საზოგადოებებსა თუ „დამოუკიდებელ“ პარტიებს ამოფარებული, აქამდე დაუყოვნებლივ რომ *გადაგვიელიდა*? ვერ გადაგვიარა! ეგ კი არადა, ვითომც და ავტონომიური აჭარის, სინამდვილეში კი სტალინური სოციალისტური „საფეოდალოს“ მმართველის (მფლობელის), თავისი ყურმოჭრილი მონის, ა. აბაშიძის, სწორედ იმისი, სარწმუნო წყაროებით, საქართველოს პრეზიდენტად დასმას რომ უპირებდა, თავისი „საფეოდალოდან“ კუდამოძუებული გაძევებაც *გადაყლაპა*. მაგრამ თავისას მაინც არ იშლის და ვერ ხედავს, რომ იგივე ბედი ელით ცხინვალისა და სოხუმის ისეთსაევ „საფეოდალოების“ მფლობელებს. ვერ ხედავს და სოხუმი-ფოთი-ბათუმის ძველებურად ხელში მოგდებას ისევ ჯიუტად ელოლიავება. ნეტარ არიან მორწმუნენიო, იტყვიან.

არც არაფერი გვეშლება და უმადურობასაც ვერავინ დაგვწამებს. ძალიან კარგად ვიცით, რაც საქართველომ რუსეთის ორივე იმპერიაში დადებითი მოიპოვა. მაგრამ ისიც მშვენივრად ვიცით, როგორ და რის ფასად.

დღეს კი თავისუფალი და სუვერენული საქართველო, თავისი ისტორიული დანიშნულება რომ დაიბრუნა, ამაყად დგას პროგრესული ქვეყნების რიგში. დგას მათგან დაფასებული და პატივცემული. დგას და იცის, რომ ბოროტს უნდა სძლიოს კეთილმა. სძლევს კიდეც. საქართველოშიც და მის გარეთაც, ერაყში თუ ავღანეთში და დიდად კულტურულ და პროგრესულ – მისი აზრით – რუსეთშიც.

დღევანდელ საქართველოში კი მავანნი და არამცირენი, „სოციალისტურ“ იმპერიაში იმდენად გადაგვარდნენ, საკუთარი ღირსება და თავმოყვარეობა იმ ზომამდე

მიუნაელდათ, რომ ქართველი ერაყსა და აეღანეთში რა-
ტომ უნდა იბრძოდესო, ყიამყრალობენ (ამაზე უფრო ვრ-
ცლად — ქვემოთ). მაშ არა და, ისევ სხვამ მუქთად გას-
ვას და გაჭამოს?! საბრალონი, იმასაც ვერ მიმხვდარან,
ის სხვა მუქთად რომ არაფერს აკეთებდა. და თუ აკეთებ-
და, მხოლოდ თავის სასარგებლოდ.

დიახ, დგას და იცის, რომ ამ ძლეევის საფუძველთა
საფუძველი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების
დაცვაა.

პატიეცემულმა ოპოზიციონერებმა და მათმა გაბ-
რიყვებულმა მხარდამჭერებმა არ იციან, და თუ იციან და
დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დამცველნიც
არიან, მაშ როგორ აეხსნათ მესხეთის მკვიდრთა დაბ-
რუნების სინამდვილეში მათი საწინააღმდეგო პოზიცია
და მისი გამართლების ესოდენ სუსტი, თითიდან გამო-
წოვილი „არგუმენტები"?! — ჯერ იმ მესხების რაოდე-
ნობა გავარკვიოთ და მათი დაბრუნების კანონი შემდეგ
განეიხილოთ და მივიღოთო. ეს როგორ — *ამდენს* მი-
იღებ, და *იმდენს* არა? ეს არის დემოკრატია?! რომელი
დასაბრუნებელი, სხვის სამსახურში ჩამდგარი პირი
გეტყვის საქართველოს მტრად ვბრუნდებიო?

რომ არა პრობლემებისადმი სწორედ რომ ნაციონა-
ლისტური მიდგომა, განა ასე ძნელი მისახვედრია საკ-
ითხის მარტივად გადაწყვეტა? — დაბრუნებულები ხომ
საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქენი გახდებიან და
ამ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, კონსტიტუცია მათზეც
ისევე გავრცელდება, როგორც დანარჩენ ყველა მო-
ქალაქეზე. დაარღვევ ამ კანონს? დაისჯები! ვინც გინდა
იყო. ესეც არის დემოკრატიზმის ერთი ბურჯი უმთავრე-
სთაგანი.

აშკარად ჩანს — საპარლამენტო ოპოზიცია წინააღმ-
დეგია მესხეთის მკვიდრთა დაბრუნებისა. რატომ, რა არ
მოსწონთ მათი — განსხვავებული სარწმუნოება?

მაგრამ ხომ ვიცით, რომ იყო დრო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ქრისტიანული არ იყო. მაგრამ დადგა დრო და აშკარა გახდა, რომ ძველი, წინაპართა სარწმუნოება აღარ პასუხობდა ამ სახელმწიფოს მოთხოვნილებებს და მისმა მესვეურებმა, სწორად რომ განჭვრიტეს აწმყო და მომავალი, სახელმწიფო რელიგიად ახალი სარწმუნოება, ქრისტიანობა გამოაცხადეს. ეს იყო მათი სწორი სახელმწიფოებრივი აზროვნების, ქმედების უტყუარი ნიშანი. ვიცით, რომ ეს მოხდა IV საუკუნის პირველ მესამედში. მაგრამ ისიც ვიცით — უნდა ვიცოდეთ — რომ XII საუკუნეშიც კი, თამარ მეფის „ოქროს ხანაში", საქართველოს მთიანეთში ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდნენ ახალ სარწმუნოებას. ამკვიდრებდნენ ძველის, დრომოჭმულის, წარმართულის ნაცვლად. საჭირო იყო და ამკვიდრებდნენ. მაგრამ სრულად და გადაჭრით ვერ დაამკვიდრეს — ძველის რაღაც ნიშნებმა იქ აქამდე შეინარჩუნეს თავი. მაგრამ იგი დღეს ხელს აღარ უშლის არც ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას და, მით უმეტეს, არც საქართველოს სახელმწიფოს. მათი ურთიერთობის თვალსაზრისით კი ვეებერთელა მნიშვნელობის ნაბიჯი გადაიდგა — ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს.

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო რელიგიურ პოლიტიკად რწმენის თავისუფლებას აღიარებს. ესეც დიდი პროგრესული, დემოკრატიული მიღწევა გახლავთ. ზოგიერთს არც ეს მოსწონს. გასაგებია რატომ — საკუთარი ბონებრივი შეზღუდულობის, ვიწრო მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის, „პატრიოტულ" პოზიციაზე დგომის გამო. მერედა საიდან მოვიდნენ, ვისი — მამაზეციერის — ნებით გაჩნდნენ ყველა ესენი XXI საუკუნის საქართველოში?!

ჭეშმარიტად დიდი პიროვნების და ასეთივე მეფის, დავით აღმაშენებლის რელიგიური პოლიტიკითაც მხ-

ოლოდ სიტყვიერად ვიკოკობზიკოთ?! თუნდაც რუისურბნისის კრება რად ღირს! ეს ის კრება გახლავთ, რომლის <<გადაწყვეტილებით დაუნდობლად (!) გამოაძევეს ეკლესიიდან „უღირსად გამოჩინებულნი“ და მათ ადგილზე „ჭეშმარიტნი მწყემსნი“ დაადგინეს>>. მოვიწონოთ თუ არა საერო ხელისუფლების ასეთი დაუნდობლობა?!

თამარ მეფის დროს კი რა ხდება? – „ეკლესიაში შექმნილი არასასურველი ვითარების“ „გამოსასწორებლად“ მოწვეულმა საეკლესიო „კრებამ ზოგი ვინმე არასასურველი ეპისკოპოსი გააძევა მაღალი თანამდებობიდან, მაგრამ კათალიკოზს ვერაფერი დააკლო (!): ის ვერც გადააყენეს და მას ვერც მწიგნობართუხუცესობა დააგოვებინეს“.

მხოლოდ ერთი კითხვა: – მაშ, საერო ხელისუფლება უძლურია სასულიეროს წინაშე?!

და ეს – „ოქროს ხანაში“?! ვისთვის იყო იგი „ოქროსი“, იქნებ დაყმევებული გლეხობისთვისაც?! ესეც სრულიად გარკვეული ყიამყრალობაა, „პატრიოტულად“ მომართული ისტორიკოსებისა თუ სხვა *ინტელიგენტებიდან* წამოსული. ვთქვათ და ვწეროთ ის, რაც ობიექტური ანუ ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების სინამდვილეში იყო და არის. ასე რომ გვექნა, – პირველ რიგში ისტორიკოსებს – დღეს, XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოში, მონარქიის აღდგენის თუ კონსტიტუციური მონარქიის დაარსების მოთხოვნით არ გამოვიდოდნენ პოლიტკური თუ სხვაგვარი ყიამყრალები დემოკრატიულ ანუ *ხალხის* მმართველობის საქართველოში. სწორედ იმ ხალხის, რომელსაც იმ კლასობრივ საქართველოში, რბილად თუ ვიტყვით, ანგარიშს ნაკლებად უწევდნენ.

ისტორიის პირუთვნელი ანუ ობიექტური ანუ საერთო-სახალხო და არა ცალკეული სოციალური კლასების თუ ფენების ინტერესებიდან შესწავლა ზოგიერთები-

სთვის არასასურველ შედეგს გვაძლევს.

თანამედროვე საქართველოში რა ვითარება გვაქვს – ზოგიერთი არასასურველი (არასასურველი იმავე საერთო-სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე) პიროვნება, ნებავთ, პიროვნებათა ჯგუფი („პარტია", „ფრაქცია", დაჯგუფება) დაკავებული თანამდებობიდან და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან დღესაც ვერ გაგვიძევებია?! რატომ? – ჩვენი დემოკრატიულობის გამო?! მაშ, დემოკრატია, ამ შემთხვევაშიც, საერთო-სახალხო ინტერესების წინააღმდეგ და – საერთო ჯამში – დემაგოგებისა და ყიამყრალების სასარგებლოდ მოქმედებს?! მაგრამ, კონკრეტულად, ეკონომიკური თვალსაზრისით (სოციალურად ჯერ არ ჩამოყალიბებულან) ვინ არიან ისინი?!

დიახ, მოქმედებს იმიტომ, რომ იგი საერთო-სახალხო კი არა, *სხვაგვარი* დემოკრატია გახლავთ...

და თუ დავით აღმაშენებელს, შუა საუკუნეების ბნელეთში, მტრულ გარემოცვაში მოქცეულს, შესწევდა ძალა შემწყნარებლურთან ერთად (ისლამთან დამოკიდებულებაში), ქვეყნის შიგნით მკაცრი, შემტევი რელიგიური (საეროს შესახებ არას ვიტყვით) პოლიტიკა გაეტარებინა, ჩვენ, მის უშუალო მემკვიდრეებს, ანუ საქართველოს საზოგადოებას XXI საუკუნეში მოწინავე პროგრესული ქვეყნების მხარდაჭერის ვითარებაში, ეს ძალა ვინ წაგვართვა?! ვისი, რისი გვეშინია?! თუ ძია სემი და მასთან ერთად მისი მსგავსი ევროპა – თავისი დემოკრატიულობის გამო – არ გვაძლევს ამის უფლებას?!

გასრულდა, წარსულს ჩაბარდა „სოციალისტური" ბნელეთი თავისი მოჩვენებითი კეთილდღეობით, როდესაც ხელს ვერავინ გვასლებდა ჩვენც, საქართველოს სსრ-ს. დიახ, ვერავინ, რუსის გარდა, რომელსაც თავის სარუსიფიკაციო *ეოტჩინად* მიაჩნდა მთელი ეს უზარმაზარი სსრკ. ამას დღესაც ვერ მიმხვდარა „პატრიოტ" ქართველთაგან მრავალი და იმ კეთილდღეობას მისტირის.

...ยังไงก็ขอให้ลูกรักของแม่ได้ดีเถิด

ამჟამად დიალექტიკურად რთულ, ძნელ ვითარებაში (მარტივი და ადვილი იყო კი ოდესმე?!), რუსის ზედამხედველობიდან თავისუფალთ, ჩვენი თავი ანუ ჩვენი სახელმწიფო ჩვენვე გვეკუთვნის. ვივარგებთ? — მასში ჭეშმარიტ კეთილდღეობას დავამკვიდრებთ. არადა, — საკუთარ თავს დავაბრალოთ...

მხსნელი და შემწე ასეთ ვითარებაში ერთია მხოლოდ — ჭეშმარიტი დემოკრატია და ადამიანის უფლებების განუსრელი დაცვა. ნებისმიერი ადამიანის — საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეს რომ წარმოადგენდა და წარმოადგენს.

დიახ ვისი, რისი გვეშინია?! ვაი-პატრიოტებს, დემაგოგებსა და ყიამყრალებს ავყვეთ, ასეთ პოლიტიკაზე უარი ვთქვათ და ჯერ საკუთარი თავის, ხოლო შემდეგ იმ ქვეყნების წინაშე თავი შევირცხვინოთ?!

არც მესხებს, არც სხვებს საქართველოში მაჰმადიანური რჯული (ისლამი) თავისი ნებით არ მიუღიათ. ძალდატანებით მიაღებინეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შუა საუკუნეებშიც ქართული ცივილიზაცია თავის რელიგიურ მრწამსს საკუთარი შეგნებით აღიარებდა და იცავდა. სახელმწიფოს მეოხებით, რასაკვირველია.

იმ დროს ასე იყო საჭირო. დღეს სხვა დროა — არსებითად შეცვლილი.

ვიცით, რომ ბნელეთის ანუ ტოტალიტარიზმისა და დიქტატურის უარყოფა დემოკრატიის დამკვიდრებას ნიშნავს. ასეა პროგრესულ, საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონის ქვეყნებში. ეს პიროვნების, ადამიანის თავისუფლებას გულისხმობს. სარწმუნოებაშიც. გულისხმობს პირველ რიგში იმიტომ, რომ ასეთ ქვეყნებში ერის, სახელმწიფოს თავისთავადობის, არსებობის შენარჩუნება ამ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის, ყოველი მოქალაქის საზრუნავი ხდება. იმ შემთხვევაში, ამ მოქალაქეებს ეს სახელმწიფო თავისად თუ მიაჩნი-

ათ და მისით კმაყოფილნი არიან. და რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფო – მეტნაკლებად – ეთნიკური, და შესაბამისად, სარწმუნოებრივი სიჭრელით ხასიათდება (საქართველოც მათ შორის), ასეთ ვითარებაში რწმენის თავისუფლება ამ სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ხდება, ასეთი სახელმწიფოს ინტერესებს ყველა მისი მოქალაქე, განურჩევლად მათ შორის არსებული ყოველგვარი განსხვავებისა, იცავს. ეს არის მათი უპირველესი მოვალეობა. და თუ არ იცავს ანუ კანონს არღვევს, უნდა დაისაჯოს. მოქალაქეობის, ესე იგი, ამ სახელმწიფოში ცხოვრების უფლების ჩამორთმევითაც. არ მოგწონს ასეთი სახელმწიფო? კარები ღიაა – წადი და იცხოვრე იქ, სადაც მოგწონს; ადამიანის უფლებების შესაბამისადაც. დიახ, წადი – ვინც გინდა იყო. დავრჩებით ისინი, ვინც ამ სახელმწიფოს ვაღიარებთ და მის კონსტიტუციას ვიცავთ. და თუ დღეს ეს კონსტიტუცია არ მოგვწონს, ჯერ ეს გავარკვიოთ, ვის და რატომ არ მოსწონს და შემდეგ შევცვალოთ, შევასწოროთ. ხელს ვინ შეგვიშლის? აქაც ვლინდება საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსი, ბუნება, დანიშნულება.

დღეს „თურქი-მესხები“ საქართველოში დაბრუნებას ითხოვენ. ამ უაზრობას („თურქი-მესხები“), როგორც ხედავთ, ჩვენც ვხმარობთ; თუმცა აუცილებლად ბრჭყალებში. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. თუ მესხია, თურქი როგორღა არის, ხოლო თურქი მესხი ვერანაირად ვერ იქნება. ბოლო დროს ამ მიმართებითაც სწორდება საქმე – „მაჰმადიანი (მუსლიმანი) მესხი“ მკვიდრდება. ისევე, როგორც დამკვიდრებულია, რეალობაა „მაჰმადიანი აჭარელი“. ერთიც და მეორეც (შეიძლება ითქვას, მესამეც „კათოლიკე ქართველი“) საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიის შედეგი გახლავთ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ქართველები არ არიან?!

ენა, მამული, სარწმუნოება. სამების ამ ერთიანობაში რომელია მთავარი, რა განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულობას? პირველ რიგში სწორედ რომ ენა და მხოლოდ შემდეგ მამული ანუ ის ტერიტორია, ქვეყანა, რომელშიც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ცხოვრობენ. რაც შეეხება სარწმუნოებას, იგი, როგორც ენახეთ, დროთა განმავლობაში, საჭიროებისდა შესაბამისად, შესაძლებელია, შეიცვალოს.

და თუ ამ მამულიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო სხვადასხვა დროს გადაკარგული ადამიანები, თავიანთი მამული და *ქართველობა* რომ არ დავიწყებიათ და *სამშობლოში* დაბრუნება სურთ, უარით გავისტუმროთ?! ასეთ მსურველებს ევროპა-ამერიკიდან თუ სიხარულით და ხელგაშლით ვეგებებით, მესხებმა, გნებავთ, მესხეთის მკვიდრმა მუსლიმანებმა რა დააშავეს? მხოლოდ ის, მართლმადიდებელი ქრისტიანები რომ არ არიან?! მაგრამ ისინი ხომ – ევროპა-ამერიკიდან მობრუნებულთა მსგავსად – *სამშობლოში* დაბრუნებას ითხოვენ.

დიახ, რა დააშავეს – მხოლოდ ის, მრავალნი რომ არიან?!

და თუ დავით აღმაშენებელი არ შეუშინდა საქართველოში ყოველმხრივ – ენით, სოციალურ-ეკონომიკურად, კულტურულად განსხვავებული, საზოგადოებრივი განვითარებით *ჩამორჩენილი* ყივჩაღების *არამცირედი* რაოდენობის ჩამოსახლებას, მაშ, ჩვენ, მის უშუალო მემკვიდრეებს, რატომ გვაშინებს ჩვენი სისხლი და ხორცი ქართველების თავიანთ სამშობლოში დაბრუნება?

დავით აღმაშენებლის საქართველოს ნუ შევადარებთ დღევანდელ საქართველოსო, მოგვახსენა ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა. ასე მხოლოდ იგი არ ფიქრობს. სამწუხაროდ.

ესეც ერთ-ერთი შედეგი ისტორიის სუბიექტური, გაზვიადებული შესწავლისა, თანამედროვეობას წარსულის

მონა-მორჩილად რომ აქცევს.

ისტორიის ობიექტური შესწავლა კი,მოგეხსენებათ, არ ნიშნავს წარსულის წინაშე ქედის მოხრას, არც მის კერპად დასმას.

ნუ შევადარებთო. რატომ, ბატონებო? თუნდაც დავით აღმაშენებლის საქართველო, ყველა განზომილებით, განა უფრო მძლავრი იყო, ვიდრე თანამედროვე?! და რომ დავით აღმაშენებელს ის *აქცია* ჩაშლოდა, რა ემუქრებოდა იმდროინდელ საქართველოს, ამის თაობაზე თუ გიფიქრიათ, ბატონებო? არ ჩაეშალა. არც ჩაეშლებოდა!

კი, მის დროს საქართველო, მთლიანობაში, გაცილებით უფრო ჯანმრთელ საზოგადოებრივ სხეულს წარმოადგენდა ვიდრე თვით თამარის დროინდელი „ოქროს ხანისა“ და, მით უმეტეს, შემდგომი ხანის „საქართველოებისა“. ჯანმრთელს იმიტომ, რომ დავით აღმაშენებელს, იმ საზოგადოებასთან ერთად, ჭეშმარიტად შესწევდა ძალა მოეთოკა და დაეთრგუნა *ყოველი*, ვინც კი ქვეყნის ერთიანობას და წინსვლას ხელს უშლიდა.

ხოლო თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს, ქართულ საზოგადოებას მთლიანობაში თუ ასეთი ძალა არ გააჩნდა და არც გააჩნია, მაშ როგორ, რატომ მოხდა ის, რაც ამ საზოგადოებაში უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში მოხდა? და ვინც ამ მომხდარს ვერ ხედავს, მხოლოდ საკუთარი ვიწრო, ჯგუფური – სოციალურ ფენას და, მით უმეტეს, კლასობრივს მას ვერ უწოდებ – ინტერესებით გამოწვეული სიბეცის გამო.

დავით აღმაშენელი თავის *ოპონენტებს* მახვილით უსწორდებოდა (თუნდაც, ბაღვაშების საგვარეულო გავიხსენოთ).

ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს მეფეები კი არა, როგორც არ უნდა იყიამყრალონ, მაინც ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს

მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტები – რომელ – შუა საუკუნეების ბნელეთის თუ სტალინური დიქტატურის – გზას დასდგომოდნენ და თავიანთი ანუ საქართველოს მოწინააღმდეგენი პირწმინდად გაენადგურებინათ?!

თუ უნარი შეგვწევს, მომხდარი ობიექტურად შევაფასოთ.

მხოლოდ ერთი კითხვა: – საჭირო იყო თუ არა იმ სამეულის (კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა) თავიდან მოცილება და როგორ შეძლო ეს შეეარდნაძემ?

ობიექტურად, მიკერძოების გარეშე ანუ საქართველოს ინტერესების პოზიციიდან განვიხილოთ – თუ ამის უნარიც შეგვწევს – ასევე ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნება და დავსვათ კითხვა: – რამ გამოიწვია მისი კრასი?

ობიექტური პასუხი – ყიამყრალთაგან განსხვავებული – მხოლოდ ერთია: მან ვერ გაამართლა ქართველი ხალხის გულწრფელი, უდიდესი ნდობა. ვერ გაამართლა *არადემოკრატიულ*, ვიწრო კლანობრივი ინტერესების დაცვის გზაზე დამდგარმა. ხოლო თუ მის დიქტატორულ – ვთქვათ ასე – გადახრებს ხალხის ინტერესების დამცველად მივიჩნევთ, მაშინ ამ გზაზე ის გადაჭრით, მტკიცედ უნდა დამდგარიყო. ასე არ მოხდა. ვერც მოხდებოდა – ამას ცოდნა, პოლიტიკური ალღო, იმავე – თავის შეცდომაში ახლა უკვე დარწმუნებული – სალხის მსარდაჭერა სჭირდებოდა.

დიახ, ძალა ყოველთვის იმარჯვებს. ოღონდ თუ იგი უსამართლოა, უეჭველად დამარცსდება! საბუთად ამისა ყველაზე უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი – სსრკს ისტორია ინებეთ.

მაგრამ ჭეშმარიტად სამწუხარო ის არის, რომ ყოველივე ამის და ბევრი სხვა რამის დანახვა, აღიარება ყიამყრალებს და მათ აყოლილთ არ სურთ, არ ძალუძთ.

და თუ სურთ და ძალუძთ, ამ კითხვასაც უპასუხონ –

როგორ მივიღეთ თანამედროვე საქართველო თავისი პარლამენტით და პარლამენტი თავისი ოპოზიციით? სწორედ იმ დემოკრატიული ღირებულებებით. კერძოდ, სიტყვის თავისუფლებით, დაუბრკოლებლად რომ სარგებლობენ და თავის აზრს, შეხედულებას, პოზიციას, – თუნდაც მესხეთის მკვიდრთა დაბრუნების თაობაზე, – ხმამაღლა, საჯაროდ მოგვახსენებენ ოპოზიციონერები პარლამენტშიც და მის გარეთაც.

რასაკვირველია, ზ. ვამსახურდიას პატრიოტობასა და საქართველოს სიყვარულში ეჭვს ვერავინ შეიტანს. ამ სიყვარულსა და პატრიოტობას მრავალი ჩვენგანი, ალბათ, ყოველი ქართველი დაიქადნის... მაგრამ ყველას *საკუთარი* საქართველო გვაქვს და გვიყვარს?! მერედა რა არისო ამაში ცუდი, შემოგველაზღანდარება დემაგოგიაზე ამხედრებული ყიამყრალი. ისეთიც, პარლამენტის ტრიბუნაზე ოპოზიციურად რომ კრიახობს, ქუთაისელი ქურდი და ხაზინის ვირთხები რატომ დააპატიმრეთო.

არა, ცუდი არაუერია, ამ პრინციპს თუ დავიცავთ – ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. ეს კი – პოლიტიკაშიც – მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც საკუთარი ჯიბის და „პარტიის“ თუ სხვადასხვა დაჯგუფების ინტერესებს საზოგადოებრივზე, მთელ ხალხზე მაღლა არ დავაყენებთ.

ცოტა რამ თუ გესმის, ყიამყრალობა კი არა, საქმიანი კრიტიკაც ადვილია. მიზნებსაც მშვენიერს დასახავ. მათი განხორციელებაა *ცოტა* ძნელი საქმე.

ჩვენ კი, დიდად კულტურული ქართველები, წარსულით უმაქნისად მოამაყენი, რასაც წარმოვადგენთ, უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში თვალსაჩინოზე მეტადაც კი წარმოჩნდა. მაშ, საიდან ის „სოციალისტური“ „კულტურა“?! „სოციალიზმით“ განავარდებული რუსის მოღერებული კეტი ქმნიდა, მტკიცედ რომ ეპყრა სტალინ-

ისა და სტალინიზმის ვითარებაში?! და რომ არა... აღარ გავაგრძელებთ. გამგები გაგვიგებს.

არაფერი მოულოდნელი ყოველივე ამაში – ისტორიული მატერიალიზმის შუქზე თუ განვიხილავთ – არ არის.

რაც შეეხება თანამედროვე საქართველოს, ეიცით, აგვიქოთქოთდებიან – იგი სადღაა, შაბაშ, გაიყიდაო!

უცნაურია პირდაპირ – რა ხანია ეს „უბედური" საქართველო იყიდება. იყიდებოდა იგი ასი წლის წინათაც ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტის აზრით და სიტყვით. მაგრამ არ იქნა და არ გაიყიდა. რატომ, – უხარისხო საქონელს მუშტარი არ გამოუჩნდა?!

თუ გინდა შენს ქვეყანაში ეთნიკურად, ეროვნულადაც ფეხზე მყარად იდგე, შენი დასლი შენ უნდა დადგა და მის უკან შენვე უნდა დადგე. მასთან უცხოთ მოსულმა თავისი უცხოობა მკვეთრად უნდა იგრძნოს და თუ შენი ენა არ იცის, შენი ქვეყნის მოქალაქეობა ვერ უნდა მიიღოს.

ეს ხომ ნაციონალისტობაა, ახლა ამ პანგზე აგვიქოთქოთდება შინაური თუ გარეული დემაგოგი და ყიამყრალი. იქოთქოთოს. ეს სწორი პოზიციაა და ვინც ამ საკითხში ობიექტურად ერკვევა, მას ვერ უარყოფს.

დიახ, ვერ უნდა მიიღოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი საქმიანობა აქ, შენს ქვეყანაში, წარმატებით ვერ განვითარდება, შენ შენს ენაზე ვერ დაგელაპარაკება, საზოგადოებრივ საქმიანობაში ვერ ჩაერთვება; ორი ღერი ინგლისური ან ჩინური – ხვალ და ზეგ მათ სხვაც რომ მიემატება – შენ კიარა,მან – და არა ორი ღერი– შენი ენა უნდა ისწავლოს. თუ არა და არჩევანის წინაშე დადგება – ან ენა ისწავლოს ან აქაურობას გაეცალოს.

მაგრამ დიალექტიკური „მარილი" სწორედ ის გახლავთ, რომ მისი გაცლა და შენ შენი ენის ამარა დარჩენა ხელს არ მოგცემს. და თუ გსურს, პროგრესული განვითარების თანამედროვე დონეზე იდგე, რაც შეიძლება მეტი ენა უნდა იცოდე. არა მშობლიურის უგულებელყ-

ოფით, ცხადია.

ასე რომ, თუ იმ „მარილს“ ეონიერულად მოისმარ, შენს ბედს ძაღლი არ დაპყეფს. საამისოდ კი შენ გაცილებით მეტი შესაძლებლობა გაქვს, ვიდრე იმ ინგლისელსა თუ ჩინელს – საქართველოს და აქვე, ყურის ძირში, კავკასიის ეთნიკურ სიჭრელეში უამრავ ენებს შეისწავლი. იაფად და ადვილად.

ვის სჭირდება შენი ავარიული (ხუნძური), აზერბაიჯანული, აფხაზური, მეგრული, სვანური, სომხური, ქართული და ა. შ. ენებიო – თუ ისევ აქოთქოთდება ჩვენი ნაცნობი დემეგოგი თუ ყიამყრალი, ვეტყვით: – მეცნიერებას, განათლებას, კულტურას სჭირდება. და როდესაც მე, ინგლისურის მცოდნე ქართველი შექსპირს დედანში წავიკითხავ, დავდგები თუ არა ქართულის არმცოდნე იმ ინგლისელზე მაღლა, ვისთვისაც „ვეფხისტყაოსანი“ დედანში მიუწვდომელია? პატივცემული დემაგოგი რას იტყვის?

ამ მიმართებით სხვაც ბევრი ითქმის. მთავარი ის არის, არასწორ, იმპერიულ პოზიციაზე არ დავდგეთ.

დღევანდელ საქართველოშიც კი, თავი განათლებულად და მეცნიერადაც რომ წარმოუდგენია, ბევრი, იმ პოზიციაზე მდგომი, გაიძახის: მეგრული და სვანური ენები არ არისო. საიდან ჩასწყდა მათ სასმენელს ასეთი რამ – იმ ქართველ ვაი-მეცნიერთაგან ხომ არა, დღესაც ამგვარი გზებით რომ ფიქრობენ ქართველური ტომების და საქართველოს ერთიან ერად და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას?! აბა, ესენი მესხეთის მკვიდრთა სამშობლოში, საქართველოში დაბრუნებაზე ყაბულს როგორ იქნებიან?.. ზემოთ თქმულს მივუბრუნდეთ.

დიახ, ან ენა ისწავლოს ან აქაურობას გაეცალოს. მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების ამ რთულ, თანამედროვე პროცესს ადგილობრივი საქმის კაცი, ბიზნესმენი, ძნელად ან სულაც არ აჰყვება – იცის, მისი ბიზნესი იმ უცხოელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და,



ისევ კარვებში...

თავისი დაბალი ეროვნული თვითშემეცნების გამო, იმ ორ ღერ უცხო სიტყვას მხოლოდ თვითონ ისწავლის; ამასვე იმ უცხოელს არ, ვერ მოსთხოვს მასმე დამოკიდებულების გამო. არ ესმის, ამით თავის ქართველობას და საქართველოს სახელმწიფოს ძირს რომ უთხრის.

ამას ემატება სახელმწიფოს, ასე ვთქვათ, პროზაული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც თავისი მოქალაქეების ხორციელ და სულიერ გამოკვებას თუ ცდილობს – სხვაგვარად იგი შენი სახელმწიფო ვერ იქნება – ცარიელ, აუთვისებელ მიწებს და სხვა – საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად – მკვდარ სამრეწველო თუ სხვა ობიექტებს ვერ იგუებს და შენ, ადგილობრივმა თუ არ აითვისე და გააცოცხლე – რაც არსებულ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია – იძულებული ხდება იმ უცხოელს, გნებავთ, ინვესტორს მიჰყიდოს, მიაქირაოს და ა. შ.

მაგრამ ის ეროვნული თვითშეგნება მასაც, შენს სახელმწიფოსაც თუ სუსტი არა აქვს, ეს ინვესტირება ეროვნული ინტერესების საზიანოდ არ უნდა წარმართოს. და თუ შენ, იმ შემეცნების მაღალი დონის მქონე, ხედავ რომ წარმართავს – დღეს მშვიდობიანი ღონისძიებებით, როგორც იტყვიან, აქციებით წინ აღუდექი და ნუ წაამართვინებ. ხვალ კი შენი სახელმწიფოს მართვის ორგანოებში ასეთს თავისი „პარტიების“ წევრებით საერთოდ ნუ აირჩევ. ხელს ვინმე, რამე გიშლის?!

დიახ, გიშლის. – დაბალი ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება და მისგან გამოწვეული მიუტევებლად დაბალი მოქალაქეობრივი აქტიურობა. განსაკუთრებით არჩევნების დროს.

მაგრამ ამდენი არ შეგიძლია და პარლამენტში მოკალათებულმა ადვილი გზა – ყიამყრალობა – აირჩიე. სახელმწიფოში არსებული დემოკრატიზმი ამის შესაძლებლობას ნამდვილად გაძლევს. სხვა მეტი რაღა გინდა და პარლამენტს გარეთ – შენდა საბედნიეროდ და

ქვეყნის საუბედუროდ – საკმარისზე მეტად არსებულ შენისთანებთან ერთად ყიამყრალობ და ჭიჭყინებ – საქართველო იყიდებაო! ერი იღუპებაო და ა. შ.

სად არის გამოსავალი? – თითოეული ჩვენთაგანის სწორი – ისევ „სწორი" – ეროვნული, მოქალაქეობრივი შეგნების, პოლიტიკური აქტიურობის, განათლების დონის განუხრელი ამაღლება. მაგრამ ეს როგორ შევძლოთ, ვის დაეუჯეროთ, სად და ვისგან ვისწავლოთ – იდეოლოგიურად პირწმინდად გაკოტრებული ბოლშევიკყოფილ „ინტელიგენტ" პროფესორთაგან, ეროვნული დროშის მიმჩემებელი, თანამედროვე, იდეოლოგიურად და, მაშასადამე, შემოქმედებითად და ორგანიზაციულად კრიზისში მყოფი ქართველი მწერლებისგან, ყიამყრალობისა და ჭორაობის ასპარეზად გადაქცეულ პრესისგან – უმეტეს შემთხვევაში რომ იმსახურებს მსაზღვრელს „ყვითელი", უამრავ „პარტიულ" ლიდერთაგან თუ ვისგან, სად?! იქნებ საჯარო და უმაღლეს სკოლამი?

სწორედ აქ იჩენს თავს ყოველმხრივ გამართული, ჭეშმარიტად ერთიანი, ეროვნული, საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, გნებავთ, დოქტრინის აუცილებლობა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს, სრულიად საქართველოს ყოველ მოქალაქეს სწორედ რომ ერთი საქართველო უნდა გექონდეს. ისეთი, რომელშიც დემოკრატია, ეროვნული თანასწორობა, რწმენის თავისუფლება, ადამიანის უფლებების დაცვა საქმიანად, რეალურად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ წვრილმანში რომ განხორციელდება და არა პროგრესის ამ ფუძემდებლური ნიშანსვეტებით მეშჩანურად თუ ვიკოკობზიკებთ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ერთობ რთული, ძნელად განსახორციელებელი პროცესია. განსაკუთრებით ჩვენთვის, სულ ახლახან რომ შევდგით ფეხი დემოკრატიის გზაზე.

და რომ ამ გზაზე ამ მოკლე ხანში, ბოროტების იმპერიაში გათანგულმა, საქართველოს საბოგადოებამ საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია, ქართველი ხალხის ინტელექტუალური შესაძლებლობის შედეგია. იგივეა მისი მომავალ წარმატებათა საწინდარი.

ცხადია, ყველაფერი ეს რთული პროცესია. მაგრამ მას ჩვენთვის, არა მარტო პატარა ერებისათვის, ხელსაყრელი ნიშან-თვისებებიც გააჩნია. სწორედ ის, აღნიშნული მონაპოვრები, რომლებიც მისი – თანამედროვე ევროპელის – სიამაყის საგანს სამართლიანად წარმოადგენს და საკუთარ სახლში დიდის რუდუნებით იცავს. მათი დაცვა უნდა მოვთხოვოთ, მათით უნდა „გამოვიჭიროთ" საქართველოში ინვესტორად თუ სხვა – რა თქმა უნდა, კეთილი – მიზნით შემოსული უცხოელი ანუ ქართულის არმცოდნე, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს უპირისპირდება და რომელსაც იმ მონაპოვრების დაცის აუცილებლობას აქ არავინ და არაფერი არ აიძულებს. რატომ – ჩვენი გაუბედაობის, მლიქვნელობაში გადასული სტუმართმოყვარეობის („მეტისმეტი – თავში რეტიო") თუ პრობლემის გაუთვითცნობიერების გამო?! როგორც ჩანს, სამივეს გამო. და როდესაც ვაიძულებთ... საქართველო აღარ გაიყიდება.

იძულებას კი აიტანს, არსად გაიქცევა. კაპიტალის ბუნების გამო, მუდმივ ბრუნვაში ყოფნას რომ მოითხოვს ცნობილი პრინციპით – ფულმა ფული უნდა აკეთოს. კაპიტალისტურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დღეს უკვე ეს კეთება ჭირს – ბაზარი, მოთხოვნილება ათვისებულია, დაკმაყოფილებულია. მაშასადამე, კაპიტალმა ახალი ბაზრები უნდა ეძიოს. ეს გახლავთ კაპიტალიზმის დიალექტიკა. და თუ მას ობიექტურად (და არა საბჭოურად) შევიცნობთ და ისე გამოვიყენებთ, რომ არც მწვადი დავწვათ და არც შამფური – საქართველო არ გაიყიდება.

მეტი თავდაჯერება და პრინციპულობაა საჭირო თუნდაც თანამედროვე მსოფლიოსათვის საქართველოს (კავკასიის) ჭეშმარიტად უნიკალური სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. ვიცით – და ეს ცოდნა დასავლეთთან პარტნიორული, თანასწორი ურთიერთობის საფუძველი უნდა იყოს – რომ საქართველო სწორედ ის კარიბჭეა, რომლის გავლითაც დასავლეთი პირდაპირი, უმოკლესი გზით – ოდიოზური (დღეს იგი ასეთია) რუსეთის გვერდის ავლით – შუა აზიას და იქით ინდოეთს, ჩინეთს და შორეულ აღმოსავლეთს რომ უკავშირდება.

დიახ, „აბრეშუმის გზაო". შუა საუკუნეების ბნელეთში ოსმალეთის იმპერიამ რომ გადაკეტა, შავი ზღვა თავის ტბად აქცია და... საქართველოც უკიდურესად დაძაბუნდა. (ცხადია, არა მხოლოდ ამიტომ)

დღეს კი იმ იმპერიიდან შემორჩენილი თურქეთის სახელმწიფო ისევე სარგებლობს მის ყურისძირში არსებული ამ კარიბჭით, როგორც – აუჰ, სად მდებარე ამერიკის შეერთებული შტატები.

მაგრამ ესეც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კარიბჭეს ანუ საქართველოს მოსდგამს სწორ გზაზე ანუ დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობის მქონე აზერბაიჯანი და არა – აზერბაიჯანს საქართველო.

ეს კარგად უნდა ვიცოდეთ პირველ რიგში თბილისში და შემდეგ ბაქოშიც, ანკარაშიც, მსოფლიოს მნიშვნელოვან დედაქალაქებშიც და, რაღა თქმა უნდა, ერევანსა და თეირანშიც. მოსკოვი ამ გლობალური პოლიტიკიდან თავის თავს დაბეჯითებით რომ რიყავს და ნაჭუჭში ექცევა, ამას ვერ ხედავს თავისი იმპერიული ამბიციებით გამოწვეული სიბეცის გამო. როგორ არ გაგახსენდეს – „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

საქართველოში კი მრავალს დღესაც ასეთი რუსეთისკენ უჭირავს თვალი. „პატრიოტულად" განწყობილი ძალების ზეგავლენითაც. არ უწყიან, პოლიტიკა და

ეკონომიკა ოდითგანვე განუყრელი წყვილირომ არის, ცხოვრება, გნებავთ, მსოფლიო „ქარავანი“, თავისი გზით განუხრელად რომ მიემართება და რომ პუტინის რუსეთიდან ბიზნესის საკეთებლად ჩასული ქართველების გამოძევება მათთვის ეგებ ჭკუის სასწავლად გამოდგეს.

ასეთი პოლიტიკის მოწმე ჩვენი პატივცემული ყიამყრალებისგან მესხეთის მკვიდრთა დაბრუნებაზე უარი რაღა გასაკვირია. მაგრამ რუსეთის გარდა ისინი თავიანთი ვიწრო, ნაციონალისტური ჭუჭრუტანიდან სხვას ვერაფერს ხედავენ?! ცხადია, ვერ ხედავენ. და თუ ვცდებით და ხედავენ, უკეთესი რა იქნება. მაგრამ რაში გამოიხატება ეს ხედვა?!

დასკვნა ერთია: – ქართული ინტელიგენციის ნებისმიერ,პირველ რიგში ოფიციალური თუ არაოფიციალური ოპოზიციის წარმომადგენელს, ყიამყრალთა რიგებში მოხვედრა თუ არ სურს, საქართველოში და მის გარეთ მიმდინარე მოვლენების ობიექტური ანალიზის უნარი უნდა გააჩნდეს. მაგრამ ამას სათანადო ცოდნა სჭირდება. მის შეძენას კი დიდი, გულმოდგინე შრომა. ეს ძნელი საქმეა. გაცილებით ადვილია „პატრიოტულ“ ნოტებზე გამართული ყიამყრალობა.

და თუ ამ შესწავლისა თუ ანალიზის საფუძველზე არა მარტო დავით აღმაშენებლის, არამედ ნებისმიერი სხვა დროის საქართველოს თანამედროვე საქართველოს შევადარებთ, რა დასკვნას მივიღებთ? მხოლოდ ერთს: – უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ამ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მნიშვნელობის გარდატეხის, ჭეშმარიტად რევოლუციური ძვრების მსგავსი რამ მის ხანგრძლივ ისტორიაში არაფერი მომხდარა. და თუ მომხდარა, კერძოდ რომელი? დაგვისახელეთ.

მოხდა და ხდება კი იმიტომ, რომ თანამედროვე

საქართველოს სახელმწიფო, მისი საზოგადოება, სარისხობრივად, განვითარების დონით წარსულისგან, უახლოესი წარსულისგანაც, დიდად განსხვავებულია. და რადგანაც ეს განსხვავება დემოკრატიული ნიშნით ხასიათდება, ამიტომაც არის იგი პოტენციურად მძლავრი; ამიტომაც უჭერს მას მსარს მსოფლიოს ასეთივე, დემოკრატიული ძალები. და ასეთ საქართველოს ეშინია თავის წიაღში მესხეთის მკვიდრნი რომ დაიბრუნოს?!

რა თქმა უნდა, მათი დაბრუნება ორივე მხარის – მოსულისა და დამხვდურის – საყოველთაო თანხმობით შემუშავებული წესისა თუ კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს. ეს ჩვენი ნებით და არა ევროპის ძალდატანებით უნდა მოხდეს.

რატომ უნდა გვაიძულონ? განა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების დონე იმდენად დაბალია, რომ სათანადო ნაბიჯს ვერ გადავდგამთ სხვისი, და არა ჩვენი, ქართველების, მიერ ჩადენილი უსამართლობის გამოსასწორებლად?!

რატომ არ უნდა გადავდგათ, შიმს შევუპყრივართ?!

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“-ო, წინაპართა აფორიზმებით, შეგონებით, ფრთიანი გამოთქმებით, ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ ყალბად ვიკოკობზიკოთ და მათში ჩაქსოვილ სიბრძნეს ზურგი შევაქციოთ?! და თუ არ შევაქცევთ, მივხვდებით, რომ საქმისადმი ნაციონალისტური მიდგომა უნდა დავგმოთ, უარვყოთ და ყოველი ჩვენგანი ძლიერი, შეუვალი სახელმწიფოს შესაქმნელად უნდა ვზრუნავდეთ.

ჩვენმა წინაპრებმა, ვითომცდა სანაქებო მენშევიკებმაც (ბოლშევიკებზე ამჯერად არას ვამბობთ), კლასობრივი უთანასწორობის საქართველოში ასეთი სახელმწიფო ვერ შექმნეს. ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც იგი ჭეშმარიტად – და არა ფარისევლურად, საბჭოურად – დემოკრატიული იქნება და მისი ასეთივე

კანონი ნებისმიერ მის მოქალაქეზე – ძირძველსა თუ ახალზე – თანაბრად გავრცელდება.

შევიგნოთ, ბატონებო და ქალბატონებო, – კაცობრიობის მომავალი დემოკრატიაზე გადის. და რაც უფრო სრული და ჭეშმარიტი იქნება იგი, მით უფრო მძლავრი, უძლეველი იქნება ასეთი საზოგადოება და მისი სახელმწიფო. დიახ, შევიგნოთ და ყიამყრალებს, მით უფრო, დემაგოგებს ნუ ავყვებით.

რატომ არ უნდა გადაედგათ?! ისინი, მესხეთის ანუ საქართველოს ყოფილი მკვიდრნი – მყივანი უსამართლობის მსხვერპლნი – თავიანთი რწმუნებულის პირით ხომ საჯაროდ აცხადებენ, რომ არა ვართო სხვათა სამსახურში ჩამდგარი საქართველოს მტრები, რომ არ მოითხოვენ მაინც და მაინც თავის ძველ მამულში, მესხეთში, ჯგუფურ დასახლებას და თანახმანი არიან მთელ საქართველოში, შესაძლებლობის შესაბამისად, განსახლებაზე, რომ სახელმწიფოს დახმარებით შეისწავლიან ქართულ ენას და რომ – ამას სხვები ამბობენ – ზოგიერთი მაგანი მოინალა კიდეცო.

სხვა მეტი რა გნებავთ, ბ-ნო და ქ-ნო ყიამყრალებო?!

რწმენის თავისუფლების საქმიანად და არა ფარისევლურად, ყალბად აღიარების ვითარებაში მთავარი და გადამწყვეტი აღარ არის – იმ ბნელეთისგან განსხვავებით – რა სარწმუნოების იქნება საქართველოს, – და არა *ქართველი* – მოქალაქე.

დიახ, საქართველოს და არა ქართველი.

ზოგიერთ თანამედროვე ჩვენს პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს, თავი რომ სხვაზე მეტად განათლებულად მიუჩნევია, ჭკუას რომ გვასწავლის, თუ რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ, იმ სხვების კრიტიკას და ოდიოზურ შეფასებასაც რომ არ ერიდება, ესეც კი ეშლება. და თუ მას და მისთანებს ეს შეცდომა გულწრფელად, უცოდინარობის და არა ნაციონალისტურ პოზიციაზე

დგომის გამო მოსდის თუ მოსდით, თავიანთი „პროგრამის“ საჯაროდ გამოქვეყნებამდე გაეგოთ, გაერკვიათ სწორი გზა. მაგრამ მაშინ ხომ ნაციონალისტები – მათი აზრით, ეროვნული ინტერესების დამცველნი – ვეღარ იქნებოდნენ.

დიახ, რისი ვვეშინია – თუ ნებისმიერი სამშობლოში დასაბრუნებლად განწყობილი მესხი აღნიშნულ კანონს თუ წესს არ დათანხმდება – თანხმობა კი თითოეულმა მათგანმა წერილობით, დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს – საქართველოს სახელმწიფოს სრული უფლება ექნება ასეთი არ მიიღოს. და ეს უფლება მან ხმამაღლა, იმ ევროპელის გასაგონადაც, უნდა განაცხადოს. და თუ ის ევროპელიც დემაგოგი და ყიამყრალი არ გახლავთ, ამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს იტყვის, არ უნდა თქვას.

დიახ, უნდა განაცხადოს და მართალიც იქნება ნებისმიერი – შინაური თუ გარეული – ყიამყრალების წინაშე.

და არც არაფერი იქნება ასეთი სახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნაზე უფრო საპატიო და საამაყო!

როდესაც პარლამენტის უმცირესობის, გნებავთ, ოპოზიციის უბრალო, რიგითი წევრი კი არა, ერთ-ერთი ლიდერი საქვეყნოდ აცხადებს გავიგოთ და გავითვალისწინოთ ხალხის ნებაო, და როდესაც იგი ჩამოსახლების მოწინააღმდეგე ხალხის წარმომადგენლად ასახელებს პიროვნებას, რომლის ქართველობა დიდად საეჭვოა, განა ძნელი მისახვედრია თუ რატომ არის იგი წინააღმდეგი?! იმიტომ არის, რომ იმ ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრებს, სხვათაგან გაბრიყვებულს და ამიტომ საქართველოს სახელმწიფოსათვის *არასასურველ* მოქალაქედ ქცეულს, არ სურს იმ მიწა-წყალზე მეტოქე რომ გამოუჩნდეს; მით უმეტეს, ისეთი, თავის ქართულ განწყობას რომ არ მალავს.

მაგრამ ამ, ესოდენ ადვილად მისახვედრ, მიზეზს ვერც

ეს ჩვენი ქართველი ლიდერი მიმხვდარა?! და ეერც იმას, რომ ის „არასასურველი“ მოქალაქე თავისი გვარით (პარუნაშვილიო) უკვე *ქართველი* რომ არის და, სახელმწიფო ენის კანონის სრულფასოვნად მოქმედების ვითარებაში,იგი– და მისი მსგავსი არა ერთი და ორი– ხვალ და ზეგ უფრო მეტად რომ „გაქართველდება“ და სასურველ მოქალაქედ მოგეეველინება?! ბრჭყალებში კი იმიტომ, რომ ამას მას არავინ აიძულებს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი, ობიექტური მოთხოვნილების გარდა. და თუ ამ ბუნებრიობას აუმხედრდება, რას იზამს – ქართველ ხალხს მისი ენის შესწავლას გვაიძულებს და გადაგვაჯიშებს თუ იმ მიწას, რომელზეც თავის დროზე ცარიზმმა თავისი ბიზნებით დაასახლა, საქართველოს ჩამოაჭრის, ზურგზე მოიკიდებს და სხვაგან წაიღებს?! (ეს „სხვაგან“ რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად ვიცით).

კი, იმ საბჭოურ ბნელეთში ამასაც გულისხმობდა ის საბჭოური პოლიტიკა, რეეოლუციის პირველსავე წლებში სტალინმა რომ შეიმუშავა (მაგრამ ლენინმა რომ უარყო) და შემდგომ, ვითომცდა „ლენინურად“ გარდაქმნილი, რომ მოქმედებდა და რომლის თანახმადაც ყოველი ახალი შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკა – დაეუშვათ, ახალქალაქის სომხებისა – უშუალოდ შედიოდა რსფსრ-ში ანუ სსრკ-ში ანუ ბოროტების იმპერიაში.

დემოკრატიული პერესტროიკის ლიდერი, მ. გორბაჩოვი კი, ლენინისა და ოქტომბრის რეეოლუციის პრინციპებთან მიბრუნებას რომ ეფიცებოდა საბჭოთა ხალხებს (მისებურად „საბჭოთა ხალხს“) და მთელ მსოფლიოს, სტალინური გეგმის სრული უარყოფის, დაგმობის ნაცვლად, მის გამოცოცხლებას და სინამდვილეში განხორციელებას ისახავდა მიზნად. არ გამოუვიდა. არ დასცალდა. არ დააცალეს. (საბჭოური ეროვნული პოლიტიკის ჭეშმარიტი არსის გარკვევის – თუ როგორი უნდა ყო-

ფილიყო იგი და სინამდვილეში რა შექმნეს – მსურველს, შეუძლია ისილოს ჩვენი რუსულ და ქართულ ენებზე გამოცემული სქელტანიანი მეცნიერულ-პუბლიცისტური ნარკვევი – „გზები, რომლებსაც ვირჩევთ ანუ პასუხად ვ. არძინბას და მისთანებს“).

საბჭოური ბნელეთი დემოკრატიისა და პროგრესის ნათელმა რომ შეცვალა, ის, ჯერჯერობით „არასასურველი“, რომ ვერ ხედავს (ჯერ ისევ უმაგრებენ მას ზურგს), გასაგებია. მაგრამ ამას ვერც ჩვენი, პარლამენტის მკვიდრი *ზოგიერთი* ოპოზიციონერი და მათ უეხის ხმას აყოლილი, „პატრიოტები“ ხედავენ?! რამ დაუბრმავათ თვალსაწიერი?!

იმ „არასასურველის“ დასაშოშმინებლად იმასაც ვიტყვით, რომ დემოკრატიულ საქართველოში სახელმწიფო ენის კანონი მის მშობლიურ, არაქართულ ენას (თუკი ასეთი გააჩნია), სრულიადაც არ ეწინააღმდეგება და მას თავის ადგილს მიუჩენს.

დიახ, საბჭოური ბნელეთი წარსულს ჩაბარდა და დღეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს – რასაკვირველია, ასეთად ახალ მოვლენილსაც – თუ ბოროტი ზრახვები არ ამოძრავებს, არავინ და არაფერი არ ემუქრება.

ესეც ვიკითხოთ – სახელმწიფო ენის კანონი იმგვარად ვინ უნდა აამოქმედოს? იგი ამ ენის სიწმინდის დაცვასაც გულისსმობს და ვინ უნდა დაიცვას ეს სიწმინდე თუ არა თითოეულმა ჩვენთაგანმა, ამ ენის მიუტევებელ არცოდნას აშკარად რომ ვავლენთ და მას დანაშაულებრივად რომ ვანაგვიანებთ?!

„პატრიოტი“ ქართველები კი გადმოდგებიან და დემაგოგთაგან წაქეზებულნი ყიამყრალობენ: ამერიკა გვიპყრობს თავისიინგლისურითო. იეიწყებენ, რომ თუ საკუთარინება, სურვილი არა, ვერავინ ვერც დაგიპყრობს და ვერც ვერანაირად ვერ გადაგაგვარებს. ამის თაობაზე ზემოთ ნათქვამიც გავითვალისწინოთ და ვი-

ვაი, რომ ისევ სტალინის დროშით!

დრე მოეწესრიგდებით, მანამდე იმ „არასასურველს“ – მესხეთის მკვიდრებთან ერთად – ხელი ეკრათ?!

აბა, მაშ როგორო! აქოთქოთდებიან პარლამენტის თუ მის გარეთა ყიამყრალები. და რა ვქნათ, ამ პირწავარდნილ ნაციონალისტებს – არა აქვს მნიშვნელობა მათ „პარტიულ“ შეფერილობას – ავყვეთ?!

კეთილი – არ მივიღოთ, გავყაროთ! მაგრამ საკითხავია, ნაციონალისტური ხურეებით ატროვებულნი ამ ფაშისტურ აქციას როდის დაასრულებენ – წმინდა (არ ვამბობთ, ცისფერი) სისხლის ქართველებს როცა დააღგენენ? და რომ არ ვაჭარბებთ, ღრმად ნუ ჩავეძიებით – ჩვენი უახლესი ისტორიის საამისო – ქართველი ხალხისთვის დიახაც რომ სამარცხვინო – ფაქტები გაიხსენეთ.

გაიხსენეთ და რას მიეიღებთ თუ არა აღნიშნულ ატროვებას?! საეჭვო ქართველებად მიჩნეულ მესხეთის მკვიდრთ „პატრიოტი“ კი არა, არაკაცთმოყვარედ ქცეული ქართველები სამშობლოში არ აბრუნებენ, ხოლო ასეთივე ქართველები, მეცნიერ-ისტორიკოსებიც კი, აფხაზების აფხაზობასაც სუბიექტურად უყურებენ – აფხაზები კი არა, აფსუები არიანო; არ იციან ან ივიწყებენ, რომ „აფსუა“ აფხაზის თვითსახელწოდება რომ არის.

და თუ მიუშვი, ასეთი „პატრიოტები“ არა თუ მესხებს არ მიიღებენ, აფხაზებსაც გაყრიან თავიანთი აფხაზეთიდან.

ვიცით, მაგრამ პოლიტიკაშიც გავითავისოთ, დავამკვიდროთ, რომ დღეანდელი „აფხაზეთი“ ისტორიულად არ გულისხმობდა უშუალოდ აფხაზთა სამკვიდროს და რომ იგი სტალინური „ავტონომიის“ ნამთია ძირითადად.

გამართლებად თავიანთი „პოზიციისა“ „პატრიოტები“ აფხაზეთში მომხდარს მოიმარჯვებენ და არად დაგიდევენ, რომ მომხდარში რუსი დერეიმორდა შოვინისტები და მათი ყურმოჭრილი ყმები, აფსაზი სეპარატისტები, არძინბა

და მისთანები, რომ იყვნენ და არიან დამნაშავენი და არა ჭეშმარიტი აფსაზი, რომელსაც ისევე უყვარს და აფასებს თავის აფხაზეთს თავის საქართველოსთან ერთად, როგორც გიორგი შერვაშიძეს (შარვაშიძეს), რომელიც ამბობდა: საქართველოში მე ვარ აფხაზი და საქართველოს გარეთ ქართველი.

არა მარტო ჩვენი „პატრიოტ"-ყიამყრალთა გასაგონად ვიტყვით: საამაყოა, რომ ამას სწორედ ის ჭეშმარიტი საქართველოს მკვიდრი აფსაზი ამბობს, მშვენიერად რომ იცის მშობლიური ხალხის, აფხაზების, და საქართველოს მთელი ისტორია. სწორედ ის ისტორია, მხოლოდ ერთს რომ ამტკიცებს დაბეჯითებით და უეჭველად — აფსაზებიც და ქართველებიც საქართველოს სახელმწიფოში, მიუსედავად თავიანთი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასვა დონისა, ერთ კულტურულ მთლიანობას ქმნიან და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთით — ენით. განსხვავდებიან მხოლოდ ენით უფრო მკვეთრად და არსებითად, ვიდრე მეგრელები და სვანები.

მაშ, იქნებ ამათი გაყრაც ინებონ „პატრიოტებმა" და ვინ, რა შერჩებათ ხელში, ეს კითხვაც დაუსვან იმ ხურვებით ატანილ საკუთარ თავს.

ისინი არ ფიქრობენ, ვერ ხედებიან თავიანთი ასეთი წმინდა წყლის ნაციონალისტური „პოზიციით" ამკარად რომ შლიან, ანგრევენ საქართველოს სახელმწიფოს.

ვერც იმას ხვდებიან, რომ მათი ეს „პოზიცია" ქართველი ხალხის ბუნებამ კი არა, შოვინისტური რუსეთის პოლიტიკამ გამოიწვია და რომ ამ რუსეთთან ერთად უნდა მოვისროლოთ ისტორიის სანაგვეზე. და რომ ეს *მოსროლა* უკვე დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ამბებიც ცხადად ადასტურებს.

ნუთუ მათთვის დღესაც უცნობია, რომ ნაციონალისტობა, შოვინიზმი, ფაშიზმი — ეს ის თანამიმდევრული

საფეხურებია, მათზე შემდგარ ხალხს, ერს, თითქოსდა ძლიერ სახელმწიფოსაც კი რომ შლის და ანგრევს?! ამ ჭეშმარიტების უტყუარ დასტურად განა ფაშისტური გერმანია და სტალინის ხელმძღვანელობით რუსი მოეინისტების ხელში მოქცეული სსრკ არ კმარა?! მერედა ვინ დადგა ამ საფეხურზე – გერმანელი და რუსი ხალხები თუ მათი დამნაშავე ხელმძღვანელობა?!

ხოლო ქართველი ხალხის საამაყოდ მისი პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის დიდი უმრავლესობა დიახაც რომ სწორ, კაცთმოყვარე პოლიტიკას ახორციელებენ ეროვნულ საკითხში. აბა, ეს „პატრიოტები" საიდან გაჩნდნენ – ქართველი ხალხის შვილები არ არიან?!

და როდესაც თანამედროვე ცნობილი ქართველი მწერალი წერს, „...რომ აფხაზები სწორედ რომ ჩვენ, ისტორიული, ძირძველი ქართველები ვართ, ხოლო ჩვენს მიწაზე დღეს ქართველთმკვლელებად გაჯეჯილებული სეპარატისტი აფსუები ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩვენი ნებართვით (sic!) ჩამოსახლებული, ჩვენს უბეში (sic!!) შეფარებული (sic!) ტომები არიან"-ო, რა არის ეს, თუ არა ისტორიული სინამდვილის გაყალბებით ყიამყრალობა?!

რა მიზნით ვაკეთებთ ამას –საქართველოს ინტერესების დასაცავად და თითქოსდა კეთილი მიზნით, თუ მიუხედავად ამ მიზნისა, მაინც ნაციონალისტურად ატროეებულ, საკითხში გაურკვეველ ქართველებში სახელის, ავტორიტეტის, არცთუ იშვიათად პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად?! და ამავე დროს გვინდა, რომ მრუდე გზებით „ტაძართან" მივიდეთ?! ნეტარ არიან მორწმუნენიო, ესეც ხომ გაგვიგია?! განსაკუთრებით – ამგვარი მორწმუნენი.

საძრახი და სამდურავი ის არის, რომ მსგავს რამეს ქართული ინტელიგენციის არა ერთი და ორი, თითქოსდა ღირსეული წარმომადგენელი წერს და ამბობს. ცხადია, ისინი მესხეთის ყოფილ მკვიდრთა დაბრუნების წინააღმ-

დეგნიც იქნებიან.

ინტელიგენტი ანუ განათლებული და, რაც მთავარია, კაცთმოყვარე ადამიანი, თავისი სიტყვით და საქმით ერის კულტურულ, სულიერ ამაღლებას, სწორი იდეოლოგიით აღჭურვას უნდა განაპირობებდეს.

ჩვენთან კი, ამ შემთხვევაში, პირიქით ხდება — ქვეყნის სიყვარულით სამართლიანად გულანთებულ, მაგრამ საკითხში გაურკვეველ ქართველს, რომელსაც შენი, მწერლისა და ინტელიგენტის სჯერა, ხოლო შენ მას ასეთ მცდარ ტალღაზე განაწყობ, ეს ნიშნავს სწორედ ხსენებულ საფეხურთაგან ერთ-ერთზე — დასაწყისში პირველზე — აშკარად დგომას. სამწუხაროა ისიც, რომ ამ, თითქოსდა ცნობილ ჭეშმარიტებაზე გვიწევს ლაპარაკი.

კაცთმოყვარეობა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს — არც არასოდეს ნიშნავდა — საკუთარი სახლის ფარღალალობას და მისი ინტერესების ოდნავადაც კი უგულებელყოფას. მაგრამ არა სხვის ხარჯზე. მით უმეტეს, ამ „სხვას“, შენს ეთნოგენეზთან თუ გადაუხლართავს თავისი ეთნოგენეზის ფესვები, შენთან ერთად რომ ცხოვრობდა და ცხოვრობს ათასეული წლების განმაელობაში, — შენთან ერთად მონაწილეობდა *შენი* და არა *მისი* ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და რომ ამ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ არა აქვს არავითარი მნიშვნელობა მის ეთნიკურ წარმომაელობას. ძალა ერთობაშიაო, ამითაც მხოლოდ ვიკოკობზიკოთ?!

ნუთუ ათას შვიდასი წლის ქრისტიანულ საქართველოში ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იქამდე დავიდნენ, რომ კაცთმოყვარული, პროგრესული საზოგადოების ეს ანაბანა მათ — ვთქვათ ასე — უნდა შევახსენოთ?!

დიახ, ჩვენი ნებართვით და ჩვენს უბეშიო! თითქოს პატრიოტული — სინამდვილეში კი „პატრიოტული“ — განწყობით ნათქვამი ეს მარგალიტებიც ასევე ცნობილი პო-

ეტის (აწ გარდაცვლილის) იმ ნაციონალისტური „ბოსტნიდან“ არის, თაედაჯერებული რომ ბრძანებდა: მეგრულმა და სვანურმა საქართველოში უნდა „მოკეტონო“. ხოლო ასეთ განწყობას აყოლილი ერთი სვანი პროფესორ-ისტორიკოსი საჯაროდ აცხადებდა – სვანურსა და ქართულს შორის ვერავითარ სხვაობას ვერ ეხედავო. ვერ ხედავს და რა გინდა რო ქნა?! (ამ მიმართებით უფრო ვრცლად – სხვაგან).

სწორედ ამ „ბოსტნის“ მავნე ნაყოფმა რა შედეგებიც მოგვცა პოსტსაბჭოურ საქართველოში, ამას მხოლოდ ნაციონალისტი ქართველები არ ხედავენ. მერეღა ვისი „მოღვაწეობის“, „შემოქმედების“ შედეგია ეს ნაყოფი – ქართველი ხალხის თუ ამ ხალხის სწორედ რომ უღირსი იმ ნაწილისა, ერის მებაირაღედ რომ წარმოაჩენს თავს და ამ ერის ინტერესებს მცდარად რომ „იცავს“? ესენი უკვე, უბრალოდ, ყიამყრალები კი არა – იდეოლოგიური დამნაშავენი ანუ ქართველი ხალხის, რბილად თუ ვიტყვით, არაკეთილისმსურველნი არიან.

მაგრამ ისინი არ გვაშინებს. ქართველ ხალხს სწორი გზიდან ვერ ააცდენენ. ჩვენი ცხოვრებისეული სინამდვილე მათ სწორ გზაზე უეჭველად დააყენებს. ეს იმიტომ, რომ წყალნი წაელენ და წამოელენ, ქვიშანი დარჩებიანო, – იმავე ხალხის იმ ცხოვრებისეული სინამდვილის გამოცდილებით ნათქვამი სიბრძნე გახლავთ.

სწორედ იმ დარჩენილმა „ქვიშამ“, საუკუნეებში ჩამოსახლებულ ოსთა ეთნოგრაფიული ჯგუფის თუ მათი აქაური შორეული წინაპრების და ქართველი ხალხის ისტორიულმა, ათასწლეულებში აღმოცენებულმა და ჩაკირულმა თანაცხოვრებამ ამჟამინდელ კონფლიქტურ ვითარებაში შვა ე. წ. სტალინურ „სამხრეთ ოსეთში“ დიმიტრი სანაკოევი.

ყიამყრალებიდან ზოგიერთი დასაწყისში მასაც ცერად უყურებდა. დღეს კი, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ეს

პიროვნება ანუ ჭეშმარიტი ოსიხალხის სწორიდა გამართლებული ნების გამომხატველი და დამცველი პოლიტიკური მოღვაწე, – მათივე თანამემამულე რუსი შოვინისტების კუდმოქიცინეთაგან განსხვავებით, – სწორედ ის, იმავე რუსებისგან გაბრიყვებული ქართველს რომ მებრძოლა გუშინ, დღეს ჩვენთან ერთად პროგრესული ევროპის მსარდაჭერით სარგებლობს და მის წინაშე ოსურ ენაზე გამოსული თავის მომავალ გეგმებზე საუბრობს.

პატივცემულ ყიამყრალებს ვეკითხებით: ვინ გადასძალავს – პროგრესული ევროპა და მასთან მხარდამხარ მდგომი საქართველო თავის არაქართველ სწორად მოაზროვნე და მოქმედ შვილებთან ერთად თუ ისევ პოლიტიკურ და შოვინისტურ ჭაობში ჩაყურყუმალავებული პუტინის და მისთანების რუსეთი?!

და როდესაც ხანში შესული რუსი ინტელიგენტი ქართულ ტელევიზიაში აცხადებს, დასავლეთიდან თათარმონღოლთა შემოსევა მოდისო, რა არის ეს თუ არა დაბოღმილის ყიამყრალიბა?! რამ დაბოღმა? „მისი“ ოდიოზური სსრკ-ის კრახმა, სტალინური სოციალიზმით რომ ემუქრებოდა იმავე დასავლეთს. იმდენს ვერ ხვდება, რომ სიკეთემ – ამ შემთხვევაშიც – გაიმარჯვა ბოროტებაზე და ნაციონალისტურად დაბოღმილი თუ არ არის, იმ სიკეთეს – მისდა საბედნიეროდ – თავის სამშობლოში კარი ფართოდ უნდა გაუღოს; არა მისდა საზიანოდ, რა თქმა უნდა, რადგანაც იმ დასავლეთსაც ჯერ ისევ ბევრი რამ დასთრევს უარყოფითი. მაგრამ ეს უკვე ურთიერთობის მაღალი, მომავლის კულტურაა. აქამდე კი ჯერ ისევ ბევრი უკლია დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. რატომ უკლია?..

გვჯერა – აფხაზებშიც (აფსუებშიც) – და არა მარტო მათ შორის – გამოჩნდება – უნდა გამოჩნდეს – საკუ-

თარი დიმიტრი სანაკოევები.

ამ რწმენას ისტორიის ჭეშმარიტი, ობიექტურიცოლნა უდევს საფუძველად – თუ მუქთახორა არ ხარ ანუ სხვას არ ჩაგრავ, არ დამარცხდები. თუ არ ჩაგრავ არანაირად.

ხოლო როდესაც მესხეთის მკვიდრთ სამშობლოში დაბრუნებაზე უარს ეუბნები, ესეც ჩაგვრაა; მათი კანონიერი უფლებების არ დაცვაა, უარყოფაა.

თანამედროვე თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში, როდესაც ყველა იმას ამბობს – და აკეთებს კიდევაც – რასაც ფიქრობს და რაც იცის, ნათლად გაირკვა, რომ თურმე, ბევრი რამ არ გვცოდნია, არასწორად გვესმის. და თუ ვიცით და გვესმის, ეს ჩვენს ყოველდღიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, – და არა ცალკეულ პირებში – უნდა ჩანდეს...

ჩვენი ნებართვით, ჩვენს უბეშიო. ასეთ რამეს საბჭოთა საქართველოში ვერ დაწერდი. მოფარებულში, შიშნეულად შეიძლება გეთქვა. თუ გაგიგებდნენ – მოგცხებდნენ. ამ შემთხვევაში სწორი იქნებოდნენ, რადგანაც საკითხისადმი ნაციონალისტურ მიდგომასთან გვექნებოდა საქმე – ეს ქვეყანა ჩემი, ძირძველი ქართველისაა, რომელშიც შენ, არაძირძველი, მხოლოდ ჩემი ნებართვით ცხოვრობ და როცა მომეპრიანება, გაგაძევებ.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ბოროტების იმპერიის რუსი შოვინისტური ხელმძღვანელობა ამ არასწორ, ნაციონალისტურ მიდგომასაც თავის სასარგებლოდ იყენებდა – მას ხომ ყველა და ყველაფერი თავის იმპერიულ მუჭში ჰყავდა და ჰქონდა გამომწყვდეული და შენს ეროვნულ თავისთავადობას და სუვერენულობასაც მხოლოდ კონსტიტუციად წოდებულ ფარატინა ქაღალდზე აღიარებდა ანუ როცა უნდოდა და ვინც უნდოდა ვითომცდა შენს რესპუბლიკიდან მაშინ გააძევებდა და ჩამოასახლებდა. ამ აშკარა ეროვნული ბოროტების წინააღმდეგ ხმას ვერავინ ამოიღებდა. ვინც ამოიღო, სტალინურ-

მა რეპრესიებმა იმსხვერპლა.

იმსხვერპლა საბჭოთა აფხაზეთშიც, სადაც სტალინის (და არა ლენინის) ნებით შექმნილ ე. წ. „ავტონომიაში“ 17% აფხაზი (აფსუა) ძანარჩენ მოსახლეობას თავზე დაასვეს და აფხაზ და ქართველ პარტიულ ხელმძღვანელობასა და ინტელიგენციას ანუ აფსუა (აფხაზ) და ქართველ ხალხებს შორის შუღლი და დაპირისპირება ჩათესლეს. აფხაზი ხალხის გაბრიყვებული ხელმძღვანელობა კი ამას ვერ, არ ხვდებოდა და პირად ინტერესებს გამოდევნებული თავდავიწყებით გადაეშვა რუსიფიკაციის ჭაობში.

დღეს ის მუჭი აღარ არის, მაგრამ არის ის, რაც სსრკ-ის დაშლას ჩვენს ქვეყანაში მოჰყვა – საქართველოს სახელმწიფო კატასტროფის წინაშე დააყენეს. მხოლოდ მტრულმა გარეშე ძალებმა? არა – ქართველებმაც; ჩვენი არცოდნის, გამოუცდელობის და სხვა მიზეზთა გამოც, საამისოდ საკმარისად ბევრი გავაკეთეთ. სამწუხაროდ და საუბედუროდ.

დაეძლიეთ, გამოეაღწიეთ.

ახლა რა ვქნათ – ბოროტების იმპერიის დანაშაულებრივი სინამდვილე არ შევიცნოთ, ეროვნული დაპირისპირება განვაგრძოთ და მუდმივ კრიზისში ვიყოთ?! ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ მრავალი – შინაურიცა და გარეულიც – ამის მომხრე და დიდად მსურველი რომ არის?! და თუ ვხვდებით და ერთიანი, მძლავრი საქართველოც გვსურს – გვსურს რეალურად, საქმიანად და არა ცარიელი სიტყვით – ამ სურვილს, ჩვენი ერთიანობის ვითარებაში, წინ ვერაფერი დაუდგება.

ქართველი ერის, საქართველოს სახელმწიფოებრივი გამოცდილებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ახალი ეპოქის საკაცობრიო ცოდნა და ჭირნახულობა მას მოვარგოთ და პირნათელმა და წელგამართულებმა განახლებული საქართველოს მშენებლობა წარმატებით განვაგრძოთ.

მაშ, ლენინი და სტალინი ამათთვისაც ერთი და იგივეა?!

ვინ არის ამის წინააღმდეგი? აშკარა მტრების გარდა არავინ. მაგრამ ჩვენი არცოდნის გამო მათ რიგებში არ უნდა აღმოვჩნდეთ. მცოდნე მტერს კი, სურს თუ არ სურს, აშკარად მაინც რომ დაგვიპირისპირდება, მოევლება, იგი თავისას მიიღებს. და თუ ვცდებით ან რამეს ვაჭარბებთ, საქართველოს უკანასკნელი ორი ათეული წლის ისტორია შეაფასეთ ობიექტურად.

ჩვენი ცოდნა კი, განსაკუთრებით ეროვნულ პრობლემატიკაში, ერთობ მოიკოჭლებს.

ვიცით — უნდა ვიცოდეთ — რომ ნებისმიერი ერი არ არის მონოეთნიკური ანუ ერთ რომელიმე ეთნიკურ ტომზე აღმოცენებული ერთობა და არც ეროვნული სახელმწიფოა ასეთი ერის ნაყოფი. და თუ ვიცით, ეს ცოდნა მეცნიერულ წიგნებში კი არ უნდა ჩარჩეს უსარგებლოდ, როგორც ითქვა, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენი მეცნიერული თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველ წვრილმანში უნდა გამოვიყენოთ, მას საფუძვლად უნდა დაედოს. განსაკუთრებით ეროვნულ პრობლემატიკაში. აქ კი, მოგეხსენებათ, წვრილმანი არ არსებობს.

ცოდნის ხალხში გატანა კი პირველ რიგში ინტელიგენციის ვალია.

ვიცით — უნდა ეიცოდეთ, — რომ ისტორიულ სინამდვილეში — ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საქართველოს სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა — არსებობდა და დღესაც არსებობს ქართველური ენები.

ესეც ცნობილია, რომ ნებისმიერი ენა თუ მისი დიალექტი მხოლოდ მანამდე ცოცხლობს, სანამ ამ ენაზე მოლაპარაკენი არსებობენ.

მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაში, არსებობდნენ და არსებობენ ქართველურ ენებზე მოლაპარაკენი — ლაზები, მეგრელები, სვანები, ქართველები. ქართველური კი იმიტომ არიან, რომ ეს ენები მონათესავედ ითვლებიან.

ამავე დროს — ესეც ცნობილია — იმავე ისტორიულ

და თანამედროვე სინამდვილეში საქართველოში არსებობდნენ და არსებობენ არაქართველურ ანუ ქართულის არამონათესავე ენებზე მოლაპარაკე ტომები. ორივე ეს ტომები, კავკასიის სინამდვილეშიც – საქართველოს სახელმწიფოს შექმნამდეც – ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში ცხოვრობდნენ.

მაშასადამე, შორეულ, დღესდღეობით თითქმის თვალუწვდენელ მაგრამ ისტორიულ სინამდვილეში, კავკასიაშიც, ეთნიკური – და არა პოლიტიკური – თვითგამორკვევის შედეგად წარმოიქმნა ქართველური და არაქართველური, ერთმანეთისგან განვითარების სხვადასხვა დონით, ნიშნით განსხვავებული ტომები. შესაძლებელია, რომელიმე ამ ტომთაგან შემდგომში, ისტორიული ძნელბედობის ვითარებაში და თავისი სისუსტის გამო, სხვების, მასზე უფრო ძლიერის გავლენით ეთნიკურად გაქრეს ანუ ამ ძლიერს შეერწყას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ეს მასა ფიზიკურად კი არ ისპობა, არამედ ქრება როგორც თავის მშობლიურ ენაზე ან დიალექტზე მოლაპარაკე ეთნოსი და ალაპარაკდება იმ ძლიერის ენაზე.

ქართველური ტომების ისტორიაშიც ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, გვაქვს. ნებისმიერ დროსა და ვითარებაში „პატრიოტულად“ განწყობილთა უსაფუძვლო, არცთუ იშვიათად ვითომცდა „მეცნიერულად“ გამართლებული, რბილად თუ ვიტყვით, ცდები გამქრალთა ანუ გადაგვარებულთა ანუ ასიმილირებულთა დასაცავად არაფერს გვაძლევს. დიალექტიკას ეწინააღმდეგება.

ქართველური და არაქართველური ტომების ეთნიკური თვითგამორკვევის შედეგად, შემდგომში, ასევე ისტორიულ სინამდვილეში, მათი გაერთიანებით ადრეული შუა საუკუნეების დასასრულს *შეიკრა* სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა აღნიშნულ ტომთა მანამდე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს და რომელსაც ეწოდა *საქართველო*.

რაღა თქმა უნდა, შეკვრის სიმტკიცეს ამ სახელმწიფოს სიმდიდრე განაპირობებდა. საქართველოს სახელმწიფო, კავკასიის ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ეთნიკურად ერთობ ჭრელი იყო. მას თავს ვერ დააღწევდი. ამ სიჭრელეს მხოლოდ აფხაზები არ ქმნიდნენ. მას ქმნიდა არაქართველურიეე სომხები, ქურთები, ოსები, თათრები (აზერბაიჯანელები) და სხვანი მრავალნი — დიდნი თუ მცირენი. დღეს მათ რუსები მიემატნენ, ჩინელებიც გამოჩნდნენ. ხვალ და ზეგ სხვებიც გამოჩნდებიან. ეს კაცობრიობის ისტორიის თანამდევი პროცესია და რაც უნდა დიდი კედლები აიშენო, მას თავს ვერ დააღწევ; ვერც არაკაცთმოყვარე ნაციონალისტური, შოვინისტური თუ ფაშისტური პოლიტიკით.

ეროვნულ თავისთავადობას მაუნედ დაპირისპირებულ ამ პროცესს მხოლოდ მოწინავე ეკონომიკით, დემოკრატიზმით და მაღალი ეროვნული — არანაციონალისტური — თვითშეგნებით დააღწევ. სხვა გზა არ არსებობს. თუ არსებობდა და არსებობს, იმპერიები არ დაიშლებოდნენ.

აღნიშნულ სიჭრელეს, ქართველური ტომებიც რომ ემატებოდა, საქართველოს სახელმწიფომ მხოლოდ სწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგად დააღწია თავი. ამ პოლიტიკის შედეგიც გახლავთ ქართული ცივილიზაცია. და თუ ეს სახელმწიფო პოლიტიკურად სათანადოდ ვერ შეიკრა, — მხოლოდ ფეოდალური ეკონომიკით განპირობებული პოლიტიკური — და არა ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურული — დეცენტრალიზაციის გამო.

სწორი ეროვნული პოლიტიკა კი ის იყო, რომ ამ სახელმწიფოსათვის, ამ ცივილიზაციისათვის უცხო იყო ეროვნული შუღლი და დაპირისპირება.

მაშ, დღეს რატომ დავადგეთ სხვა გზას, რატომ ვიყოყლოჩინოთ ქედმაღლურად არა მარტო არაქართველურ, არამედ ქართველურ ტომთა მიმართაც კი? რატომ არ უნდა დავაბრუნოთ მესხეთის მკვიდრნი თავიანთ სამშობ-

ლოში – ზოგიერთი „პატრიოტი“ ქართველის მცდარი ეროვნული პოლიტიკის გამო?!

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში, სახელმწიფოებში, ეროვნულის გაგებაც იცვლება, მდიდრდება. ნებისმიერ ეროვნულ და არა ფედერაციულ სახელმწიფოში ეროვნულის წინაშე უპირატესობა „მოქალაქეს“ ენიჭება. მაშასადამე, თუ ასეთ საზოგადოებად ჩამოყალიბება გვსურს – საქართველოს ეროვნულ ანუ ქართველების სახელმწიფოში „ქართველია“ ამ სახელმწიფოს ყოველი მოქალაქე. ანუ ყველა ის, ვინც ფლობს ქართულ სასელმწიფო ენას და აღიარებს და იცავს მის კონსტიტუციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ამ სახელმწიფოს, საზოგადოების მოქალაქე, სრულუფლებიანი და სრულფასოვანი წევრი – როგორც ზემოთ ითქვა – ვერ იქნება და მისი ყოფნა და საქმიანობა აქ არალეგალურად, კანონგარეშედ ჩაითვლება. თავისთავად ცხადია, – რაც უფრო მეტი გყავს ასეთი, მით უფრო მეტია *უწესრიგობა.*

არაფერს უცხოს არ ვამბობთ. „ქართველის“ ასეთი გაგება გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდანვე დაედო საფუძვლად სახელმწიფოს პოლიტიკას. „ქართველებად“ ითვლებოდა ყველა ქართულად მოლაპარაკე და „საქართველო“ იყო იქ, სადაც ამ სახელმწიფოს იურისდიქცია ერცელდებოდა. არ არის ძნელი მისახვედრი – აქ მთავარია არა მარტო ენა, არამედ იურისდიქციაც ანუ კანონის ნება.

და იმ შორეულ წარსულში თუ ასე იყო, მაშ, თანამედროვე ქართველებს რა მოგვედის, რა გვაშინებს ასეთ პოლიტიკაში?!

დიახ, საქართველოს მოქალაქე, რომელმაც იცის და ლაპარაკობს ქართულად და ისეთიც, რომელმაც დღეს არ იცის, მაგრამ ხვალ – შენს ენობრივ გარემოში მოქცეული – ალაპარაკდება ქართულად. მაშ რატომ გვაშინებს მესხეთის მკვიდრთა „არაქართველობა“?! საბჭოური იმპერიუ-

ლი ეროვნული პოლიტიკით შეშინებულნი მთვარეს ეუყეფთ?! მაგრამ ჩვენ ხომ იმპერიას არ წარმოვადგენთ. ჩვენს ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში არავის ვჩაგრავთ და არც სხვას დავაჩაგვრინებთ თავს. რა არის აქ მცდარი, გაუგებარი, მიუღებელი?!

შენ კი, საქართველოს ქართველი მოქალაქე, დღეს უკვე შენს საქართველოში, შენი თუ მისი ნებით შენს „უბეში" შემოსულ მობიზნესე თურქს და ჩინელს (რაღაც მიზეზების გამო სპარსელი ჯერ არ ჩანს) ქართულად და არა ინგლისურად უნდა ელაპარაკო; ჩინური არ იცი და ამიტომ. მაგრამ რომ იცოდე?! აქ არის სწორედ, როგორც იტყვიან, ძაღლის თავი ჩამარხული.

არ დაელაპარაკები და ნაციონალისტი ხარ?! დაელაპარაკები და – ინტერნაციონალისტი?! მაგრამ ჯერ საკუთრივ ტერმინს ჩავუკვირდეთ – თუ ნაცია, ერი, ხალხი არ იქნა, მათ შორის კავშირები როგორღა დამყარდება?! მაშასადამე, ის თურქი, ჩინელი და ნებისმიერი სხვა ჩემთან რომ მოდის, სად მოდის, უნდა იცოდეს. აშშ-ში ჩასულმა თუ იცის, ჩემთან ჩამოსულმა, შემოსულმა რატომ არ უნდა იცოდეს?!

მოდის რაღაცის მოსაგებად. მეც იძულებული ვარ მივიღო – ჩემი არა მაქვს. ყველაფერი არც მე და არც არავის არც გვქონია და არც არასოდეს გვექნება. მაგრამ ამ აუცილებელმა და გარდაუვალმა – ხალხთა შორის მრავალდარგოვანი ურთიერთობის – პროცესმა ჩემი, დღესდღეობით ეკონომიკურად სუსტად განვითარებულის, *ქართველობა* უნდა შეიწიროს?! ვიცით – ძირძველი, გნებავთ, თანამედროვე, ეკონომიკურად ფეხზე კარგად მდგომი კაპიტალისტი გვეტყვის: თუ არ გინდა, რომ შეიწიროს, შენი უნდა გქონდესო. კეთილი, ბატონო!

მაგრამ მე ხომ ვიცი როდის, სად, რა და როგორ შეიძინე. მე კი, სახელდობრ, ქართველი, იმ, არაერთხელ ხსენებულ, შუა საუკუნეების ბნელეთში – რომელსაც XX

საუკუნეშიც კი ვერ აეცდი ბოროტების იმპერიის სახით – ჩემი ქვეყნის და ცივილიზაციის დასაცავად – შენ წარმოიდგინე, არა მარტო ჩემი, შენი ევროპისაც – როდესაც ველურ მომთაბარეებს ვებრძოდი, შენ მაშინ მსოფლიოს *ათვისებას* იწყებდი. ეს, თავაზიანად თუ ვიტყვეით, სინამდვილეში კი – *გასაღლეტად*. მაგრამ ეს იმ ბნელეთში იყო, რომელსაც ვერც შენ, ევროპელმა, დააღწიე თავი.

რა გაქვს საგრაბახო – იქნებ ინკვიზიცია?! ხომ იცი – უნდა იცოდე – საქართველოში მსგავსიც არაფერი მქონია.

კი, იტყვი – რენესანსიო. ვიცით. მაგრამ „ვეფხისტყაოსანზე" არაფერს მოგახსენებთ. გენიალური ნიკო მარის სიტყვებს შეგახსენებთ: რომ ადრეული შუა საუკუნეების დასასრულს „ათონის სკოლის ქართული" – და არა მარტო – „სომხურიც" – „თარგმანები თავისი მეცნიერული სიზუსტით და ერუდიციით აღემატებიან (*პრეეოსხოდჯატ*) მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ არაბების მთარგმნელობით სკოლებს და მრავალი საუკუნეებით წინ უსწრებენ (*პრედვარჯაჯუტ*) ევროპული ჰუმანიზმის დასაწყისს".

ეს ის ნიკო მარი გახლავთ, რომელსაც ბნელეთის კი არა, აგერ, XX საუკუნის 20-იანი წლების შუაში, განათლებულ და ა. შ. ევროპაში განათლებულმა და ა. შ., მაგრამ ნაციონალისტურად გაჭყეპილმა *ინტელიგენტმა*, არც მეტი, არც ნაკლები, „ველური აღამიანი ველური კავკასიიდან" უწოდა. არც ეს გახლავთ მიამიტი ყიამყრალობა.

ეს ის ნიკო მარი გახლავთ, რომელსაც ასევე ნაციონალისტურად გაჭყეპილმა „სოციალისტური" საქართველოს განათლებულმა და ა. შ. *ინტელიგენტმა* ნაქართველარი პეტერბურგელი უწოდა. არც ეს გახლავთ მიამიტი ყიამყრალობა. მას „ეროვნული" ინტერესები, – იმ ინტელიგენტის აზრით, – უდევს საფუძველად.

ესეც ვიცით — ჩვენი წარსული კულტურა დღეს პურს ვერ გვაჭმევს. და ისიც, რომ, *გაღლეტვა*, ასე ვთქვათ, დიალექტიკის შედეგია, რომელსაც წინ იმ დროს ვერაფერი დაუდგებოდა.

მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ პურის დღევანდელმა მქონებელმა ის ჩემი ძველი კულტურა არ უნდა გამიტრიზავოს — იგი ხომ მსოფლიო — და, მაშასადამე, შენი კულტურისაც — შემადგენელი ნაწილია. და თუ ეს კულტურა არ გაინტერესებს, ცუდად ყოფილა შენი საქმე.

კი, .გაქვს ოქროთი სავსე ქისა. მაგრამ შენი თანამედროვე ევროპის ცივილიზაცია ნუთუ იმას გკარნახობს, მაგ ქისით თავზე რომ დამაჯდე და ჩემი მეობა წამართვა?! და თუ არ გკარნახობს, საქმით დამიმტკიცე. მთელ მსოფლიოსთან ერთად. ეს, რაღა თქმა უნდა, იმ ქისის მხოლოდ ევროპელ მფლობელს არ ეხება...

***

და თუ ორივე, ქართველიც და ჩინელიც ინგლისურად ავჭიკჭიკდებით, ჩვენი საქმე წასულია — ინგლისურენოვანი ამერიკელი და ბრიტანელი დაგვიპყრობს. ფრანგი, გერმანელი და სხვანი, ევროპელები, თამაშიდან, უნდათ თუ არ უნდათ, გამოსულები არიან. მაშასადამე, ისინიც დასაპყრობთა რიგებში დგანან?! და თუ არა, აბა ჩვენ, პატარები და არაევროპელები რატომ უნდა ვიდგეთ?!

კეთილი, ჩაკეტე კარები და ნუ შემოუშვებ ამ „დამპყრობლებს" (გნებავთ, უბრჭყალებოდ). (მათ „თურქიმესხებიც" ხომ არ მიეათვალოთ?). რას იზამ, იმ „პურს არსობისას" როგორ მოიპოვებ — მამაპაპური გუთნის დედა თავის გუთან-კავ-ხარ-კამეჩით აღარ გაქვს და აღარ გყავს უკვე. შენ თვითონ, დამოუკიდებლად, ტრაქტორ-კომბაინს, ვერც მობილურსა და კომპიუტერს ვერ დაამზადებ.

საბჭოთა საქართველოს გაინდუსტრიულობით ამაყობდი. შეგნებულად?!

კი, „ისინი ჩამოეიდნენ მთიდან“ და რუსთავის მეტალურგიულ გიგანტში დაიწყეს მუშაობა. სოციალისტური – სინამდვილეში „სოციალისტური“ – სამშობლოს საკეთილდღეოდო, ირწმუნებოდნენ. მაგრამ ის გიგანტი შენ თვითონ ააშენე?! – სტალინური სოციალიზმის მშენებელმა რუსმა აგიშენა. თავისი ფულით, მუქთად, შენი ეროვნული ინტერესების დაცვით აგიშენა?! ბევრს არაფერს გთხოვდა – შენი იყოს, ოღონდ იმ გიგანტში – ვიდრე შენსას გამოზრდი – რუსმა (გნებავთ, საბჭოთა) სპეციალისტმა უნდა იმუშაოს და იმან კი არა შენი, შენ მისი ენა უნდა ისწავლო, საქმისთვის ასე აჯობებსო. შენც დაუჯერე (სხვა რა გზა გქონდა?!). მაგრამ შენი რომ მოამზადე, რუს სპეციალისტს თავის სახლში წასვლა *რაგომღაც* დაავიწყდა. შენთან დარჩა. შენი ენის სწავლა არც კი გახსენებია.

ჩამოსული რუსი სპეციალისტი, კადრის თუ უბრალო მუშა რად გინდა, „საბუდარელი ჭაბუკიც“ ეგრევე მოიქცა, – მამაპაპისეული მიატოვა და იმ გიგანტს მიაშურა. შედეგი? – დაცარიელდა ქართული მთისა და ბარის სოფელი, გაიზარდა ქალაქი (მახინჯად, თავკომბალასავით თბილისი) და „დაკარგული სამოთხის“ ნაცვლად მიწათმოქმედი გეორგიანელები ინდუსტრიულებად გარდავისახეთ...

აბა, თქვენ რა გნებავთ, – ვეღარ მოითმინა და გაგვაწყვეტინა სიტყვა დემაგოგ-ყიამყრალმა – მუდამ მიწის მუშა გლეხად დავრჩენილიყავითო?!

გარდავისახეთ, მაგრამ რუსის „სოციალისტურ“ მუჭში გამოჭერილთათვის ეს არ იყო საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი ანუ ჯანსაღი პროცესი. სუბიექტური მიზნებით დამახინჯებული პროცესი იყო. იმპერიული რუსეთის მიერ სტალინური სოციალიზმის გზით დაპყრობა იყო. კი მთელს სსრკ-ში ასე იყო, მაგრამ ამით შენ რა შეღავათი?!

გულსარას ოცნებას ვერავინ დაუშლის

ყოველივე ამას იმ მუჭში გამოჭერილი, რასაკვირველია, ვერ იტყოდი. იტყოდი და – მოგცხებდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

ყოველივე ამას ამჟამად კი ეამბობთ, მაგრამ მრავალს, ყიამყრალ-დემაგოგთაგანს და საკითხში გაურკვეველს დღესაც არ სჯერა, ის „სოციალიზმი“ ურჩევნია – პური მქონდა, უფასო სწავლა-განათლება, სამუშაო და სხვა ბევრი რამეო. კი, ჰქონდა, – განა არა?! მაგრამ მონა – მაძღარი არა მაგრამ არც მშიერი მონა – რომ იყო, საკუთარი სახლი ანუ ქვეყანა, ანუ სამშობლო რომ არ ჰქონდა და მომავალში რუსულად მოლაპარაკე „საბჭოთა ხალხად“ ასიმილირება, გნებავთ, გარდასახვა უეჭველად რომ ემუქრებოდა, ეს არც იცოდა და ამიტომ არც აწუხებდა?!

თავის დროზე კი ქართველი გლეხი აი რას ამბობდა:

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა,/ მთვარე მედგა მზესავითა,/ კალმახი და ქერის პური/ წინ მეყარა ბზესავითა.“

და თუ ამ ჯავახეთის, გავერანებამდე ბევრი რომ არ უკლია, დღეს თუკი ვინმე მის ფეხზე დაყენებას ეცდება, ასეთს – ცხადია, შენს კანონს დამორჩილებულს – იქ დასახლებაზე უარი რატომ უნდა ვუთხრათ?!

რას იზამენ – ადგილობრივ „არასასურველებთან“ ერთად პირს შეკრავენ და ფეხზე დაყენებული საკუთარი ეზოგარემოთი – პირდაპირ ვიტყვით – სომხეთს მიაკითხავენ თუ ერევანს აქეთ მოიწვევენ? ასეც რომ მოხდეს – საქართველოს *სახელმწიფო* მხოლოდ სახელად პყავს და აქვს?! ვერ მოიწვევენ. ამიტომ უარი სწორედ რომ არ უნდა ვუთხრათ. ამით კი ბევრს მოეიგებთ. ყველა თვალსაზრისით.

მაგრამ ამას დანახვა, განჭვრეტა უნდა. უფრო ადვილია ავის მომტანი ყიამყრალობა და ძახილი – აუტკივარი თავი რატომ ავიტკივოო. ასეთი სატკივარი შიგნით,

თვით საქართველოში განა ცოტა გვაქვსო?!

მართლაც, მათ რითი ვუწამლოთ? მხოლოდ ერთით – თანამედროვე პროგრესის მაჯისცემას უნდა ვგრძნობდეთ და შესაბამისად ემოქმედებდეთ. არ არის სხვა გზა – ყველა სატკივარს ერთად, *კომპლექსურად*, ახალი მსოფლმხედველობით უნდა ვუმკურნალოთ.

იტყვიან: – ჯერ ფეხზე დავდგეთ როგორც სახელმწიფო და მერე ჩამოვასახლოთო, ვუმკურნალოთო. ესეც სიბრიყვეა!

ეს როგორ – ხვალ ფეხზე დადგები როგორც სახელმწიფო, პრობლემებს *ამოწურავ* და ზეგ ტახტზე წამოგორდები თუნდაც ბუზების სათვლელად?!

რასაკვირველია, თქმა ადვილია, მაგრამ ხომ არ დაგვავიწყდა – ცხოვრება და მით უმეტეს, საზოგადოებრივი, ბრძოლა რომ არის განუწყვეტელი? ამას მარქსი რად უნდა, ილია ჭავჭავაძის მიერ (ლეკის ნაბადთან დაკავშირებით) თქმულიც გავიხსენოთ.

დროა, შეიგნონ, თვალი გაახილონ ყოველგვარი შეფერილობის პატივცემულმა ყიამყრალ-დემაგოგებმა – სხვა დრო დადგა, სხვა განზომილებანი, სხვა მიმართებანი მართავს მსოფლიოს. ეროვნულ, მაგრამ შუა საუკუნეების სამრეკლოზე ზარების ქღარუნი არას გვარგებს. ის სამრეკლოც ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად უნდა გაემართოთ და მისი ზარებიც შესაბამისად უნდა რეკდნენ. ამას მხოლოდ ვაი-პატრიოტი აუკიეინდება.

რომ გვიჭირს, გვიჭირს ეკონომიკურად, იდეოლოგიურად, მსოფლმხედველობრივად, ამას ყველა ხედავს. მაგრამ ვითომ ყველა?! და თუ ყველა, – რას აკეთებენ, რას გვთავაზობენ მისგან თავის დასაღწევად?!

მავანმა იქნებ „ყიამყრალობა“ გვიწყინოს – „აკადემიური“ სტილი არ არისო. „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ თუ ამას ვიტყვით, საპასუხო ანდაზას

გამონახავს რასმე.; არ გაუჭირდება. თუ გეიწყენს, ძალიან კარგი – ნათქვამი მიზანს მოხვედრია!

ნაწყენი რომ არ დაგერჩნენ, სათქმელს ჩაუფიქრდნენ: თუ არ იციან, მცოდნეს პკითხონ. მაგრამ ვინ არის მათთვის მცოდნე, ვისი სჯერათ?!

დიახ, დროა შევიგნოთ – ახალ, საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში აქამდე არნახულ, არარსებულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ახალ – ქართველი ხალხის შესაფერ, მისთვის სასურველ – საზოგადოებას, სახელმწიფოს ვაშენებთ; თუმცა ჩვენი და სხვისი მიზეზით მრავალგვარად დამახინჯებულნი. მაგრამ დავმახინჯდით ხომ ჩვენ, თანამედროვენი.

მიუხედავად ამისა გვაქვს, შევინარჩუნეთ მთავარი – ჩვენი ცივილიზაციის დვრიტა ძირითადი: დაუოკებელი სწრაფვა სიკეთისა და სამართლიანობისაკენ. და თუ ეს უმთავრესი გვაქვს – ცხადია, გვაქვს არა მხოლოდ ჩვენ – ისიც ცხადია თუ ვისთან უნდა გექონდეს კავშირი და პარტნიორული, *ორივე* მხარისათვის სასარგებლო, ურთიერთობა. დიახ, ვისთან – ვითომ პუტინის, სტალინის, რასპუტინის და იქით, – რომანოვების რუსეთთან?!

ჩვენი ოპოზიცია – ყოველნაირი– რას გვთავაზობს?!

ჯერ ეს გავარკვიოთ, რა აკლია მას – პრესა, ტელევიზია, პარლამენტის ტრიბუნა, საკუთარი, სახელმწიფოსგან *დამოუკიდებელი*, ცენზურისაგან თავისუფალი უამრავი პარტია (უფრო სწორად, „პარტია“) თუ ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები?!არც ერთი!და თუ არ აკლია, და თუ მაინც ყველაფერი ეს არ მოსწონს – *საქმიანად* იბრძოლოს გასაუმჯობესებლად. აი, რა უნდა იყოს ჩვენი პატივცემული ოპოზიციის ძირითადი ასპარეზი. ეს ბრძოლა უბრალო არ გეგონოთ – ჩვენს იდეოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ, ეკონომიკურ საფუძვლებთან მიდის.

მამ, რა არის თუ არა ყიამყრალობა, როდესაც ერთ-ერთი მათგანი, თავი რომ განათლებულ, პროგრესულ მოღვაწედ მიუჩნეევია, მწარე სიმართლეს თუ ვიტყვით, ხელმოცარული პოლიტიკოსი – მინისტრობიდან გადაყენებით ამწვიტინებული?! – კოლეგების შესაფასებლად ოდიოზურ გამოთქმებსაც რომ არ ერიდება და იმასაც კი აცხადებს *თავისი* პოლიტიკური პარტიის თუ საზოგადოებრივი მოძრაობის პროგრამაში, რომელსაც პრეტენციოზულად, „საქართველოს გზას“ უწოდებს, საქართველოში ტოტალიტარიზმი არსებობსო და მისგან თავის დასაღწევად სამაგალითოდ ხუან კარლოს ბურბონის ესპანეთს გვისახელებს (ერცლად იხ. ჩვენი „ორი მიმართება მონარქიისადმი. ისევ არისტოკრატია?! ანუ პასუხად ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს,“ თბ., 2007, 112 გვ.).

არც ეს გახლავთ, ბატონებო და ქალბატონებო მიამიტი ყიამყრალობა; თუკი საერთოდ შეიძლება იყოს ყიამყრალობა მიამიტი.

რაო, ბაგრატიონების გარდასულ ლანდებს ელაციცება საქართველოში პოლიტიკური ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი?! განა ძნელი მისახვედრია რა ჯიღას დაადგამენ – თუ მიუშვი – ისინი ქართველ ხალხს თავზე?!

ვინ არ უნდა მიუშვას? იმავე ქართველმა ხალხმა. მაგრამ მისი საკმაოდ დიდი ნაწილი, თავის ინტელიგენციასთან ერთად (მათ შორის ისტორიკოსებიც), დღესაც კი, XXI საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, არ იცის, რა იყო, რას წარმოადგენდა, დღეს რას ნიშნავს ის ჯიღა და რას ჰპირდება იგი მომავალში საქართველოს.

ასეთ ვითარებაში რა ვქნათ?! თითქოს უბრალო და ცნობილი რამ – ხელისუფლებამ თავისი თქვას, ოპოზიციამ თავისი, განათლებულმა ინტელიგენციამ კი – განსაკუთრებით ისტორიკოსებმა – თავისი. მავანნი ამას

დემოკრატიას უწოდებენ.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, პირველი და მეორე განათლებული არ არიან? ცხადია, სამივე – და მათთან ერთად მთელი ხალხიც – განათლებული უნდა იყოს. მაგრამ როგორ განათლებული, როგორი მსოფლმხედველობის მქონე და დამცველი? ეს არის მთავარი.

ეს კითხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებს შორის პირველ რიგში (!) ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს ეხებათ. ისინი უნდა ქმნიდნენ ერის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. მაგრამ ქართული ინტელიგენციის ანუ განათლებული ხალხის დიდ ნაწილს თუნდაც ისიც კი ვერ გაურკვევია გადაჭრით იდეალისტია იგი თუ მატერიალისტი. ხოლო თუ გაურკვევია, ხმამაღლა თქმას ვერ ბედავს. აბა, ისტორიკოსებს – და სხვებსაც, საღად მოაზროვნეებსაც, რასაკვირველია – ისტორიული მატერიალიზმის ცოდნას როგორღა მოსთხოვ.

ეგ კი არადა, ზოგიერთი – ჩვენთანაც – იმასაც კი ამბობს, ისტორია საერთოდ რა საჭიროაო. საიდან და რატომ გაჩნდა ეს „სიბრძნე", არ ვიკითხოთ?!

აუპ, როგორ თუ ისტორიული მატერიალიზმიო, აყიამყრალდებიან „განათლებული" და შეგნებულად თუ შეუგნებლად მოდემაგოგენი. თანამედროვე ძია სემიც მათ მხარს დაუჭერს – არც მას აძლევს ხელს ეს -იზმი, მაგრამ მის თანახმად რომ მოქმედებს, ამას ვერ ამჩნევს.

ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს ამჯერად თავი დავანებოთ – საბჭოური ისტორიული სკოლიდან გამოსულ ისტორიკოსებს წარმოდგენა მაინც თუ აქვთ რას ნიშნავს ეს -იზმი?! რომ ჰქონდეთ, საბჭოურ სინამდვილეს, ფაქტის წინაშე დამდგარნი, იძულებით და გულსგარეთ არ უარყოფდნენ, სტალინიზმს მარქსიზმ-ლენინიზმიდან გამოარჩევდნენ და ის მაინც ეცოდინებოდათ გვიშლის თუ არა

ხელს თანამედროვე საქართველოშიც, მაგალითად, სტალინის კულტი და მივუჩინოთ თუ არა მას დამსახურებული ადგილი ისტორიის სანაგვეზე.

აბა, ასეთი ინტელიგენციის ასეთი ისტორიკოსები განა ობიექტურად შეისწავლიდნენ თუნდაც ბაგრატიონების ისტორიას და გაარკვეედნენ მის უარყოფით და დადებით მხარეებს?!

მერედა ასეთ შესწავლას, განსაკუთრებით ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის წევრ ისტორიკოსებს ხომ საგანგებოდ ავალებდა მათი პარტიული იდეოლოგია. არ შეისწავლეს. და თუ „შეისწაელეს", ცალყბად — ქართველი ხალხის საამაყო წარსულს არ დაუპირისპირდნენ. აბა, ასეთ მეცნიერ-ისტორიკოსს იმის გარკვევას როგორღა მოსთხოვ, იმ მართლაც საამაყო წარსულში რა იყო საამაყო და რა დასაგმობი? მცირე გამონაკლისმა ამინდი ვერ შექმნა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ქართული ინტელიგენცია, ცხადია, ისტორიკოსებთან ერთად, თითქოს იმთავითვე დაუპირისპირდა — მისი აზრით — ოკუპანტ ბოლშევიკებს. მაგრამ მხოლოდ მოჩვენებით — ამ ინტელიგენციის დიდი ნაწილი თავისი ნებით მიადგა ბოლშევიკური პარტიის კარებს, რომლის იქით უკვე 1929 წლის სტალინური კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ განუყოფლად ბატონობდა სტალინიზმით გაყალბებული მარქსიზმ-ლენინიზმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამბობდნენ ერთს და აკეთებდნენ მეორეს; ანუ სეთურის გვირაბში („დათა თუთაშხია") იყო მოქცეული „სოციალიზმის" მშენებელი სსრკ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოფიციალური და მათი მონამორჩილი ყიამყრალების სამფლობელოს წარმოადგენდა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური „სოციალისტური" სახელმწიფო. და რომ ეს ყიამყრალები უკვალოდ გამ-

ქრალიყვნენ ამ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, საკვირველი ეს იქნებოდა.

ესეც არის მიზეზი ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი იდეოლოგიის ერთობ დიდი სიჭრელისა.

მიადგა იმიტომ, რომ პარტიის წევრობა შექმნილ ეითარებაში ის ტრამპლინი იყო, რომლითაც სასარგებლო ნახტომს — უპარტიოსთან შედარებით — უფრო ადვილად გააკეთებდი კარიერის ფრონტზე.

რის პრინციპულობა, რომელი ობიექტურობა, რა მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური მრწამსი. ყველაფერი ეს ხომ მათთვის, პირველ რიგში პარტიულებისათვის — საკავშირო მასშტაბით — პარტიულად საყიამყრალო ცნებები იყო.

და ასეთი ინტელიგენცია — პარტიის (იმ პარტიის, ლენინური ჩანაფიქრით, დემოკრატიზმის უმაღლესი განსახიერება რომ უნდა ყოფილიყო) ნების მორჩილი — შექმნიდა და გაიტანდა ხალხში ჭეშმარიტ ცოდნას ჩვენი საზოგადოებისა და ისტორიის შესახებ?! ეს ხომ ბუნტი იქნებოდა!

მაგრამ ბუნტი მაინც მოხდა. სწორედ იმ ისტორიული მატერიალიზმის სრული შესაბამისობით. და... სსრკ თავის იდეოლოგიასთან ერთად გაქრა, გაცამტვერდა.

საქართველოში დაისადგურა სრულმა იდეოლოგიურმა ქაოსმა, ჭრელმა და ეკლექტიკურმა. შედეგი? — ამჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივი *მენტალიტეტი*, როდესაც ვისაც რა მოეპრიანება, იმას ლაპარაკობს და საითაც სურს, იქით მიაჭენებს ანუ ნოყიერი ნიადაგი პრავალპარტიული და სხვაგვარი ყიამყრალობისა და უმაქნისი *ჭიჭყინიზმისათვის*. და ყველაფერი ეს დემოკრატიის დროშის ფრიალით, ბედნიერებასა და აყვავებას რომ ჰპირდებოდნენ და ჰპირდებიან მოფრიალენი თავიანთ

პროგრამებში საქართველოს. მაინც როგორ?! მარტივად. საკმარისია, მთავრობას ჩაუდგე ოპოზიციაში.

მაგრამ თანამედროვე საქართველოში არის ძალები, ქვეყანას ამ რთულ, უმძიმეს ვითარებაში სწორი გზით რომ წარმართავენ. უმთავრესი ამ გზის მიმართულება გახლავთ — მჭიდრო კავშირი დასავლეთთან. არ შეიძლება ამ კავშირმა ეკონომიკური ეფექტიც არ მოგვცეს.

ასე რომ, ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის. მაგრამ ეს ჩვენი, შინაური, დიდად პატივცემული „ძაღლები" ხელს უწყობენ თუ უშლიან ქართული „ქარავნის" სვლას?! და თუ ისინი გარეულებთან ერთად, ხმაშეწყობით „ყეფენ", არა თუ შინაური, საკაცობრიო „ქარავნის" სვლასაც ხომ არ აბრკოლებენ?!

* * *

ყიამყრალობა პოლიტიკურ კულტურასაც გამორიცხვს.

ქართული ოფიციალური ოპოზიციის ერთ-ერთმა „შტატიანმა" ლიდერმა საჯაროდ განაცხადა: განათლების მინისტრი დასაჭერიაო. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ არის დასაჭერი?! მისი აზრით, ცხადია, არის. მაგრამ ვერ შებედა. რომ შეებედა, მთავრობის დამხობის მოწოდება გამოუვიდოდა და თავზე ხელს რომ არ გადაუსვამდნენ, არც მისთვის იყო ძნელი მისახვედრი.

და თუ ამ მინისტრის ანუ მთელი განათლების და მეცნიერების სისტემის რეფორმის წინააღმდეგ ამ ჩვენს კოპწია საქართველოში გამართული საპროტესტო მითქმა-მოთქმა და ვაი-უშველებელი ვითომ ჭეშმარიტად ოპოზიციური ანუ საქმის სასიკეთოდ კი არა, მთავრობის განსაქიქებლად წარმართული სწორედ რომ ყიამყრალობა და ჭიჭყინიზმი არ გახლავთ, მაშ იმდენი არ ვიცით

და არ შეგვიძლია, რომ საქმიანი, დინჯი განხილვებით შეთანხმებული, სწორი გზა გამოვნახოთ?! ეს ხომ აუცილებელია თუნდაც სახელმწიფო ენისა და არაქართველ ანუ ქართულის არმცოდნე (მათ რიცხვში ჩამოსასახლებელი – ჩამოსახლებული – მესხეთელებიც შევლენ) საქართველოს მოქალაქეებში ქართული ენის სწავლების, გავრცელების, დანერგვის თვალსაზრისითაც.

გვესმის კი რეფორმის აუცილებლობა? იგი გარდაუვალია საბჭოური სისტემის მოშლის გამოც, როდესაც „სოციალისტური" იმპერია „გულმოწყალედ" გვიბოძებდა – რასაკვირველია, თავისი მიზნების გათვალისწინებით – არამცირედ სახსრებს უდიდესი ფუფუნების – განათლებისა და მეცნიერებისათვის. გაქრა სისტემა, გაქრა სახსრებიც.

ახალი „მოწყალეც" იმიტომ გეხმარება, მის ყაიდაზე რომ ააგო არამარტო შენი განათლების სისტემა, მთელი ცხოვრებაც. არც ეს არის მოულოდნელი და საკვირველი – არავინ, და არც ძია სემი, რასაკვირველია, არაფერს მუქთად არ იძლევა.

აქ გეჭირდება გონი და გამჭრიახობა. ახალი ეპოქის შესაბამისად, ჯერ ერთმანეთში შევთანხმდეთ რა გვინდა და რისთვის გვინდა და შემდეგ ახალ „მოწყალესთან". და თუ ეს უკანასკნელი ჩვენს შეთანხმებულ ნებას წინ აღუდგა, აქაც იგივე გონი და გამჭრიახობა გემართებს შემდგომი მოქმედებისათვის და არა უსაქმური ჭიჭყინი.

უნდა ვიცოდეთ – უმაღლესი განათლების მქონე რა რაოდენობას დავასაქმებთ და მათი რიცხვიც შესაბამისად განვსაზღვროთ. საბჭოური სისტემის ნაკლი მატერიალური დოვლათის არამწარმოებლური (ინტელიგენტურიც) დიდი სექტორი გახლდათ. ამ ფუფუნებას ვეღარ დავუშვებთ. ქალაქელი განუხრელად უნდა მცირდებოდეს სოფლელის ხარჯზე.

მთავარია გვესმოდეს, რომ დღეს უკვე მკვდარი ან სულთმობრძავი არც ავტოქარხანა და არც ფიზიკის ინსტიტუტი ჩვენი არა, საკავშირო ანუ იმპერიის იყო. და რომ მას, იმპერიას, ეროვნული და საერთო-საკავშირო ანუ საერთაშორისო ერთმანეთთან გონივრულად შეეთანხმებინა, არ დაიშლებოდა.

დღეს კი ვერც ერთს და ვერც მეორეს საკუთარი სახსრებით ვერ შევინახავთ. არც არავინ დაგვიფინანსებს. განსაკუთრებით მეორეს — იგი გადის (დიდი ხანია გასულია) ეროვნული ფარგლებიდან და საერთაშორისო მეცნიერების სფეროში ექცევა. ასეც უნდა იყოს.

მაგრამ ფიზიკის სწავლება გვჭირდება თუ არა საქართველოს სკოლაში? ახალი „მოწყალე" რას ამბობს — არაო? თუ ამბობს, მაშინ ისიც ჩვეულებრივი, ჩვენთვის კარგად ცნობილი, იმპერიალისტი გამოდის.

დიახ, ჩვენც მაგას ვჩივით — ერი იღუპებაო, აჭიჭყინაყიამყრალდებიან საქართველოს „პატრიოტები" და მას, ამ „იმპერიალისტს", ზურგი შევაქციოთ?! ძალი შესწევდეს ქადილსაო! *დამოუკიდებლად* არსებობა რომ არ შეგვიძლია, ეს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის განვლილმა წლებმაც ვეღარ დაგვანახეს?! რა ასეთი სიბეცე და რატომ გვჭირს?! და განა მარტო ჩვენ არ შეგვიძლია?!

ვის მივეყრდნოთ, ვინ ავირჩიოთ მოკავშირედ და პარტნიორად — ისევ რუსეთი, ჩვენი „გადაყლაპვის" წმინდა წყლის იმპერიულ მიზანსა და სურვილს რომ არ ეშვება?!

აქ გვჭირდება სწორედ ცივი გონებით შეფასებულ არსებულ ვითარებაში გარკვევა, ერის, სახელმწიფოს, ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური ანუ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების — როგორც ითქვა — დოქტრინის შემუშავება. იგი თვალსაჩინოდ გამოიკვეთა პრეზიდენტ შევარდნაძისა და პრეზიდენტ სააკაშვილის

მმართველობის წლებში. მას შემდგომი დახვეწა, სრულყოფა და განუხრელი დაცვა სჭირდება.

აქ არის აუცილებელი მთავრობის, სახელმწიფოს ხელმძღვანელების და ერის მამებად თავწარმოდგენილი პირების პირველ რიგში იდეოლოგიური შეთანხმება. ჭეშმარიტ მამებად. მაგრამ არიან კი ასეთები?

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ სიჭრელეში ამას ვერ ვაკეთებთ. თუ არ ვაკეთებთ?! არ ვაკეთებთ ისევ საფუძველიანად შემორჩენილი ფეოდალური მენტალიტეტის გამო, როდესაც თავად-აზნაურული კლანური სისტემა, სოციალურთან ერთად, ყვავი-ჩხიკვის მამიდობაში აზელილი, დღეს იმავე – მაგრამ ბაზისურ საფუძველს მოკლებული– პრინციპებით „პარტიების" დაარსებაში გადაიზარდა...

მაგრამ იმავე ახალმა „მოწყალემ" რომ გითხრას „შუშანიკის წამება" და „ვეფხისტყაოსანი" იმ სკოლაში შემოკლებით ასწავლეო, შენ რას იტყვი – „ეროვნულად" („პატრიოტულად") აჭიჭყინდები თუ გონიერულად დათანხმდები?! გააჩნია, ეინ ხარ, რა იდეოლოგიის.

პრობლემები ამ სფეროშიც – ზემოთაც რომ შეეხეთ – საკმარისზე მეტია. ჩვენ კი დასაჭერიაო!

ჩასდგომოდნენ სათავეში ოპოზიციის პატივცემული ლიდერები საქალაქო ტრანსპორტის ფასების გაძვირებით გამოწვეულ ხალხის სამართლიან გულისწყრომას და ერთად გვებრძოლა იმ „მოწყალესთან" წილნაყარ კერძო კომპანიების წინააღმდეგ. ეს არ მოხდა. რაგომ? არც ლიდერები და არც გულგამწყრალი ხალხი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე?! კი, ასეა.

არც ეს არის მოულოდნელი. შეგნებული, ერთიანი პოლიტიკური ბრძოლა ძნელია, სათანადო დონეს მოითხოვს. როცა ხელს არავინ გიშლის, „პარტიების" შექმნა და გაერთიანდეთო, ძახილი ანუ ყიამყრალობა და უმაქ-

ნისი ჭიჭყინი ადვილია.

თუმცა არც ეს უკანასკნელია ხელაღებით უარსაყოფი. სათანადო პირობებში იგი, შესაძლებელია, იმ ბრძოლაში გადაიზარდოს. მაგრამ ეს არ მოხდება თუ არსებული ხელისუფლება ამის მიზეზი არ გახდა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი ხელისუფლება თვითონ ასრულებს ოპოზიციის დანიშნულებას ანუ თვითონვე ებრძვის და წარმატებით ძლევს საზოგადოებრივი განვითარების ანუ ხალხის ინტერესებისათვის არასახარბიელო ფაქტორებს. მაგრამ ეს უკვე ამ განვითარების გაცილებით მაღალ დონეს ნიშნავს.

ამ დონის მოახლოებას მაღალი, ვთქვათ ასე, კვალიფიკაციის ოპოზიცია ხელს უნდა უწყობდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება. ქართული ოპოზიცია ვერ ხედავს, რომ თავისი ასეთი *პოზიციით* სულ უფრო მეტად იტეხს სახელს თავისი ამომრჩევლის, საქართველოს მოსახლეობის თვალში.

თანამედროვე ვითარებაში უკვე აშკარად აღარ არის საკმარისი ამჟამინდელი ოპოზიციის – და „პოზიციის“ – დიდი ნაწილის ცოდნა, იდეოლოგიური მომზადება. დისიდენტობამ და ანტისაბჭოურობის გამო პოლიტპატიმრობის სტატუტმა თავისი დანიშნულება შეასრულა – სსრკ დაიშალა, საბჭოური სისტემა გაქრა. დღეს უკვე ამ სტატუტით ფონს ვეღარ გასვალ. ვერც ზ. გამსახურდიას თანამებრძოლობით და ვერც მის ე. წ. „ეროვნული მთავრობის“ წევრობით თუ მხარდაჭერით. მათ – ყველას – გონიერება და სწორი პოლიტიკური ალღო რომ გამოეჩინათ, საქართველო იმ ტრაგედიას ასცდებოდა. ვერ ასცდა.

არც ეს იყო მოულოდნელი. და თუ ოპოზიციას, ქართული ინტელიგენციის დიდ ნაწილთან ერთად, არ სურს „ეროვნული მთავრობის“ ბედი გაიზიაროს ანუ ხალხმა რომ ზურგი შეაქციოს, თავისი პოზიცია უნდა

შეცვალოს.

რა იწვევს ამ პატარა ქვეყნის ერთი და იმავე ხალხის ამ ორინაკადის იდეოლოგიურ სხვაობას, დაპირისპირებას?! როგორ, ვისი, რისი გავლენით აღმოცენდა, ჩამოყალიბდა იგი? მით უმეტეს, თუ ამ ქვეყანაში არ იყო კლასობრივი დაპირისპირება და სოციალისტური იდეების შესახებაც თეორიულადაც და პრაქტიკულადაც აქ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე სხვაგან. და უმთავრესი — სასარგებლოა თუ არა ასეთი სხვაობა ამ ქვეყნის, ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესისთვის? სასარგებლო იქნება მხოლოდ ერთი პირობით — თუ ოპოზიცია არსებულ ხელისუფლებასთან შედარებით უფრო მაღალკვალიფიციური იქნება.

ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის ანუ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ანუ ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) სვე-ბედის ანუ მისი საზოგადოებრივი წყობის წარმმართველ, განმსაზღვრელ დემოკრატიულ ორგანოში ამ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი — ქალი თუ კაცი — დიდად განათლებული, ერუდირებული ანუ მრავალმხრივი ცოდნის და იდეოლოგიურად გამოკვეთილი პოზიციის პატრონი უნდა იყოს. სწორედ ამ საზომით უნდა „გავზომოთ“ და ავირჩიოთ ჩვენ, ამომრჩევლებმა, ჩვენი დეპუტატები და არა ყვავიჩხიკვის მამიდობით და ანგარებით. ესეც უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს — პატიოსან შრომაზე დამყარებული, „თეთრი“ ბიზნესი ანგარება არ არის.

სხვა საზომით თუ „გავზომავთ“, რაც მოგვივა, საკუთარ თავს დავაბრალოთ და უმაქნისი აყიამყრალება არას გვარგებს.

რაო, იმდენი აღარ ძალგვიძს, უცოდინარი და თაღლითი მცოდნესა და პატიოსნისგან რომ გავარჩიოთ და რა კაცი (ქალი) იყო წარსულში და არის აწმყოში, ეს რომ დავადგინოთ?! მაგრამ ჩვენ თვითონ ვინ ვიყავით იმ

წარსულში და რანი ვართ დღეს?

დიას, დიდად განათლებული უნდა იყოს და როდესაც – მაგალითად ვიტყვით – იმ პარლამენტის წიგნების ჯიხურში თვეების განმავლობაში ზემოხსენებული ჩვენი წიგნის („გზები...") ქართული ვარიანტის არც ერთი ცალი არ გაიყიდა (რუსული ამავე მიზეზით უკან გამოგვიბრუნეს), ეს რითი ავხსნათ – დეპუტატის ვითომ ქესაცი ჯიბით თუ მისი სრული უინტერესობით?! რა აინტერესებს, აბა?! ავტორის ვინაობას თავი დავანებოთ, წიგნის სათაური არაფერს გეუბნება?! მკითხველი გაგვიგებს ამას რატომ ვამბობთ. მაგრამ რომელი, როგორი მკითხველი?!.

თუ ერთ შემთხვევაში ხერხდება იმ ორ ნაკადს შორის საერთო ენის გამონახვა, მეორე შემთხვევაში რა უშლის ამას ხელს? თუ მთავრობა სწორ გადაწყვეტილებას იღებს მესხეთის მკვიდრთა ჩამოსახლების თაობაზე, რატომ არ მოსწონს იგი ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს – ეროვნული საკითხისადმი განსხვავებული მიმართების, მისი სხვადასხვა გაგების გამო? მერედა სად, როგორ, რატომ ჩამოყალიბდა ეს სხვადასხვაობა?

სადაც და როგორც არ უნდა ჩამოყალიბებულიყო, მეორე პირველთან შედარებით *ჩამორჩენილია* ანუ უარსაყოფია თუ არა? რომელი მათგანი ქმნის „ამინდს" ამ საზოგადოებაში, ქვეყანაში?! ცხადია, მოპასუხეს გააჩნია.

რას გულისხმობს ნაციონალური და ნაციონალისტური? რომელ მათგანს აღიარებს თანამედროვე კაცობრიობის პროგრესული იდეოლოგია? და რომ ამ პროგრესული მიმართების დამცველი – ხელისუფლებისაგან განსხვავებით – ოპოზიციის ის ნაწილი ყოფილიყო, ეს იქნებოდა სწორედ, ხელისუფლებასთან შედარებით, მისი პროგრესულობის უტყუარი ნიშანი. და თუ ასე არ არის, არის თუ არა ეს ნაწილი – თავის ამომრჩევლებთან ერ-

თად – *ჩამორჩენილი*? თუმცა, ამომრჩევლის გათანაბრება დეპუტატთან, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, სწორი არც იყოს.

უპრიანია კითხვა – რას წარმოადგენს, რა მიზანს ემსახურება ოპოზიცია არა მარტო საქართველოში,საერთოდ თანამედროვე, თუნდაც კაპიტალისტურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში? თუ ეს მიზანი სასურველია და ხალხისთვის სასარგებლო, რატომ არ წარმოადგენს ასეთი ოპოზიცია ქვეყნის ხელისუფლებას?!კლასობრივი დაპირისპირების ვითარებაში ეს გასაგებია – მდიდრები ანუ ხალხის მცირე ნაწილი ჩაგრავს ღარიბებს ანუ უდიდეს ნაწილს და ებრძვის მათ წარმომადგენლებს პარლამენტში. ეს – დემოკრატიულ სახელმწიფოში. (სხვაგვარებზე ამჯერად არაფერს ვიტყვით).

მაგრამ საქართველო რომ არ არის – ჯერჯერობით მაინც – ასეთი სახელმწიფო? გახდება კი მომავალში ასეთად? და თუ არ გესურს რომ გახდეს, ამისთვის აქედანვე უნდა ეიზრუნოთ.

ჩაგვრა მხოლოდ სოციალურად და ეკონომიკურად არა, ეროვნულადაც შეიძლება და ასეთსაც არანაკლებ დამანგრეველი შედეგები მოჰყვება ხოლმე.

დიახ, არ არის კლასობრივი მაგრამ არის პარტიული – უფრო სწორად, „პარტიული“ – დაპირისპირება. რა ნიადაგზე აღმოცენებული – „ლუარსაბ თათქარიძეების“ პარტიას ებრძვის „გოგია უიშვილებისა“?! არა. ასეთი ბრძოლის შედეგად ავარდნილი „ცოფიანი გრიგალი“ ანუ საკუთარი სოციალისტური რევოლუცია რუსეთში ავარდნილმა აგვაცილა; თუმცა არა უმსხვერპლოდ. არის თუ არა ეს, – საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ძირითადი, განმსაზღვრელი – მოვლენა დადებითი, ცალკე განხილვის საგანია.

მაშ, რა ვერ გაუყვიათ ერთმანეთში საქართველოს უამრავ „პარტიებს“? – პოლიტიკური ხელისუფლება ანუ პრეზიდენტის სავარძელი.

და თუ ამ ბრძოლაში გსურს, რომ ერთობილმა საქართველომ მხარი დაგიჭიროს და გაიმარჯვო, შენი, ოპოზიციის – უკეთესია გაერთიანებულის – პროგრამა – ცხადია, ეროვნულ საკითხშიც – ამ საქართველომ უნდა მოიწონოს. თავისთავად ცხადია – თუ ამ ბრძოლაში არსებულ მთავრობას სურს ხელისუფლების შენარჩუნება, მისი სადღეისო, მოქმედი, – და არა სახვალიო, დაპირების – პოლიტიკა – რასაკვირველია, ეროვნულ საკითხშიც – იმავე საქართველოს დღესვე უნდა მოსწონდეს და მხარს უჭერდეს. და როდესაც აღნიშნულ საკითხშიც დღევანდელი მთავრობა სწორ პოლიტიკას ირჩევს, საქართველოს მთელ მოსახლეობას თანასწორუფლებიან მოქალაქეებად მიიჩნევს და ვითომ „თურქი", სინამდვილეში კი მესხეთის მკვიდრთა დაბრუნების საკითხსაც დადებითად წყვეტს, ოპოზიციამ რაღა ქნას – არსებულ მთავრობას გვერდში ამოუდგეს და თავი გაკოტრებულად გამოაცხადოს – რაც სამარცხვინო კი არა, პირიქით, ჭეშმარიტად ქების ღირსი იქნებოდა – თუ თითიდან გამოწოვილი, არცთუ იშვიათად ერის საზიანო მოწოდებებით თავისი არასახარბიელო ოპოზიციური არსებობა შეინარუნოს?!

მაგრამ არასახარბიელო ვისთვის? და თუ ამგვარ პარლამენტში ასეთ არსებობას არც თუ ცოტა რამ სახარბიელო მოჰყვება თან, მასზე უარს იტყვის?!..

მოგეხსენებათ, ოპოზიცია არა მარტო საქართველოს, ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელ და ჩამოსაყალიბებელ სახელმწიფოს პრეზიდენტს კი არა, ამ თვალსაზრისით უკვე რა ხანია კარგად გამართულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსაც არ აკლია.

და როდესაც ეს ოპოზიცია,ქვეყნის მეორე,უმთავრესი, დემოკრატიული პარტიის სახით, ქვეყნის პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკას, მაგალითად, ერაყში მკვეთრად უპირისპირდება, რა არის ამის სარჩული, რას ისახავს მიზნად ასეთი ოპოზიციური პოზიცია?!

ცეკვავენ „მესხურს“, ესე იგი – ქართულს

განა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი თავისი მთავრობით, რესპუბლიკური პარტიით,ერაყში ომისა და სისხლის ღვრის მომხრეა?! თუ ასეა, მისი ამომრჩეველი, ამერიკელი ხალხის ნაწილი, აგრესორი ყოფილა. და თუ ასე არ არის, გამოდის რომ დემოკრატიულ ოპოზიციას საერთოდ არ ესმის აღნიშნული პოლიტიკის, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი,გარდამტეხიმნიშვნელობა და მთელიეს მისი ოპოზიციური იწილო-ბიწილო ხელისუფლების მოპოვებას ემსახურება?!

და თუ მოიპოვა,ქვეყნის ამ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში – ჯერ კიდევ როდის დაწყებულს – გაატრიბავებს, შუა გზაზე მიატოვებს, ერაყიდან – იქნებ ახლო აღმოსავლეთიდანაც – გამოვა, იქაურობას ისევ რეაქციულ ძალებს დაუთმობს და მიღწეულ შედეგებს – და მერე როგორებს – წყალში ჩაყრის თუ უდაბნოს ხორმაკებს მიანებებს?! ამის გამკეთებელი იგი, უბრალოდ, ბრიყვი იქნებოდა.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ არ გამოვა – არც უნდა გამოვიდეს და არ დათმობს – არც უნდა დათმოს. არა, რადგანაც უკვე უნდა მიხვდეს – ვალდებულიც არის – „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო", ამ პოზიციაზე დგომა არავის, მით უმეტეს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, არაფერს სასარგებლოს არ მოუტანს. 2001 წლის 11 სექტემბრის აქტიც გაიხსენოს.

მაშ,რა გამოდის – ასეთი ოპოზიცია თავისი მიზნის – ხელისუფლებაში მისვლა – მიღწევას ქვეყნის პოლიტიკის – თუნდაც დროებით – *კომპრომეტირებით* აპირებს?!

რა არის ეს თუ არა ყალბ ჰუმანურობას ამოფარებული ბოროტი ყიამყრალობა?!

და თუ ეს ყველაფერი გაბითურება და ყიამყრალობა – „აკადემიური" სტილით ტენდენციურობა?! – არ არის, მაშ ახლავე დაუჭიროს მხარი ოპოზიციამ პრეზიდენტ ბუშის ერაყის პოლიტიკას. არ უჭერს.

ხომ არ ნიშნავს ეს თანამედროვე აშშ-ის დემოკრატიის არასრულყოფილებას, ნაკლს?! დემოკრატიის, რომელიც, აქაოდა სიტყვის თავისუფლების დაცვით, ჭიჭყინიზმში, გნებავთ, პოლიტიკურ სანახაობაში (მათ ენაზე შოუ-ში) გადაიზრდება ხოლმე?!

რა იწვევს ამ ნაკლს – ვითომ შიში იმისა, ყველა ერთი იდეოლოგიისა რომ არ ვიყოთო?! მერედა ეს რომ წმინდა წყლის დემაგოგია გახლავთ, ამას ვერ ხვდებიან?! რატომ უნდა იყოს მიუღებელი, დასაძრახი ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია რომლის თანახმადაც ბოროტებას *ყველამ* ერთიანი ძალით – სიტყვით კი არა, საქმით – რომ უნდა ებრძოლოს?!

თავისუფალი ნების პრინციპით, ბიზნესის თავისუფლებასაც რომ გულისხმობს, იმავე აშშ-ში წარსულში მავანს შეიძლებოდა გერმანული ფაშიზმიც კი დაეცვა, ხოლო დღეს – მრავალგვარი შეფერილობის დიქტატორული რეჟიმები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

რატომაც არა, თუკი ამ დაცვას *მოგება*, ფული მოაქვსო, შეიძლება აქოთქოთდეს კიდეც თავისუფალი ბიზნესის ასეთი დამცველი. მართლაც, ერთი თუ ტრაქტორების ბიზნესით იგებს, ტანკების ბიზნესმა რა დააშავა?! მთავარი ის არის, რას ემსახურება ნებისმიერი ბიზნესი, ადამიანთა ანუ სახელმწიფოების საქმიანობა, მოღვაწეობა.

და თუ ყველაფერი ეს, პატივცემულო მკითხველო, ანბანური ჭეშმარიტება გახლავთ, რატომ არ იცავს მას – წარსულს თავი დავანებოთ – თანამედროვე პროგრესული კაცობრიობა?! იმავე *ძველებური* – თითქოს უკვე დაძლეული – კლასობრივი ინტერესების გამო ხომ არა?! და თუ ასეა – ჩვენ კი *გვგონია*, რომ ასეა – ხომ არ არის ეს პოლიტიკური მეშჩანობა?

იმავე ერაყში მთელი ხალხის საკუთრებაში გადასულ, გნებავთ, ნაციონალიზებულ მიწაზე იმ ტრაქტორებმა რომ იმუშაონ, ამისათვის ჯერ იმ ტანკების მიერ ამ მიწის დიქ-

ტატორული რეჟიმიდან განთავისუფლება რომ სჭირდება, განა ეს საკამათოა?! იქნებ ისიც საკამათოდ გავხადოთ არის თუ არა ტოტალიტარიზმი და დიქტატურა ბოროტება და რომ ერაყელი და სხვა – მსგავს რეჟიმებში გათანგული – ხალხები საკუთარი ძალებით რომ ვერ მოიპოვებენ დემოკრატიას და თავისუფლებას?! ზოგან იმასაც ამტკიცებენ – ალაჰის „ნებითო“ – ბოროტება არ არისო.

არ არის საკამათო – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ უფრო ენერგიულად, გადაჭრით უნდა შეასრულოს ქნი კლიოს „ნებით“ მასზე დაკისრებული მოვალეობა – *ყველა ღონე იხმაროს მსოფლიოში პროგრესისა და* დემოკრატიის დასამკვიდრებლად.

და თუ არ არის, არც ერაყში და არც სხვაგან მისი გამართლებული პოლიტიკის განქიქება – მით უმეტეს, გამიზნულად – რბილად თუ ვიტყვით, შეცდომაა და ბოროტებას იცავს. განმქიქებელნი მხოლოდ აშშ-ის კონგრესში არ სხედან.

როდესაც ქართული ოპოზიციის ასევე თვალსაჩინო წარმომადგენელი ტელევიზიაში გადაჭრით აცხადებს ერაყში რევოლუცია არ მომხდარაო, ეს ან „რევოლუციის“ სრული არცოდნაა – პოლიტიკური მოღვაწისათვის მიუტევებელი – ან ყიამყრალობის მშვენიერი ნიმუში. ალბათ, უფრო მეორე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგნებული პირი გაჩუმდებოდა, არაფერს იტყოდა.

ქართველების ერაყში საომრად გაგზავნას საქართველოშიც ეწინააღმდეგებიან. ესეც ყიამყრალობის ცნობილი სახეობაა – არ ესმით რას და რატომ ეწინააღმდეგებიან. თუ ესმით, მით უარესი – ბოროტების დამცველებად გამოდიან. მას კი როგორც შეგიძლია ყველგან და ყოველთვის უნდა ეომო – საკუთარი სასლის (სახელმწიფოს) გარეთაც, რადგანაც დღეს არა, ხვალ შენც მოგაკითხავს. საბედნიეროდ, ასეთები ოპოზიციაშიარ არიან.

დიახ, ერაყში რატომ უნდა იომონ ქართველბმაო! თან-

ამემამულეთა სიცოცხლეს უფრთხილდებიან „პატრიოტი“ ყიამყრალები. არა „პატრიოტები“ არ უფრთხილდებიან?!

რატომ ავიწყდებათ (ივიწყებენ), რომ 700 ათასი ქართველიდან მეორე მსოფლიო – გნებავთ, სამამულო – ომმა 300 ათასი ქართველის სიციცხლე რომ შეიწირა? და განა შეიძლება ვინმემ – თუ არა ყიამყრალმა – ქართველი ხალხის ეს ჭეშმარიტად საამაყო გმირობა და თავდადება სათანადოდ რომ არ დააფასოს?! არ შეიძლება. ქართველი ხალხი იმ ომში სწორედ რომ საკუთარ სამშობლოს იცავდა XX საუკუნის კაციჭამიებისგან.

პოლიტიკური სიბეცე იყო და მეტი არაფერი ფიქრი იმისა, რომ გერმანელი ფამისტები სანუკვარ თავისუფლებას მოუტანდნენ ქართველ ხალხს, როდესაც მათ ფეხქვეშ გათელეს ევროპის სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და „ყავისფერი ჭირი“ დაატეხეს თავს მათ ხალხებს.

მაგრამ ჯერ უნდა ვიცოდეთ – ვალდებული ვართ – და შემდეგ არც ის უნდა დავიიწყოთ, რომ ქართველ ხალხს იმ დროს არავინ ეკითხებოდა რამდენს, სად, როდის და რისთვის გააგზავნიდნენ მის შვილებს. იმ ომის გარდა,სხვას რომ თავი დავანებოთ, განა ავღანეთი საკმარისი არ არის?!

დღეს კი სუვერენული და თავისუფალი ქართველი ხალხის, საქართველოს სახელმწიფოს პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის პირადი საქმეა სად, რისთვის და რამდენი დიასაც რომ საამაყო ქართველი დაუდგეს გვერდში მთელ მსოფლიოში ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი საამაყო და განა რით მოვიხდით საპატიო ვალს ჩვენი სახელოვანი წინაპრების წინაშე თუ არა ამ მხარში დგომით და რა იქნება უკეთესი ტამართლება ჩვენი არსებობისა თუ არა თავდადებული ბრძოლა სიკეთისა ბოროტზე გამარჯვებისათვის?

განა ერთი და ორი ქართველი საკუთარი ნებით ჩაიხოცა იმ შუა საუკუნეების ბნელეთში სამშობლოს გა-

რეთ გამართულ ბრძოლებში?! ჩახოცილა ირანსა და აუღანეთშიც. მაგრამ ჩახოცილა არა როგორც მონა და ჯაბანი, გმირულად და ვაჟკაცურად, როგორც ქართველს სჩვეევია და ეკადრება საერთოდ. თუნდაც ამჟამინდელი ერაყის დედაქალაქის, ბაღდადის აღება 1258 წელს რად ღირს, როდესაც მონღოლთა ჯარში გაწვეულმა ქართველთა ლაშქარმა ბრძოლები საკვირველი გადაიხადა.

როდესაც საქართველო აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის შემდეგ მესამე ადგილზეა ერაყში წარგზავნილი მეომრების რაოდენობით და რომ ქართველი სარდალი უხელმძღვანელებს შვიდი სხვა ქვეყნის წარგზავნილებს, რას ნიშნავს ეს და რას იტყვიან ამის თაობაზე „პატრიოტები"?! რასაც მათი შეგნება უკარნახებთ, ის ბრძანონ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო თანასწორი, აღიარებული წევრია იმ საერთაშორისო კავშირისა, რომელმაც ადამიანთა ამ ცოდვილ დედამიწაზე ადამიანური ცხოვრების დამკვიდრებისათვის უნდა იბრძოლოს. სხვა ასეთი ძალა თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს და თუ რას წარმოადგენს მისი მხარდამჭერი, ეს პატივცემულმა ყიამყრალებმა განსაზღვრონ.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ ვერავინ გარეშე თითს ვერ დააკარებს საქართველოს სახელმწიფოს.

დღეს კი თავისუფალ და სუვერენულ საქართველოში მეგობრულიეიზიტით ჩამოსულიირანის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი თავს ნებას აძლევს და *შეგვახსენებს* – სამხრეთ კავკასია, საქართველოსთან ერთად, [ცხადია, ისტორიულად(!)] ირანის ინტერესების სფეროს შეადგენდაო. ესეც გარკვეული ყიამყრალობა ჭახლავთ, უნებურობასა და მიამიტობას რომ ვერ დაიჩემებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართველმა ხალხმა თავისი და სხვისი ისტორია – პრეისტორიიდან მოყოლებული დღემდე – არ იცის და თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაშიც თითქოს ვერ ერკვეოდეს. მშვენიერად გვახსოვს და

ვიცით ჩვენი ახლო თუ შორეული – აზიაშიც, ევროპაშიც – მეზობლების, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა, მიზნები და გეგმები. არც გვიკვირს, რომ ყოველი მათგანი ცდილობდა და ცდილობს საკუთარ „ჯამში“ ჩააგდოს სხვას წაგლეჯილი „ლუკმა“.

მაგრამ არც ის გვიკვირს, რომ ამ *წამგლეჯთათვის* დღეს უკვე არსებობს საკმაოდ მაგარი ლაგამი, მომავალში კიდევ უფრო მაგარი რომ გამოიჭედება.

და ასეთ ვითარებაში ვის გვერდით უნდა დადგეს თავის დღე და მოსწრება სიკეთისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი? *შეძლებისდაგვარად* მებრძოლი. მაგრამ დღეს, თავისი ისტორიული განვითარების შედეგად სწორი პოლიტიკური არჩევანის გამო, ამ მებრძოლის ძალები მზარდია და პერსპექტიული. ეს იმიტომ, რომ ეს მებრძოლი დღეს მარტოსული და ეული აღარ არის.

ასეთ ვითარებაში სხვის მიერ წაგლეჯილი და უცხოეთში გადაკარგული ეს „ლუკმა“ (მესხეთის მკვიდრნი) თავის „ჯამში“ არ დავაბრუნოთ?!

ამ გამრჯე, შრომისმოყვარე ხალხის დაბრუნებით ხომ ჩვენი თანამემამულეების წინაშე სხვის მიერ ჩადენილ მყივან უსამართლობას გამოვასწორებთ.

ეს ნაბიჯი, გარდა იმისა, რომ საკუთარ თავში ერთობ აგვამაღლებს, ჩვენს დიდად შეჭირვებულ დემოგრაფიულ ვითარებას და ეკონომიკასაც სასიკეთოდ წაადგება და არც მომავლის გათვალისწინებით არის უარყოფითი.

მთავარი ის გახლავთ რომ ამ ხალხმა თავის სამშობლოში ჭეშმარიტად ბედნიერად იგრძნოს თავი; ისე, რომ მისი სხვას შეშურდეს. მოგეხსენებათ, ბედნიერებას მხოლოდ „პური არსობისა“ არ ქმნის.

ვინ რას იტყვის ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ?! პირველ რიგში შინაურ და გარეულ ყიამყრალებს ვეკითხებით.

იტყვიან, განა არ იტყვიან. პირველ რიგში შინაურები.

არც დაუიქრდებიან ისე. იტყვიან და ვერ ხედავენ, რომ ის ლაგამი პრეზიდენტ პუტინის რუსეთისთვისაც რომ იჭედება. იმ რუსეთის, საითკენაც დღესაც კი — ყოველივე მომხდარის შემდეგ — თვალი უჭირავთ ჩვენს დიდად პატივცემულ ყიამყრალ-ჭიჭყინისტთაგან არა ერთსა და ორს. იმათაც,ზ. გამსახურდიას (პრეზიდენტობამდეც და შემდგომაც) ერთგულებას რომ ეფიცებოდნენ და თითქოს მხარში ედგნენ სსრკ-ის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მაშინ არ უჭირდათ და ეფიცებოდნენ. დღეს გაუჭირდათ და ის ფიცი დაავიწყდათ, დაივიწყეს. დაივიწყეს და საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წმინდათაწმინდა იდეის განხორციელებას ზურგი შეაქციეს.

სსრკ ენატრებათ. მის ბოროტ ლანდებს ელაციცებიან — თბილისიდან ვლადივოსტოკში თავისუფლად ჩავდიოდითო. რა უნდოდათ, რა ესაქმებოდათ იმ ვლადივოსტოკში, ამას არ დაგიდევთ, საკუთარ ჯიბეს ჩაშტერებულნი. და რომ იმ ვლადივოსტოკიდან და მთელი სსრკ-დან ჩამოსულ-ჩამოსახლებულებით ივსებოდა „მისი“ „სოციალისტურად“ უბრუნველყოფილი საქართველო, ამას ვერ ხედავდა.

დღეს კი ჩინელებს რა უნდათ საქართველოშიო, „ყვითელ“ პრესასთან ხმაშეწყობით ჭიჭყინებს და სამშობლოში დაბრუნების სამართლიანად მსურველ მესხეთის მკვიდრთ უარს ეუბნება —ქვეყნის ეროვნულ მთლიანობას იცავს, ნაციონალისტურ ანუ ქვეყნისთვის საზიანო, დამღუპველ პოზიციაზე მდგომი. თუ როგორ უნდა დავიცვათ ეს მთლიანობა, ზემოთაც ითქვა და სხვასაც, საკითხში სწორად გარკვეულსაც, მოუსმინონ.

ეს არ სურს და ბალტიისპირეთის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსაც მისწვდება მათი მდგომარეობით მოხიბლული. მაგრამ არც იმას დაგიდევთ, მათთან შესადარებელი დღეს რომ ერთობ მცირე რამ გაგვაჩნია.

უჰ, როგორ თუ არ გაგვაჩნია, ჩვენ ხომ უძველესი კულ-

ტურა გვაქესი, დიდის რიხით შემოგვედავებიან.

საწყლები – არა აქვთ! მაგრამ დღეს იმდენი რომ შეძლეს, თავიანთი ქვეყნიდან საბჭოთა რუსს ფაქტიურად ფეხი რომ ამოაკვეთინეს, ეს როგორ – ერიოვნული ერთობის და შეთანხმებული მოქმედების – ჩვენთან შედარებით – გაცილებით უფრო მაღალი დონის გამო ხომ არა?!

დიახ, *შეთანხმებული* მოქმედების! და არც იმას იხსენებს და,მით უმეტეს,არც ობიექტურად,მიუკერძოებლად განიხილავს თუ რა ხდებოდა იმ წლებში თუნდაც აფხაზეთში და რატომ, რისთვის გაიხლიჩა იქაური – და არა მარტო – ქართველობა ერთმანეთს ტყვიით დაპირისპირებულ ორ ნაწილად?! აბა, აფხაზურ-ქართულ *კონფლიქტს* ობიექტურად როგორღა განიხილავს?! თავის თავს კითხვასაც არ დაუსვამს – იმ კონფლიქტში ქართველებსაც ხომ არ მიგვიძღვის ბრალი და ანგელოზები ვიყავითო?!

ობიექტურ განხილვას და, მაშასადამე, პრობლემის სწორ გადაწყვეტას უმთავრესი რამ – *ნაციონალისტურ* პოზიციაზე დგომა – უშლის ხელს.

ბალტიისპირელები ერთმანეთს ტყვიით არ დარევიან. ჩვენ დავერიეთ. თუ რატომ, ეს არ არის მთავარი. მთავარი ფაქტია. დავერიეთ. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ.

თუმცა, ვცდებით; ვისწავლეთ – ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის – მათ შორის ოსებიც – დიდი უმრავლესობა ხვდება, სწვდება შევარდნაძე-სააკაშვილის სწორი სტრატეგიული გეგმის მნიშვნელობას და რომ ვერავინ ამ მნიშვნელობას ვერ გააუფასურებს. ვერც ვერანაირი დემაგოგი და მოჭიჭყინ-მოყიამყრალე, რასაკვირველია.

ამ თემაზე ნატო-ში შესვლის შემდგომაც ვისაუბროთ, ბატონებო და ქალბატონებო.

ახლა კი აი, რას გეკითხებით: – ერაყში ჩვენი ყოფნა ამ შესვლას ხელს უწყობს და აჩქარებს თუ უშლის და აბრკოლებს?!

და ერთიც – რატომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ და

ქართული ანდაზაა: „მღვდელი ჭილოფშიც იცნობა“

მისმა „ეროვნულმა მთავრობამ“ არ შეიმუშავა ეს გეგმა, რა უშლიდათ ხელს?!პასუხი ობიექტურობის,გულწრფელობის — და არა ყიამყრალობის — მაღალ დონეს მოითხოვს.

არც ამას ვამბობთ იშის გებით, არ გეჩვევია.

მომხდარი ობიექტურად შევაფასოთ, დასაგმობი დავგმოთ, სწორ გზებზე დავდგეთ და აწმყოსა და მომავალს თვალი ჯიქურ გავუსწოროთ. ქართველ ხალხს ეს ნამდვილად ძალუძს. აკი, ვესროლოთო ერთმანეთს ტიტები!

უმთავრესი იმ გზათაგან, განსაკუთრებით ჩვენთვის, — ეკონომიკასთან ერთად — სწორი ეროვნული პოლიტიკა გახლავთ. სწორედ ის, იმთავითვე რომ ჩამოყალიბდა ისტორიულ საქართველოში. ამ გზებს, ცხადია, ვერც შინაურმა და ვერც გარეულმა, ვერ უნდა აგვაცდინოს.

* * *

თანამედროვე საქართველოში ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასობრივი, სოციალური დაყოფა, დანაწევრება, დიფერენციაცია არ გვაქვს; მაგრამ საზოგადოების პროგრესული განვითარების ეს უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი პირობა გვაქვს რუსი ბოლშევიკების და არა საკუთარი, დამოუკიდებელი ნების, დამსახურების გამო. არა გვაქვს არც შესაბამისი პოლიტიკური ცოდნა და ბრძოლის გამოცდილება. ესეც ქმნის ყიამყრალობისათვის ნოყიერ ნიადაგს.

ქართველი ბოლშევიკები კი გვყავდა, მაგრამ რუსიფიკატორ ბოლშევიკებისადმი (ცხადია, ლენინის გამოკლებით) მათი სრული მორჩილების და დაბალი ეროვნული თვითშეგნების გამო — ბოლშევიზმის რუსეთში ჩასახვა-განვითარებიდან რომ იღებს სათავეს — დამოუკიდებლად, უშუალოდ ქართველი ერის ეროვნული ინტერესების, თავისთავადობის თვალსაზრისით, ძალზე ცოტა რამ გააკეთეს. და თუ გაკეთდა დადებითი — საბჭოთა კავშირში „სოციალიზმის“ საერთო

მშენებლობის გამო.

პოსტსაბჭოურ საქართველოში სწორედ ეროვნული თავისთავადობის აღდგენისა და განმტკიცების საესებით გამართლებული, პატივსადები მიზნით აღტყინებული ქართველი სალხის დიდი ნაწილი უყოყმანოდ, განსჯისა და დაფიქრების გარეშე დადგა არაკომუნისტი, დისიდენტად ცნობილი, სწორედ იმ წლებში – მოთსოვნილების გამო – ეროვნულ ლიდერად მიჩნეული, სახელოვანი მწერლის შვილის, ზვიად გამსახურდიას და შემდეგ მისი ე.წ. „ეროვნული მთავრობის“ გვერდით.

მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გაცილებით უფრო გამოცდილი, ბოლშევიზმის, როგორც *სისტემის* და საბჭოთა სახელმწიფოს სრული კრახის შედეგად უადგილოდ დარჩენილი ყოფილი კომუნისტების (ბოლშევიკების) – ზოგჯერ გამართლებული, ხშირად გაუმართლებელი – ხელაღებით უარყოფა და მათი, აგრეთვე ქართული საზოგადოების სხვა, ღირსეული წარმომადგენლების სწორი, გამართლებული წინადადებანი არც მან, არც მისმა მთავრობამ ყურად არ იღო; ეს წინადადებები, რჩევები – თავისთავად სუსტად, უგერგილოდ გამოთქმულნი – იმ აღტყინებაში ჩაიძირა და... მოხდა ის, რაც, ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი განვითარების დაბალ დონეზე ხდება ხოლმე. ქართული საზოგადოებრიობის ზოგადმა ისტორიულმა კულტურამ ვერ გვიშველა. ვერც გვიშველიდა.

ახალი დრო ახალ იდეოლოგიას მოითხოვდა. გამართლებული, ამ დროის შესაფერი ვერც პოლიტიკური, ვერც ეკონომიკური, ვერც ეროვნული დოქტრინა ვერ შეეიმუშავეთ და „მრგვალ“ თუ „ოთხკუთხა“ მაგიდასთან მოლაპარაკებაშეთანხმების, ერისათვის მისაღები კომპრომისის გამოძებნის ნაცვლად ქართველები ავიშალეთ და ერთმანეთს – მტრების გასახარად – სიტყვის ნაცვლად ტყვიით დავერიეთ.

შედეგი აქაც კანონზომიერი მივიღეთ. კლასიკურ სამო-

ქალაქო ომს მხოლოდ მიმსგავსებული, პოლიტიკური ხელისუფლებისთვის გამართული, საყოველთაო, მთელი საქართველოს მომცველი შუღლი და არეულობა ბოლოს *ძალის* გამარჯვებით დასრულდა.

ამ ძალას, როგორც აღვნიშნეთ, თავისი შეცდომის სწორად შემფასებელი ხალხი ქმნიდა. მას ბოლშევიკყოფილი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ ის, ფაქტიურად დისიდენტი, ბოროტების იმპერიის დაშლაში ერთ-ერთი ძირითადი, არსებითი ღვაწლი რომ მიუძღვის.

საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში სწორუპოვარი ამ პიროვნების ფენომენის ვერ, არ გაგებამ, სუბიექტურად, მცდარი ეროვნული, ზ. გამსახურდიას გულწრფელი და ანგარებიანი მომხრეების პოზიციიდან შეფასებამ ორად გახლიჩა პრინციპში ერთი — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების — სურვილით აბობოქრებული სრულიად საქართველო.

ეს გახლეჩვა — ჩვენდა სამარცხვინოდ — გრძელდება და მან პარლამენტშიც იჩინა თავი ოპოზიციის სახით.

მაგრამ რომ არა შევარდნაძის სწორი კურსი და რომ არა პრეზიდენტ საკაშვილის მიერ ამ კურსის გაგრძელება, დღეს არც ის პარლამენტი იარსებებდა თავისი ოპოზიციით. მაგრამ ამას — ისევე, როგორც სხვას, მრავალს — ჯერ დანახვა, გაგება უნდა და შემდეგ აღიარება.

დიახ, იჩინა. და იქ სრულიად საქართველოს სასარგებლო მოღვაწეობის ნაცვლად პრეზიდენტის და მთავრობის საწინააღმდეგო მდარე, ოდიოზურ ფორმებში ელინდება.

საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონის ერს ყოველივე ეს არ ეკადრება.

არავინ მოითხოვს, არც უნდა მოვითხოვოთ, მორჩილება და დიქტატურა. მაგრამ არც დემოკრატიამ არ უნდა მოგვცეს ქვეყნისთვის საზიანო შედეგები. სწორად გაგებული და დაცული დემოკრატია ასეთ შედეგებს არ მოგვცემს. ეს თანაბრად ეხება როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზი-

ციას. ორივესთვის მიუღებელი უნდა იყოს როგორც ყოველ-
გვარი დემაგოგია, ასევე ყიამყრალობა.

არც ერთი და არც მეორე არ უნდა შეაცდინოს ხალხის მოჩვენებითმა პასიურობამ. იგი „ცხვარი" არ არის და მის გაცხარებას უნდა ვერიდოთ.

დემოკრატია, მოგეხსენებათ, ხალხის მმართველობას ნიშნავს და მას ქართველი ხალხიც დაეუფლება, გაითავისებს. ხელს უკვე ვერავინ შეუშლის – ვერც მეფე, ვერც თავადი, ვერც ბურჟუა-კაპიტალისტი და ვერც ბოლშევიკების *გენსეკი*. იგი თავისუფალია. ჯერჯერობით ეს თავისუფლება ვერ გაუსიგრძეგანებია, მასში ვერ *ჩამჯდარა*. და თუ სხვა ხალხებმა ეს მოახერხეს, შეძლეს, ქართველი ხალხი რით არის მათზე ნაკლები?!

და რომ „ცხვარი" არ გაცხარდეს, პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, ოპოზიცია ხალხის ინტერესებს რეალურად, საქმიანად უნდა იცავდეს.

და განა დემაგოგია და ყიამყრალობა არ არის, როდესაც ოპოზიცია თავისი გაერთიანების უუნარობას დემოკრატიული პრინციპების მოშველიებით რომ ცდილობს?!აქაოდა ყველა ერთნაირად ხომ არ ვიფიქრებთო – ერთმა ერთი თქვას და აკეთოს, მეორემ – მეორეო.

საბრალონი! იმას ვერ ხვდებიან და ვერ ხედავენ, რომ თუკი ხელისუფლებამ მოახერხა მიზნის მიღწევა და პარლამენტშიც უმრავლესობა მოიპოვა, მათ რა უშლის ხელს იგივე გააკეთონ?!

ვისი მხარდაჭერით შეძლო არსებულმა მთავრობამ მიზნის მიღწევა? ოპოზიცია რატომ აღმოჩნდა ამ მხარდაჭერის გარეშე? რა დროიდან აღმოჩნდა?!

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების (სახელმწიფოს) ერთ-ერთ ძირითად პრინციპს თავისუფალი ეკონომიკური (საბაზრო) ურთიერთობანი წარმოადგენს. ხოლო თუ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ამ პრინციპს არ იცავს, ეს გამოიყენოს ოპოზიციამ მთავრო-

ბის საწინააღმდეგო გამოსვლებში და დასავლეთის მხარდაჭერა ანუ მომავალ არჩევნებში გამარჯვება უზრუნველყოფილი ექნება.

მაგრამ არ შეიძლება დემოკრატიული პრინციპები მხოლოდ ეკონომიკაში და არა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინერგებოდეს, ხორციელდებოდეს. ხოლო თუ როგორი დემოკრატიულები არიან ოპოზიციის ჩვენი პატივცემული წარმომადგენლები, ეს მესხეთის მკვიდრთა ჩამოსახლებასთან მათი დამოკიდებულებითაც კარგად ირკვევა. თავიანთი ნაციონალისტური პოზიციის გამართლებას აშკარად გაუმართლებელი მსჯელობით ცდილობენ.

ჩვენი ლტოლვილებისათვის ვერ მოგვიელიაო, აცხადებს ერთერთი მათგანი და დაბრუნების კანონპროექტი თუ გავიდა, მის წინააღმდეგ პეტიციების შეგროვებას დავიწყებთო, იმუქრება.

ჯერ ერთი, აფხაზეთიდან ლტოლვილები მხოლოდ აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ, ხოლო მესხეთის ყოფილი მკვიდრნი მიელ საქართველოში განსახლებაზე უარს არ ამბობენ. ვერც იტყვიან — სხვა შესაძლებლობა უბრალოდ არ არსებობს.

აფხაზეთიდან ლტოლვილებს აფსუა (აფხაზი) სეპარატისტები რუსი შოვინისტების ნებით არ აბრუნებენ. მესხეთის მკვიდრთა დაბრუნებას კი ვინ ეწინააღმდეგება და რატომ — ქართველი სეპარატისტები თუ საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული პარლამენტის ოპოზიციონერი უმცირესობა, რომლის უმთავრესი მიზანია მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებით (თუ გამოხდომებით?!) თავის გაბრიყვებულ ამომრჩეველებში ქულების მოპოვება?! თუ გაბრიყვებულები და ისინიც ნაციონალისტები არ არიან, მაშ თავიანთ დეპუტატთან ერთად სამართლიანობის აღდგენაზე უარს რატომ ამბობენ?! საკუთარი თავი წარმოიდგინონ მათ ადგილზე.

აფხაზეთიდან ლტოლვილების აფხაზეთში ანუ თავის კარმიდამოში არდაბრუნება სრულიად სამართლიანად ბოროტებად მიგვაჩნია. მაგრამ ბოროტებად არ ვთვლით მესხეთის ყოფილ მკვიდრთა მიმართ ორჯერ განხორციელებულ ბოროტე-

ბას – ერთხელ, როდესაც თავიანთი სამშობლოდან აყარეს და მეორედ იმ ახალ საცხოვრებლიდანაც საშინელი ხოცვა-ყლეტით რომ გამოყარეს. და თუ ვთვლით, ვინ უნდა აღადგინოს სამართლიანობა´– სტალინიზმის მემკვიდრე პუტინის რუსეთმა თუ ჩვენ, დემოკრატიზმის გზაზე რეალურად, მტკიცედ შემდგარმა საქართველომ?

ასეთმა საქართველომ დიახაც რომ უნდა მიხედოს, *უპატრონოს* თავის დღევანდელ ფარგლებს მიღმა სხვადასხვა დროსა და მიზეზებით აღმოჩენილ, ჩარჩენილ მის შვილებს. პატრონობა სხვას არაფერს – მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვას უნდა გულისხმობდეს. ესეც ეროვნული ინტერესების დაცვას წარმოადგენს. მაგრამ სხვას რომ მოსთხოვო, ჯერ შენ უნდა იყო იმ უფლებების დამცველი.

რა ვუწოდოთ ოპოზიციის ასეთ პოზიციას – თითქოს „უბრალო" ყიამყრალობა თუ მთავრობის სრულიად გამართლებული, ჰუმანური ღონისძიების ჩაშლის აშკარა ცდა?!

და ერთიც – თუკი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა თავისი მთავრობით და საპარლამენტო უმრავლესობით მხარს უჭერს კანონპროექტს,მაშ ოპოზიციის ეს ნაწილი თავისი საწინააღმდეგო პოზიციით რა მიმართებაში დგება აღნიშნულ ორივე უმრავლესობის მიმართ?!

კამათი უნდა იყოს არა დაბრუნების, არამედ მისი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელების თაობაზე. ასეთ ოპოზიციას მივესალმებით, მხარს ვუჭერთ და ვამართლებთ. და არა მარტო ჩვენ.

პეტიციებიო, კი ბატონო! მაგრამ ვიცით თუ არა, ასეთი ღონისძიებაც თანამედროვე არასრულყოფილი დემოკრატიის ერთ-ერთი ნიშანთაგანი რომ არის პოლიტიკურ ასპარეზზე ხელმოცარულთა სანუგეშოდ? აბა, რომელი მთავრობა უარყოფს მისი აზრით აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებას ან, მით უმეტეს, გადადგება წყნარად, მშვიდად; თანაც ვინ იცის როგორ, რანაირად შეგროვებული ხელმოწერების ზემოქმედებით?!

მოკლედ ეიტყვით: თავი და თავი ის გასლავთ, რას წარმოადგენს ეს მთავრობა, ვინ, როგორ აირჩიეს იგი და რა მიზანს ემსახურება. ეს რამდენიმე სიტყვა მოიცავს მთელი კაცობრიობის კლასობრივი ისტორიის — განსაკუთრებით პოლიტიკურის — არსს.

ობიექტურად თუგანვსჯით, საქართველოს ორი უკანასკნელი პრეზიდენტის მთავრობებს, საერთოდ ხელისუფლებას, ტოლი არ მოეპოვება მთელ მის ისტორიაში. ვიდრე ყიამყრალად აექოთქოთდებოდეთ — ალბათ, არა ყველა, იმედი გვაქვს — კარგად ცნობილი ფრაზა გავიხსენოთ: ყველა ხალხი თავისი მთავრობის ღირსიაო. ჭეშმარიტად, — რასაც წარმოვადგენთ თითოეული ჩვენთაგანი ცალკ-ცალკე და მთლიანობაში, ისეთივე მთავრობა გვყავს. არ მოგვწონს?! ჯერ ეს გავარკვიოთ — საკუთარი თავი თუ მოგვწონს?!

უჰ, მაშ როგორ! აბა, რომელი ჩვენგანი მიიჩნევს საკუთარ თავს იმ *ბრბოს* შემადგენელ წევრად, დაუფიქრებლად რომ მიაკერებს მსაზღვრელად დანარჩენებს ანუ ხალხის მასებს?! არცერთი! და მიეიღეთ კიდეც მოჭიჭყინ-მოყიამყრალეთა საქართველო — პიროვნულად ყველა *მაღალკულტურულია, განათლებულია და ა.შ.* მაგრამ ერთობლიობაში?! და ეს შენი მაღალკულტურული ქართველი *საკუთარი* —ალბათ სუფთა — ბინის ფანჯრიდან ისე გადმოგაყრის ნაგავს თავზე ქუჩაში გამვლელს, თითქოს ეს იმ კულტურის ნიშანი ყოფილიყოს.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, რასაც წარმოვადგენთ, რასაც ვიმსახურებთ სწორედ ისეთი მთავრობა გვყავს! (გამონაკლისი კანონს ამტკიცებსო, არც ეს გვავიწყდება!)_

არჩევნებიც ბრძოლაა და იმიტომ იმართება, რომ ან შენ უნდა აირჩიო ან შენ უნდა აგირჩიონ. ამ ბრძოლაში ვანცდილ მარცხს ხელმოწერების შეგროვებით ვერ აინაზღაურებ.

და როდესაც ეს ბრძოლა პატიოსნად და უანგაროდ წარიმართება_ მაგრამ ეს უკვე მომავალში, როდესაც ასეთი ბრძოლაც საჭირო აღარ იქნება.

მაგრამ თანამედროვე ეითარებაში არც პეტიციაა ხელაღებით დასაძრახი და უარსაყოფი. გააჩნია სად, როგორ, რა მიზნით

და ვინ ახორციელებს მას.

იმავე აშშ-ში, მაგალითად, პრესის – სამართლიანად და არა დემაგოგიურად, თვალის ასახვევად რომ ატარებს მეოთხე ხელისუფლების სახელს – მიერ აკორებულმა ტალღამ პრეზიდენტი გადააყენა. ეს იმიტომ, რომ იმ პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია და ხალხის ინტერესებს აშკარად დაუპირისპირდა? თუ არა, მაშ რა მოხდა?!

მაგრამ ჩვენი ოპოზიცია და მისი მხარდამჭერი „ყვითელი" პრესა ვის, რას, რატომ და როგორ უპირისპირდება?! საკითხავი სწორედ ეს არის.

***

დღეს უკვე გარკვევით შეიძლება ითქვას: ეროვნული საკითხი ბევრს არასწორად ესმის საქართველოში. როდესაც ინტელიგენციის არამცირედ ნაწილს აყოლილი ქართველების ასევე არამცირედი ნაწილი, მაგალითად, დაბეჯითებით აცსადებს ამერიკელები ანუ აშშ-ს მოსახლეობა ერი არ.არის და მათ არც კულტურა აქვთო, რა არის ეს თუ არა უხეშ უვიცობაზე აფუებული ნაციონალისტობით მსუყედ შეზავებული ყიამყრალობა?! საიდან მოდის იგი – ხალხში თავისით გაჩნდა თუ?..

ინტელიგენტობა განათლებას, ცოდნას, გულისხმობს. არ არის აუცილებელი იგი უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. მთავარია ვისგან და როგორი მიიღე. და რომ ეს ასეა, ამ შემთხვევაშიც – შეადგენენ თუ არა ამერიკელები ერს – თვალსაჩინოდ დასტურდება. ჯერ სად ჩაისახა, დაიბადა და მერე ვინ და რატომ ავრცელებს ამ ვაი-მეცნიერულ, ნაციონალისტურ ყინჩზე დამყარებულ ამ მჟავე სისულელეს?! სწორედ რომ ყინჩზე – აი, ჩვენ ქართველები ვართ ერი და გვაქვს, – თანაც უძველესი – კულტურა. ამერიკელები კი – არ არიან და არა აქვთ.

ამის მთქმელი და, მით უმეტეს, დამწერი უბრალოდ ყიამყრალი და ვაი-მეცნიერი კი არა, მავნე და დამნაშავეა

ანთროპოლოგი რას იტყვის?

ხალხის წინაშე. მას და მისთანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ ერის, როგორც ისტორიული კატეგორიის შესახებ.

და რომ პქონდეთ, დარწმუნდებოდნენ, რომ აშშ თავისი ისტორიით ჭეშმარიტად თვალსაჩინო, ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს ისტორიკოსის ლაბორატორიაში აღნიშნული კატეგორიის მეცნიერულად და არა ნაციონალისტურად, გნებავთ, ყალთაბანდურად შესწავლისათვის.

აშშ ნათელყოფს იმ პროცესს, ქართველმა ერმა – სხვა ერების მსგავსად – მორეულ ისტორიულ წარსულში რომ განვლეს, დღესაც რომ გრძელდება და არც არასდროს დასრულდება, ვიდრე ეს კონკრეტული ერი არსებობს; სხვადასხვა – მონათესავე თუ უცხო – ეთნოსისგან ერთიანი ხალხის, ერის ჩამოყალიბებას, წარმოქმნას რომ გულისხმობს და რომელიც ზედმიწევნით მატერიალისტურ გარემოში, ვითარებაში მიმდინარეობს და არა რაღაც ზებუნებრივი ძალის ნებით ხდება.

არ არსებობს და არც არასდროს არსებობდა სუფთა, ერთი ეთნიკური შემადგენლობის – სისხლით მონათესავეთა გვარისგან გარკვეულად განსხვავებული – ერი. ასეთი რამ მხოლოდ ასევე ვაი-მეცნიერულად აფუებულ ნაციონალისტებისა და ფაშისტების „თეორიებში" არსებობდა და არსებობს. რაც მათ მოიმოქმედეს და დამსახურებულადაც მიიღეს, ცნობილია. მომავალშიც იმასვე მიიღებენ.

ისევე, როგორც ყველაფერი სამყაროში, ერიც ჩნდება, იზრდება, ვითარდება და... ადამიანთა საზოგადოებრივი განვითარების ეს ფენომენი, იმავე ადამიანების გონიერული მოქმედების წყალობით, – იმ საზოგადოებასთან ერთად – არ დაიშლება, არ დაინგრევა, არ დაიღუპება. (დედამიწის სამყაროულ კატასტროფას, ცხადია, არ ვგულისხმობთ). ხოლო თუ რას ნიშნავს ეს გონიერული მოქმედება – ეროვნულ საკითხშიც – ეს, როგორც ირკვევა, მრავალმა ჩვენთაგანმა, სამწუხაროდ, თურმე

არ იცის. აღნიშნულ საკითხშიც ასეთი მოქმედება იმას ნიშნავს, რომ – ვიმეორებთ – შენი ეროვნული სახელმწიფოს კარიბჭეს ვინმე თუ მოადგა, მას ხელაღებით უარი არ უნდა უთხრა. აშშ, მაგალითად, ასე იქცევა. კარიბჭის ჩარაზვა, ესეც ითქვა, არაფერს მოგვცემს.

რა თქმა უნდა, აშშ სხვა სიდიდეა, სხვა განზომილებაა. პრინციპია მთავარი. და თუ ამ პრინციპს დემოკრატიის გზაზე ასალფეხადგმულ ჩვენს სახელმწიფოში საფუძველიანად არ დავნერგავთ, არაფერი გამოგვივა. არც „არასასურველი თურქი-მესხების" გარედან არმიღებით და არც ასეთი „არასასურველების" შიგნიდან გარეთ *გაყრით*. ერთიც და მეორეც ეროვნულ ასპექტში დიახაც რომ ფაშიზმია.

არ არის საკამათო, – ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოს ბატონ-პატრონი ეს ეროვნება უნდა იყოს. მაგრამ, რასაკვირველია, არა ნაციონალისტურად, ფაშისტურად განწყობილი. დროა, შეეიგნოთ – ასეთ *ეროვნულ* სახელმწიფოში მთავარია მოქალაქე და არა ეროვნება. ეს უკანასკნელი ამ სახელმწიფოს ეროვნულობამ გაარკვია – ეს არის *ქართველების* და არა სხვისი სახელმწიფო.

აშშ-ში ეს ასეა. რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელების – ანუ არა კანადელების, მექსიკელების და ა. შ. ეროვნული სახელმწიფოსათვის მნიშვნელობა არა აქვს, შენ შენს კონკრეტულ ოჯახში რა ენაზე ლაპარაკობ. მაგრამ როგორც კი გარეთ გამოხვალ, ერთადერთ, სახელმწიფო ენაზე, ინგლისურზე უნდა ილაპარაკო, ისწავლო, იმუშაო და ა.შ. ამას გულისხმობს აღნიშნული პრინციპი. გამონაკლისი – თუ ასეთი არსებობს – ამ ქვეყნის დემოკრატიზმის თვალსაჩინო ნიშანი და პრინციპის დადასტურებას ნიშნავს.

დიას, უნდა ილაპარაკო, ამას არავინ გაიძულებს – ამასაც ვიმეორებთ – თუ არა ამ ქვეყნის საზოგადოებრი-

ვი ცხოვრება. არ მოგწონს? – ძალას არავინ გატანს. გაერიდე მას.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ არ ერიდება – იგი მდიდარია, ძლიერი და ამიტომ მიმზიდველი.

იგივე პრინციპი ქმნის ნებისმიერი ერის სასიცოცხლო ენერგიას.. უარყოფ მას? – ეს ენერგიაც დაგეშრიტება.

მაშ, რატომ არ უნდა დავენერგოთ და ვახაროთ საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოში ეს პრინციპი? რაო, განა იგი ეთნიკურად ჭრელი არ არის?! არის. სწორედ ამიტომ უნდა დავნერგოთ. ამასვე მოითხოვს ახალი, მკვეთრად შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრება. თუ ჩავუღრმავდებით, ახალი და მთლად უცხო არც ეს პრინციპია ჩვენთვის. უბრალოდ,ისტორიული წარსულის სინამდვილეში თითქმის უცნობმა მოქალაქის სტატუსმა შეიძინა მეტი მინაარსი, დატვირთვა.

განა დღეს ვინმეს ეჭვი ეპარება ალბათ ალანებიდან მომდინარე ალანიების (და სხვა მრავალი მათი მსგავსების) ქართველობაში? მაგრამ არც მისმა მეგრელობამ არავინ უნდა დააეჭვოს და, რაც მთავარია, გააკვირვოს. არც სხვების სვანობამ,აფხაზობამ, ოსობამ,სომხობამ და ა. შ. და მათ თავიანთი ეთნიკური ნიშნები, თავისთავადობა არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში – მათი ნებისმიერი ვარიანტი ერთობილი სახელმწიფოდან გარკვეული ზომით მაინც გამოყოფილი, მაინც *ავტონომია* რომ იქნება – არამედ, სახელმწიფო დონის და მისი მფარველობა-მხარდაჭერის მქონე კულტურულ სათეისტომოში უნდა შეინარჩუნონ.

მაშასადამე, ეროენული სახელმწიფოს ნებისმიერი მოქალაქე, ანუ მთელი მოსახლეობა, თავის სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ინტერესებს იცავს და იკმაყოფილებს ამ მოსახლეობის ერთიანი ნებით შექმნილი კონსტიტუციით, ხოლო

თავის ეთნიკურობას ამ სათვისტომოებში. ეს გახლავთ ეროვნულ სახელმწიფოში ეთნიკური ერთეულების დაცვის ყველაზე უფრო დემოკრატიულად გამართლებული, რეალური გზა. სამომავლო გზა. ყველა, ვინც კი მას ეწინააღმდეგება, ამ ეროვნული სახელმწიფოს მტერია აშკარა და სათანადო უნდა მიეზღოს. ვითომცდა დემოკრატიის მოშველიებით მის წინააღმდეგ აყიამყრალება, სიყალბე და დემაგოგია გახლავთ.

ამჟამინდელ ვითარებას საქართველოში ეროვნულ საკითხშიც მასინჯი საბჭოური სინამდვილიდან გამოსული რეალობა განსაზღვრავს. მას, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს.

საერთოდ, თანამედროვე ვითარებაში ეროვნულს უპირატესად ოჯახი– განსაკუთრებით სოფლის ოჯახი– იცავს და არა ქალაქი თავისი ქუჩით. გასაგები-მიზეზების გამო – კაპიტალისტური ურბანიზაცია გვიტევს. ჩვენთან, მიუხედავად „სოციალისტური“ განვითარებისა, მაინც დაგვიანებული ეს პროცესი მომავალში მძლავრად შემოგვიტევს. ასეთ ვითარებაში ეროვნულის დაცვა ოჯახის, საბავშვო ბაღის, საჯარო და უმაღლესი სკოლის ანუ მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს. ამას მხოლოდ უმაღლესი ეროვნული თვითშეგნებით მივაღწევთ. დაცვა, რა თქმა უნდა, არანაციონალისტურად და, როგორც ითქვა, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის დონეზე. ყოველივე ამის წინააღმდეგ მხოლოდ აშკარა თუ ფარული იმპერიალისტი აყიამყრალდება.

ვის რა აქვს – და თუ აქვს, რატომ – იმის საწინააღმდეგო, რომ ქართულ სოფელში ქართველი გლეხის მარნის კარი მუდამ რომ ჭრიალებდეს და რომ ამ მარანში ქართული ღვინო იწურებოდეს? მაგრამ ამ საქმეს პირველ რიგში და უმთავრესად ჩვენ უნდა მიეხედოთ – ხელისუფლებისა და ოფიციალური თუ არაოფიციალური ოპოზიციის შეთანხმებული, საქმიანი მოქმედებით. პრინ-

ციპის შესახებ ზემოთაც ითქვა: — „საქმისათვის ეგრე კი არა, ასე აჯობებს“. მთავარი ამ საქმეში გულწრფელი დამოკიდებულება გახლავთ. ეს კი, საკმაოდ უცხო რამ გახლავთ კაპიტალისტური ზნეობისათვის. აუცილებლად უნდა ეზიაროს მას ქართველი „კაპიტალისტიც“?!

ვიცით, რომ კაპიტალიზმის პირობებში კონკურენციის ულმობელი კანონი ქართულ ღვინოსაც მტრულად უპირისპირდება. ქართველი მეღვინეობა ამ ბრძოლაში მარტოკა ვერ გააღწევს. სახელმწიფო უნდა მფარველობდეს. და არა მარტო მეღვინეობას. მაგრამ ასეთ მფარველობას ჩვენი სახელმწიფო გაურბის. რატომ, რა მიზეზით?!

„სოციალისტური“ სახელმწიფოს დაშლას სახელმწიფო საკუთრების მოშლა და პრივატიზაცია (რუსეთში მას ენაკვიმატებმა *პრიხვატიზაცია* უწოდეს სამართლიანად).

ეს პროცესი ხალხისთვის სასარგებლოს რომ არაფერს მოიტანდა თუ ეს იმ დაშლის და მოშლის დროს ოპოზიციურმა — შეგნებულმა — ძალებმა იცოდა, რა გააკეთა საწინააღმდეგოდ?

დღეს, როდესაც ის მოშლა გრძელდება და მის საწინააღმდეგოს, სამწუხაროდ, არანაირი პირი არ უჩანს, რა ვქნათ — ის „სოციალისტური“ სახელმწიფო აღვადგინოთ?! არავითარ შემთხვევაში და რომც ვცადოთ, არაფერი გამოგვივა. საქართველოს სახელმწიფოს — სტალინურისგან განსხვავებით — საამისო სახსრები არ გააჩნია.

ჩვენ კი ასეთ ვითარებაში საკუთარი გაზეთის გამოშვებას *გავაიმასქნებთ* და მის ფურცლებზე „პატრიოტულად“ ვჩირთიფირთობთ — „ფაფუ! საქართველო უკვე“ გაიყიდა, „გასაყიდი არაფერი დარჩა!“-ო.

ამგვარი წუწუნიც, გნებავთ, ყიამყრალობა —როგორც ითქვა — ადვილია. მაგრამ განა ასე ძნელია იმის დადგენა, რატომ, რა იურიდიული პირობებით, რა მიზნით გაიყიდა?! აფხაზეთიც გაიყიდაო, რა ხანია ყიამყრალობენ, მაგრამ საკუთარ თავს — ერთობ რბილად თუ ვიტყვით —

უხერხულ მდგომარეობაში რომ აყენებენ, ამას ვერ ხვდებიან?! ფრიად უგერგილო მყიდველთან გვქონია საქმე – ნაყიდი აქამდე როგორ ვერ გაითაესა?!

და თუ ეს ყიდვა-გაყიდვა არ მოგვწონს და ქვეყნისათვის საზიანოდ მიგვაჩნია, რატომ ვერ ხერხდება მისდამი ერთიანი, დასაბუთებული, დამაჯერებელი პოზიციის დაპირისპირება?! მარტივი მიზეზის გამო – თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონეს ეს არ შეუძლია.

ჭიჭყინი და ყიამყრალობა კი ადვილი საქმეა. რა შედეგი მოაქვს ამას დღესაც და მომავალშიც იმ დონისათვის, ეს არ გვადარდებს?! ამდენი არ გვესმის და იმიტომ? აბა, სხვა რა მიზეზია?!

ყველაფერს სხვას ნუ გადავაბრალებთ. რაც დღეს შეგვიძლია – დღესვე გავაკეთოთ...

როდესაც პერესტროიკის ის-ის იყო დაწყებულ საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებას შესთავაზეს გარდაქმნის ხელშემწყობი კომიტეტის შექმნა, ხელს რომ შეუწყობდა ძველიდან ახალზე უმტკივნეულო გადასვლას, მან ეს წინადადება უარყო. და თუ „სოციალიზმის“ ავ-კარგი ვიცოდით და მის სასარგებლოს შენარჩუნებას, გაუმჯობესებას ვაპირებდით – ვაპირებდით ჩვენს პირობებში – უარი არ უნდა ეთქვათ. მაგრამ ასეთ ცოდნას იმ ხელისუფლებას ვერ მოსთხოვდი.

დიახ, ფაფუ, გაიყიდაო!

ასეთ რამეს საქართველოს სსრ-ის ანუ სსრკ-ის სინამდვილეში ვერ დაწერდი. არა მარტო იმიტომ, მსგავსი ყიდვა-გაყიდვა იქ რომ არ ხდებოდა, არამედ „სოციალისტური“ წყობილების გამო. თუმცა მკაცრად განსაზღვრული პარტიული – და არა მარტო – თვითკრიტიკა იქაც არსებობდა. ესეც თავისებური ყიამყრალობა გახლდათ. ასე რომ არ ყოფილიყო და რაც ლენინმა და ოქტომბრის რევოლუციამ საბჭოების სახით სოციალისტური

სახელმწიფოს საფუძველში (ბაზისში) ჩადო, ის რომ ეხარებინათ ანუ თავიანთი ნაკლი დაუფარავად რომ ემხილათ და გადაჭრით გამოესწორებინათ, სსრკ არ დაიშლებოდა. მაგრამ არც „სოციალისტურ“ რუსულ იმპერიას – სამართლიანად ბოროტების რომ უწოდეს – მიიღებდნენ.

ასე რომ, საბჭოურმა, პარტიულმა ყიამყრალობამაც თავისი – გარდაუვალი – შედეგი გამოიღო.

დიახ, საბჭოურ საქართველოში ის ყიდეა-გაყიდვა არ იყო, სასტიკად აკრძალული იყო. მაშასადამე, ის უკეთესი იყო თანამედროვე საქართველოსთან შედარებით?! კიო, რა თქმა უნდა, გულწრფელად ამტკიცებს დღეს გაჭირვებული იმ საქართველოს მოქალაქე. მას დემაგოგი და ყიამყრალიც უჭერს მხარს.

აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული. აქ გვმართებს ობიექტური გარკვევა, რა იყო სტალინური სოციალიზმი და რა მივიღეთ მისი დამლით.

არსებითი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ დამლით კაპიტალიზმმა თავის ისტორიაში უდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

სსრკ-ში და, რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ-შიც კაპიტალისტურ დასავლეთს ბევრი შენაგროდა და შესციცინებდა.

ვიცოდით კი, რა იყო იგი?! კაპიტალიზმმა ფეოდალიზმი კი დაამარცხა, მაგრამ საზოგადოების კლასობრივი, ექსპლუატატორული წყობა არ მოუსპია – ფეოდალის მიერ გლეხის ჩაგვრა კაპიტალის მიერ დაქირაველებული შრომის ექსპლუატაციამ შეცვალა. მაგრამ არ შრომის სუბიექტი თავისუფალი, თანასწორუფლებიანი გახდა. ეს არის კაპიტალიზმის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის კლასობრივ ისტორიაში.

მაგრამ მას ეკონომიკური უთანასწორობა – მდიდარი და ღარიბი, კაპიტალისტი და პროლეტარი – არ მოუსპია.

არც მოსპიბდა თავისი ანტაგონისტური კლასობრიეი ბუნების გამო.

ეს ოქტომბრის სოციალისტურმა რეეოლუციამ გააკეთა რუსეთში; რევოლუციამ, რომლის უდიდესი მონაპოვარი იმავე ისტორიაში გაატრიზავა, დაამახინჯა სტალინმა და სტალინიზმმა. ეს უმთავრესი, ძირითადი ნიშანი სტალინური სოციალიზმისა შეუმჩნეველი დარჩა საქართველოშიც, საბჭოთა კავშირშიც და მის გარეთაც – დაბეჯითებით გაიძახოდნენ და წერდნენ სსრკ-ში სოციალიზმი – და არა მარტო, კომუნიზმიც კი – არსებობდაო. ხოლო ის, ამ სოციალიზმს (კომუნიზმს) ჭეშმარიტ ანუ მეცნიერულ ანუ მარქსისტულ-ლენინურ – და არა სტალინურ – სოციალიზმთან ერთობ კნინი რომ აკავშირებდა, ამაზრზენად მოტორტმანე საბჭოური აგიტაციისა და პროპაგანდის მორევში ჩაიძირა.

ასე რომ, მთელი ეს „სოციალისტური" იწილო-ბიწილოც პრინციპში სიყალბე და ყიამყრალობა გახლდათ.

სტალინურმა სოციალიზმმა ანუ ბოროტების იმპერიამ დაღუპვის პირას დააყენა რუსეთი. სამწუხაროდ, იგი ამ „პირს" ვერ, არ ხედავს. რომ ხედავდეს, იმ სტალინურ სოციალისტურ წარსულს ხელაღებით უარყოფდა, დაგმობდა და სსრკ-ის ხალხებს ბოდიმს მოუხდიდა. ვერც იმას ხედავს, რომ თუ არა ჭეშმარიტი დემოკრატია და თანასწორუფლებიანობა – უპირველესად ეროვნულ საკითხში – დაშლის მეორე *სერია*, სწორედ ის, ე.წ. რუსეთის „ფედერაციისაგან" რუსულ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს კი არა, *მოსკოვსკოე ველიკოე კნიაჟესტვო*ს რომ დატოვებს, წინ ელოდება.

დიახ, ან ჭეშმარიტი ფედერაცია – თუნდაც შვეიცარიის მსგავსი– ან ის მეორე სერია.

და თუ ჩვენც ვყიამყრალობთ, კი ბატონო, ასე იყოს. ოღონდ გამკილავს – ნებისმიერს – ვურჩევთ, ობიექტური თვალით რუსეთის ციმბირს და შორეულ აღმოსაელეთს

გასედოს და გეიპასუხოს: — მართლაც რუსეთის არის იგი უკვე დღეს თუ იქ ჩინელი რუსისთვის არასასურველად მომრავლდა?! ეოლგისპირეთის მარცხენა სანაპიროსა და ყოფილ ყალმუსეთის ასსრ-თან ერთად ჩრდილოეთ კავკასიასაც ნუ დაივიწყებს და მოსკოვის ყურის ძირში ისტორიულად მდებარე ყაზანიც (ასევე თავის ყოფილ თათრეთის ასსრ-თან ერთად) გაითვალისწინოს. იმ გამკილაეს ამასაც ვეტყვით: საქართველოსგან — მაგალითად — განსხვავებით, რუსეთი არ არის ეროვნული სახელმწიფო.

რაც შეეხება, ასე ვთქვათ, ზოგადად აქოთქოთებულთა დასაწყნარებლად ამჯერადაც ძალზე მოკლედ ვიტყვით: — ჭეშმარიტი სოციალიზმის მშენებელი ლენინურ ნეპს არ მოგუდავდა, არ მოსპობდა. და იქ, სადაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება უარყვეს (პირწმინდად სტალინურ სსრკ-ში), ნეპი იქნებოდა (ერთობ ხანმოკლე ლენინურ დროში უკვე იყო!) ექსპლუატაციისგან თავისუფალი პროლეტარის (მწარმოებლის) — სოფელშიც და ქალაქშიც — საქმიანობის, გნებავთ, ბიზნესის ანუ ჭეშმარიტი სოციალიზმის საფუძველთა საფუძველი. ანუ კერძო თუ იურიდიული პირის კერძო საკუთრება ექსპლუატაციის საფუძველს არ უნდა ქმნიდეს, არ უნდა წარმოადგენდეს (შდრ. თანამედროვე აშშ-ის საზოგადოებრივი სინამდვილე). ასეთი თავისუფალი მწარმოებელი თავის საწარმოო ობიექტს ანუმთლიანობაში *თავის* საზოგადოებას ანუ სახელმწიფოს ანუ სამშობლოს არ დაშლიდა. არც ახლა დაშლის და გაყიდის.

გისმენთ, პატივცემულო ოპონენტებო, — ვინ რას იტყვით საწინააღმდეგოს?! ოღონდ მანამდე რა იდეოლოგიის ბრძანდებით, რას იცავთ, ეს აგვიხსენით თუ შეიძლება.

და თუ ყველაფერი ეს და სხვაც მრავალი — თუნდაც სტალინური სოციალიზმის დადებითი — ვიცოდით, შეგვენარჩუნებინა. გვიშლიდა ვინმე ხელს?!

და თუ ყველაფერი ეს ჩვენი ამჟამინდელი პატივცემული ოპოზიციისათვის ცნობილია და ყველაფერ ამას ეთანხმება კიდეც, გაისადგოს თავისი საქმიანობის ძირითად პროგრამად. უშლის ხელს ვინმე?!

მაგრამ ყოველივე ეს საკმაოდ ძნელი ამოცანა გახლავთ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაშიც კი. გაცილებით უფრო აღვილია ერის ინტერესების „დასაცავად" ყიამყრალობა. ეადვილება.

დიახ, ზემოხსენებული კომიტეტის (ან მსგავსი რაღაცის) შექმნა არ ისურვეს. არც საჭირო ცოდნა აღმოაჩნდათ, და, შესაბამისად, ვერც შექმნილ – საბჭოთა კავშირის მასშტაბით – ვითარებაში გაერკვნენ სათანადოდ და... 9 აპრილიც ამიტომ მოხდა. მოახდინეს.

მაგრამ 9 აპრილის მსხვერპლთა *სისხლი* წმიდათაწმიდაა, იგი სამუდამოდ დარჩა ქართველი ხალხის სულში და მან უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ბოროტების იმპერიის დაშლაში.

ვერც ზვიად გამსახურდია და მისი მთავრობა გაერკვა – თუ *არ* გაერკვა?! – მსოფლიო მასშტაბით შექმნილ ვითარებაში.

ედუარდ შევარდნაძე გაერკვა, სწორი გზა აირჩია. თუ როდის და როგორ, არც ეს არის ძნელი გასარკვევი – თავისი, უკვე არაბოლშევიკი ე. შევარდნაძის, მოღვაწეობის მეორე ეტაპის დასაწყისიდანვე – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად გახდომისთანავე. მარტივი კითხვა: – რატომ *მიიღო* დასავლეთმა შევარდნაძე?!

არჩევანი სწორი, ერთადერთი გაკეთდა – მჭიდრო კავშირი პროგრესულ, დემოკრატიულ დასავლეთთან.

და როდესაც მან, დასავლეთმა, ძია სემის მეთაურობით, აშკარა კატასტროფისგან თავის დასაღწევად – რუსეთისგან განსხვავებით – დახმარების მძლავრი ხელი გამოგიწოდა, და როდესაც ამ ხელს კაპიტალისტური ცხ-



ცეკვავენ „თურქები“ თუ მესხები?

ოერების წესიც თან შემოჰყვა, რას ეტყოდი – იცით, რა, მე ეგ თქვენი წესი არ მომწონს და მოდით, სოციალისტურით შევცვალოთო?! მაგრამ რომელი სოციალისტურით – სტალინურით, რომელსაც შენ გაექეცი თუ ჭეშმარიტით, რომელიც რა იყო, არც შენ და არც ძია სემმა არ იცოდით. და რომ გეთქვა კიდეც, *გიჟი* იყო რომ დაგთანხმებოდა და თავის თავზე უარი ეთქვა?! ეგეც არ იყოს, განა ამ ჩვენს საქართველოში იმ წესს ყველა უარყოფდა?!

მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – საბჭოურ „ჩრდილოვან“ ეკონომიკაში მობოჭილი ფულით ბიზნესი წამოიწყეს საქართველიმი (იხ.ზემოთ). წამოიწყეს ძია სემს შემოყოლილებთან ერთად კუდგადაბმულებმა.

მოხდა ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის საქართველოში – რუს ბოლშევიკებთან იდეოლოგიურად დაძმობილებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა (სოციალ-დემოკრატებმა) კუდით ქვა ასროლინეს თავიანთ იდეოლოგიურად ძმა თუ არა, ბიძაშვილ ქართველ მენშევიკებს (სოციალ – დემოკრატებს).

არც ერთმა და არც მეორემ (განსაკუთრებით) საქართველოს, ქართველი სალხის პატრონად ვერ იავარგა.

რომ არ იავარგა, ქართული ინტელიგენცია – მთლიანად თუ არა, მისი საგრძნობი ნაწილი – კი ხედავდა და ამ უვარგისებს, შეიძლება ითქვას, ზურგი შეაქცია. მაგრამ ესეც არარეალურად – მათ სამსახურში იდგა და მათ პურს მიირთმევდა. თუმცა შეძლებისდაგვარად ანტისაბჭოურობდა, „დისიდენტობდა“.

მაგრამ ეს უვარგისი რით შეცელილიყო, რა იყო ვარგისი გაურკვეველი დარჩა. არც ეს იყო მოულოდნელი – დათითოკაცებულ ბოლშევიკურ საზოგადოებაში ამას ვერ გააკეთებდი. *ჩაგაყუდებდნენ.*

ასე რომ, ბოლშევიკური საქართველოს ინტელიგენცი-

ის ანტისაბჭოური განწყობილება მომავლის სამოქმედო პროგრამად ვერ ჩამოყალიბდა. ეს არც შემდგომ, საბჭოურისგან თავისუფალ საქართველოში მოხდა. ყოფილი ოფიციალური დისიდენტების და პოლიტპატიმრების ზოგიერთმა ცდებმა – ხშირად მცდრმა და გაუმართლებელმა – საქმეს ვერ უშველა. ასეთი პროგრამის, გნებავთ, საზოგადოებრივი ცხოვრების დოქტრინის შექმნა ვერც პრეზიდენტ შევარდნაძის და ვერც პრეზიდენტ სააკაშვილის – უფრო მოწესრიგებულ – საქართველოში ვერ მოხერხდა. ვერ სერხდება. უამისოდ ამ ცხოვრების მიზანშეწონილად წარმართვა წარმოუდგენელია. მაგრამ როგორი მიზნის?

ძია სემის ანუ თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების (და კაპიტალისტური დასავლეთის) საზოგადოებრივი ცხოვრების წესი,– საბჭოური ოფიციოზირომ აყიამყრალებდა – რომლის შესაბამისადაც ის საქართველოშიც მოქმედებს, იმით განსხვავდება ჩვენს ისტორიაში აქამდე არსებულ *ყველა* – განსაკუთრბით საბჭოური – წესისაგან, რომ იგი არც გიპყრობს, არც გიმონებს და არც ყმად გაქცევს (იხ. ზემოთ გლობალიზაციასთან დაკავშირებით თქმული). თავისუფლებას განიჭებს – ფული (კაპიტალი) იმოვე და შენ ბიზნესთან და, შესაბამისად, ქვეყანასთან ერთად ფეხზე დადგომის *იურიდიულ*, კონსტიტუციურ უფლებას, შესაძლებლობას გაძლევს.

რეალურად, არადემაგოგიურად გვაძლევს. კაპიტალს თავისუფალი მწარმობელი, მისი ეკონომიკა ქმნის. გაქვს იგი? – თავისუფალი ხარ. თუ არა გაქვს – ვინც გასესხა, კრედიტი მოგცა, მის გავლენაში ექცევი...

რა მგელს შევუჭამიეარ და რა მგლისფერ ტურასო, შეგვაწყვეტინებს, ალბათ, ყიამყრალი. არც ამჯერად იქნება სწორი. არც ერთ მათგანს, რაც უნდა ალესილი კბილები ჰქონდეს, შენზე იურიდიული უფლება არა აქვს.

„ოქროს ხანის“ საქართველოშიც გლეხი (ხელოსანი), მით უმეტეს, ყმა თავისუფალი მწარმოებელი ვერ გახდებოდა. მეფის რუსეთმა ეს პრობლემა ბატონყმობის *ზემოდან* გაუქმებით („რაღას დიდგულობ, აქალო, შენი ყმა აღარა ვარო“) საქართველოშიც ნაწილობრივ, დემაგოგიურად გადაჭრა – მემამულურ-ბურჟუაზიული რუსეთი ამერიკულ გზას ვერ, არ დაადგებოდა. ეს გზა რევოლუციური იყო. მას გამორიცხავდა ზემოდან განხორციელება. სტალინურ სოციალიზმს იგი საერთოდ არ დაუყენებია – „მგელიც“ და „ტურაც“ თვითონ იყო.

კი, მღეროდნენ საბჭოთა საქართველოში: „იქ, სადაც წინათ კიოდა მგელი და ტურა,/ ჩვენ გავაშენეთ ჩაის კულტურა“-ო.

დიახ, მღეროდნენ იმ საქართველოში, რომელშიც იმავე გამშენებელმა ზედმიწევნით ზუსტად შეაფასა, – ამ შემთხვევაშიც, – ზემოდან, ძალდატანებით, პარტიულ გამშენებელთა ნება – „მოუკვდა პატრონი კოლექტივის მომგონს“-ო.

ახდა ჭეშმარიტი, საკუთარ მიწაზე თავისუფალ შრომას დანატრებული ქართველი გლეხის განაჩენი – *პატრონი* მოკვდა.

მაგრამ ჩვენი, არაბოლშევიკი ქართველების, რბილად თუ ვიტყვით, ერთობ უგერგილო პატრონის ხელში გაეერანებულ ჩაის კულტურას ახალი, დასავლეთიდან მოსული *პატრონი* – ნაღდი, საქმიანი პატრონი – გამოუჩნდა და... მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი გერმანიასა და აშშში იყიდებაო. ჩვენ კი, ქართველი ჩაის მოყვარულები, – სწორედ ისინი, ქართულ საბჭოთა ჩაის რომ ვწუნობდით და ინდურს დავეძებდით, – დღეს პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩით.

და თუამ „ჩალის“, გნებავთ, ჩაის, ამბავი ოპოზიციას მოეხსენება, იგი ამოიღოს მიზანში. რატომ არ აკეთებს ამას?! იმიტომ ხომ არა, *მიზანში* იმ დასავლელ პატ-

რონთან ერთად ჩვენი ქართველებიც რომ მოხვდებიან?! *ჩვენი* როგორ – სისხლით და ხორცით თუ სოციალურ-ეკონომიკურადაც?!

მაშ, რა გამოდის, პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო, იმ მგელსა თუ მგლისფერ ტურაში უცხოელებთან ერთად ჩვენი ჯიშისაც ურევია?!

მთავარი ამჯერადაც იგივე კითხვაა – შეგვეძლო თუ არა იმ გავერანებულის საკუთარი ძალებით აღდგენა და სარგებლობს თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა ამ აღდგენით?

შაჰ აბასებმა და ხონთქრებმა ვერ გაგვტეხეს, რუსეთის ორივე იმპერიასაც გავუძელით. ჩაილურის წყალი დალიეს. გავუძელით პირველ ორთან შედარებით უკეთესი,პროგრესულიეკონომიკის გამო. ორივე რუსეთის სინამდვილეში საქმიანად, სისხლხორცეულად ჩავებით. მის ფეოდალურ სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან ქართული დიდ მსგავსებას ავლენდა. სარწმუნოებაც ერთი გვქონდა.

გავუძელით იმიტომ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობა პირველ-ორთან შედარებით გაცილებით მაღლა იდგა. რუსეთს კი მხოლოდ იმით ჩამოვრჩებოდით, რომ იგი იმპერია, ე.ი. ჩვენზე *მდიდარი*, იყო.

ეს საკამათო არ არის. თუ ვინმე არ დაგვეთანხმება, ქართველთა როლი გაითვალისწინოს რუსეთის ორივე იმპერიაში.

დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები სრულიად განსხვავებული ფენომენი გახლავთ. იგი მთელი თავისი ისტორიით, საზოგადოებრივი წყობით, ცხოვრების წესით ანუ კულტურით ჭეშმარიტად, სისხლითა და ხორცით ბურჟუაზიული, კაპიტალისტური ქვეყანა გახლავთ. სწორედ ისეთი, რომლის გაბატონებულ ნაწილს ჭეშმარიტი მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც პროლეტარიატის მჩაგვრელს დაუნდობლად

რომ ებრძოდა. მაგრამ, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მასში – ისევე, როგორც სხვა, მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში – ბევრი რამ შეიცვალა სწორედ იმ პროლეტარიატის სასიკეთოდ.

ასეც უნდა მომხდარიყო – ხორცს ისხამს რუსეთში ნაწინასწარმეტყველები: კაპიტალიზმს შესაშური მომავალი აქვსო (პლეხანოვი) და უფრო კონკრეტულად – „გზა სოციალიზმისკენ კაპიტალიზმზე გადის" (ლენინი). (ქართველი – და სხვა – სტალინისტები არ შეცდნენ – მსოფლიო პროლეტარიატის ჭეშმარიტი ბელადი აქ სტალინურ სოციალიზმს, რაღა თქმა უნდა, არ გულისხმობდა).

დიახ, ბევრი რამ შეიცვალა და დღეს ამერიკის შეერთებული შტატები კაცობრიობის ისტორიაში დგას სწორედ იმ გზაზე (ნებსით თუ უნებლიეთ, ამას გადამწყვეტი მნიშველობა არა აქვს და აქ გასაგები მიზეზების გამო, არ შევეხებით), ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რომ დასახა იმავე ისტორიაში. დგას *რევოლუციური ძალდატანებით.*

როგორ თუ დგასო... ისევ აქოთქოთდებიან ჭრელი შემადგენლობის ყიამყრალები.

დიახ, დგას, პატივცემულო ბატონებო! რა თქმა უნდა, დგას საკუთარი – ჯერ ისევ კაპიტალისტური – ინტერესების დასაცავად. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ინტერესები – ობიექტურად – დიქტატურასა და ტოტალიტარიზმს ებრძვის *მსოფლიოში.* სწორედ რომ ობიექტურად. ესეც გახლავთ ისტორიული მატერიალიზმის დიალექტიკური „მარილი".

ასეთი ამერიკის შეერთებული შტატები ანუ კაპიტალიზმი ანუ ძია სემი საქართველოს, თავის პარტნიორ ქვეყანას – მალე მის *მოკავშირის* სტატუტს რომ მიიღებს – იმპერიულად და „გასაყიდად" არ დაეღირება. მაგრამ სხვების, ზემოხსენებულ ჩვენთვის ცნობილ იმპერიებისგან,

იგი იმით განსხვავდება, რომ შიშველი ძალით კი არა, გაცილებით უფრო მძლავრი, წარმატებით მოქმედი „იარაღით“ შემოდის შენთან ურთიერთობაში. შემოდის ისე, რომ – როგორც ითქვა – კარებს ვერ ჩაუკეტავ. მას კაპიტალიზმი, კაპიტალისტური ეკონომიკა ჰქვია. ყველაზე უფრო უკეთესი, პროგრესული აქამდე არსებულთაგან შედარებით. თუმცა, არსებითი უარყოფითი ნიშან-თვისებებით. მაგრამ – ესეც მისი დადებითი მსარეა – ამ უარყოფითის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს იგი თავისი ბურჟუაზიული, კაპიტალისტური დემოკრატიით – განსაკუთრებით XX ს-ის მეორე ნახევრიდან – თვითონვე გაძლევს. მათ გონივრული, ეფექტური გამოყენება უნდა. ამის ჯერ სურვილი და შემდეგ მნო და უნარი თუ გაქვს, რასაკვირველია.

ასეთ ვითარებაში *დოყლაპია* თუ გამოდექი, და კაპიტალიზმმა „დაგიპყრო“ ან „გაგყიდა“, შენ თავს დააბრალე. ვერავინ და ვერაფერი ვერ გიშველის. რასაკვირველია, ვერც ღმერთი. ქართველმა კაცმა ეს მშვენივრად იცოდა – „ღმერთო, მიშველეო; ხელი გაანძრიე და გიშველიო“.

მაგრამ, როდესაც შენი სისხლი და ხორცი, დემაგოგიურად გამოყენებული ვითომ ეროვნული და სხვა ინტერესებით – „ველური“ კაპიტალიზმის შესაბამისად – დოს კი არა, სულ სხვა რამეს ყლაპავს და მიირთმევს, მას შენვე უნდა ებრძოლო, ლაგამი შენვე უნდა ამოსდო; ამოსდო მძლავრად, საქმიანად და არა უმაქნისი ჭიჭყინითა და ყიამყრალობით.

და თუ ამ *ამოდებაში* ძია სემი შენ კი არა, იმ *ყლაპიას* დაეხმარა, თუ იგი დაიცვა, ასეთ ვითარებაში სხვა გზებს უნდა ძიება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც გონივრულად და ნაღდს, შეუმცდარს. ძიება, ცხადია, საკუთარი გონით. გეეყო, რაც სხვისი ჭკუით და გზებით ვიარეთ!

მაგრამ – ისევ არსებითი კითხვა – რაღა „ველური“

კაპიტალიზმით იწყებს ის დოყლაპია კი არა, ხალხის, სახელმწიფოს, ხაზინის ვირთხა თაეის ბიზნესს?! სხვა გზა არ იცის, თუ არ ღებულობს?! შენ პარლამენტმა ('პოზიცია"-ოპოზიციამ) – შენი კანონმდებლობით, – ასწავლე, აიძულე. მაგრამ როდესაც იმ პარლამენტში ამ ვირთხების მხარდამჭერი დეპუტატები მოკალათებულან, მათ წინააღმდეგ ბრძოლა რთულდება, ძნელდება. მაგრამ – უმთავრესი – იმ პარლამენტში ის დეპუტატები ხომ *შენ* აირჩიე. აბა, რაღას ჭიჭყინობ და ყიამყრალობ?!

იქნებ ჩვენ ვცდებით და ვყიამყრალობთ?! ღმერთმაც ქნას! მაგრამ... მამლის ბოლო ქიცინებს ჯიუტად.

და თუ შენ, ოპოზიცია,ხალხის ინტერესებით იწვი და სულდგმულობ, ჩაუდექ ამ ბრძოლას სათავეში. და თუ არ იცი როგორ – შენი ქვეყნის თუნდაც XX საუკუნის ისტორია შეისწავლე გულდასმით, ღრმად, ობიექტურად. იმ სტალინური სოციალიზმის დადებითი და უარყოფითი გაარკვიე. დადებითი ხალხის სასიკეთოდ, შენი პროგრამის ქვაკუთხედად გახადე. მაგრამ ყველაფერი ეს ციდან არ ვარდება.

და თუ „ჩამოვარდნილა" და იცის, დადოს მაგიდაზე ოფიციალურმა თუ არაოფიციალურმა ოპოზიციამ საქართველოს დღევანდელი თუ სახვალიო საზოგადოებრივი განვითარების გეგმა, პროგრამა და იბრძოლოს მის განსახორციელებლად; ნუ „გაყიდის" საქართველოს, ქვეყნის შიგნითგამონახოს და მიუთითოს *თითქმის* ჩამკედარი ქალაქისა და სოფლის – ენებავთ, პირუკუ – ეკონომიკის აღორძინების, საკუთარ, დამოუკიდებელ „ფეხზე" დადგომის გზები, სახსრები და თუ ყველაფერ ამას შეძლებს – ბარაქალა, საყოველთაო აღიარება და დაფნის გვირგვინი მას.

და თუ ყველაფერი ეს არ შეგიძლია, ბორბალს მაინც ნუ დაჩხირავ. იმ ბორბალს, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებას რომ წარმოადგენს და რომელიც

გაჭირვებით, ჭრიალით, მაგრამ მაინც რომ ბრუნავს...

ძია სემი კი ხსენებული ლაგმის გამოჭედვაში ხელს არ ვეიმლის, გვეხმარება, რჩევას გვაძლევს. ანკი მისი დახმარება რად უნდა გვჭირდებოდეს, ჩვენ თვითონ არ ვიცით, არ შეგვიძლია?! თურმე ბევრმა, ძალიან ბევრმა არ ვიცით.

დიას, ბევრმა არ ვიცით. ერის ე. წ. ინტელიგენციის *მოწინავე* წარმომადგენლებმაც კი, რომლებსაც იმ ინტელიგენციისა და სალხის უდიდეს ნაწილთან ერთად, – „სოციალიზმში“ უაქტიურ მუქთახორად, სსვისი ხელის შემყურედ, საკუთარ თაოსნობას მოკლებულ უნიათო მასად რომ ჩამოყალიბდა – ურჩევნია ისევ იმ რუსის „სოციალისტურ“ პურს რომ მიირთმევდეს და ამაეე დროს „პატრიოტულ“ – მისი ჭკუით – *შემართებასაც* არ ივიწყებს და გაიძახის: – ერი იღუპება, საქართველო იყიდებაო! ბარემ იმ მესსებთან ერთად „გაიყიდოს“ – უფრო მეტს არ მოგცემენ?!

ვინ ღუპავს ერს – ძია სემი თუ ჩვენ თვითონ ჩვენი ცხოვრების წესის „გაევროპულობით“?! შენ ხომ იმათზე უფრო ძველი და უკეთესი ეროვნული ანუ ქართული კულტურის მფლობელი ხარ, გამოავლინე და დაიცავი იგი ყველგან, ყველაფერში, ყოველთვის.

ევროპული ანუ ამერიკული ანუ კაპიტალისტური საყოფაცხოვრებო კულტურის მდარე, ყოველად მახინჯი ფორმები – კონკრეტულად არ ჩამოვთვლით – ხელაღებით რომ გაითავისე და „გაევროპელდი“, ის შენი ტრადიციული – ძველი, საამაყო, მამაპაპეული – კულტურა აღარ გახსენდება?! კარდაგმანულ „სოციალიზმში“ იმ მდარე ფორმებისგან – ასე თუ ისე – დაცული იყავი. კარი გაიღო, განთავისუფლდი და... შედეგად რა მიიღე?!

იაპონელი თუ ახერხებს ძველის დაცვას, ახალთან შეთავსებას, შენ რა მოგდის – მასთან შედარებით *ჩამორჩენილი* ხარ?!

ევროპელი ვარო, რომ გაიძახი, იცი კი ეს რას ნიშნავს?!

ხინკალს ახვევენ?

ვინ დაგავალა იძახეო, ძია სემმა თუ ევროპელმა?! იმდენს ვერ ხედები, რაც ხარ, ის რომ იძახო, მათ თვალში მეტად რომ დაფასდები?! გაიძახი და ვერ ხედები (თუ ხედები და მაინც გაიძახი, მით უარესი), რომ ესეც მტკნარი მლიქვნელობაა. ამავე დროს — ქართველები ამაყი ხალხი ვართო! ამ ყიამყრალობის გამო კი ქართველი ხალხის ჭეშმარიტ სახელს ჩრდილი ადგება იმ ევროპელის თვალში.

ვერც იმას ხედები, რომ როგორიც არ უნდა იყო, სამხრეთ — ჯერჯერობით სამხრეთ — კავკასიას არც ძია სემი და არც ევროპელი — სრულ ჭკუაზე მყოფი, ცხადია — ზურგს არ შეაქცევს. ეს არის ობიექტური სინამდვილე. მას უნდა დაეფუძნოს ჩვენი პოლიტიკა. ეს ყველამ — და არა რაღაც ნაწილმა — უნდა შევიცნოთ, გავითავისოთ.

და როდესაც ასეთი, მაღალ დონეზე გათვითცნობიერებული ქართველობის საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო ყოველდღიური კულტურა იმ მაღალ, საამაყო ძველ კულტურას დაეფუძნება და მასზე ამოიზრდება, აი, მაშინ... არ არის ძნელი მისახვედრი თუ რანი ვიქნებით მაშინ.

არადა, ის ძველი ძველშიევე ჩარჩება, ჩვენ კი, მისგან მოწყვეტილები, ჩვენთვის დავრჩებით. თუ მივიხედ-მოვიხედავთ, ისტორიული წარსული ამაშიც დაგვარწმუნებს.

დიახ, ვინ გაძალებს, ძია სემი?! სწორედ რომ ის — თავისი კაპიტალისტური ეკონომიკით და შესაბამისი კულტურით. მაგრამ იგივე ძია სემი თავის ქვეყანაში ტელევიზორს „ყეყეჩების ყუთს“ [ბუ:ბ-თიუ:ბ] რომ უწოდებს, ესეც თუ იცი, სათანადო დასკვნა უნდა გააკეთო. მრავალგვარი *შოუ* გაგიყვანს ფონს?! იქნებ ესეც ვიკითხოთ — რატომ და რა მიზნით წალეკა ამ შოუმ ის ყუთი?! წალეკა არა მარტო ამერიკაში.

ეს *შოუ* ეროვნულ „ინტერესებზე“ მორგებულ საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც — ე. წ. მეცნიერებებში — რომ დამკვიდრდა, ესეც ძია სემის მითითებით თუ ძალდატანებით?!

რას ქმნი ღირებულს „სოციალისტური“ კულტურის

სანაცვლოდ? ყველაფერი უარსაყოფი ჰქონდა მას?! ძია სემი, კლასობრივი პოზიციიდან გამომდინარე, ასე ფიქრობს, ასე თვლის.

ესეც ყველაფერი, ფაქტიურად, ყიამყრალობის ხის ნაყოფია. ამ ხეს საქართველოში ჩვენ, ქართველები, ვნერგავთ და ვახარებთ და არავინ სხვა...

ძია სემი კი – ყიამყრალები არც მას რომ არ აკლია – გეუბნება: შენს სახლს ბისედე, მისი სუვერენიტეტი დაიცავი, მასში დემოკრატია და ადამიანის უფლებები დაამკვიდრე, კაპიტალი დააგროვე, ეკონომიკურად წელში გაიმართე, ჩემს დახმარებას იმ ვირთხებს ნუ შეაჭმევ, იმ შენს ჩრდილოელ, ნაღდ თუ ყალბ ძმა და მეგობარ მეზობელთანაც მშვიდობიანი, შენთვის და ჩემთვის სასარგებლო ურთიერთობა გქონდეს და შენი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას – შენზე ნაკლებად მეც რომ არ მაწუხებს – *როგორმე* მოეახერხებთო. ოღონდ,მთავარია ის საგუჩური მაგარი და მუდმივი იყოს; არა ისეთი, XX საუკუნის კაპიტალიზმი რომ ცდილობდა დაემზადებინა.

ყველაფერი ეს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან ერთად, მოგეხსენებათ, მსოფლიო პოლიტიკის ძირითად პრობლემებს (ერაყი, ავღანეთი, პალესტინა, კოსოვო...) შეადგენს. მათი გადაჭრა მსოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის, ინტენსიური ეკონომიკის, ადამიანის უფლებების დაცვის დანერგვით, განმტკიცებით შეიძლება მოხერხდეს. ვერავინ სხვა, თუ არა ამ გზით, წარმატებას ვერ მიაღწევს. რა თქმა უნდა, ვერც ვითომდა თავისი ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი რუსეთი. რაო, სტალინიზმის დროის რუსეთს ანუ სსრკ-ს თუ რფ-ს (რუსეთის ფედერაცია) უფრო მეტი გააჩნდა და გააჩნია ეს *რესურსები?!* მერედა *როგორ* ფედერაციას გააჩნდა, ესეც ვიკითხოთ. და ისიც, რა თვალით უყურებს ევროპა რუსეთ ის ამ ენერგეტიკულ უპირატესობას?!

სწორედ იმ რუსეთს, რომლის მიმართ დიდი ბრიტანე-

თის მიერ განხორციელებული დიპლომატიური სანქციებით, რბილად თუ ვიტყვით, დიდად გაღიზიანებული პრეზიდენტი პუტინი საჯაროდ აცხადებს: დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ ტვინი (*მოზგი*) უნდა შეიცვალოს რუსეთთან ურთიერთობაში და რომ რუსეთი არასოღეს ყოფილაო დიდი ბრიტანეთის კოლონია.

გაღიზიანებულ და დიდად პატივცემულ ამხანაგ-ყოფილ ბ-ნ რუსეთის პრეზიდენტს თავისი იმპერიული თაეი – მისივე *მოზგებით* – მიუტეევლად ავიწყდება, ღღესაც რომ ებღაუჭება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს" და სოჭში ოლიმპიადის ჩატარებით რომ ვარაუდობს საბჭოური ეროვნული პოლიტიკის *ნონსენსის* – აფხაზეთის ასსრ-ის და „სამხრეთ ოსეთის" აო-ის შემომტკიცებას ანუ მათ ღე იურე დასაკუთრებას.

არა, ეს იმპერიული პოლიტიკა როდია. რას ერჩი, კაცი თავისი წარსულის (უკვე ისტორიულის) – მისთვის ფრიად სახარბიელოს და საამაყოს – შენარჩუნებას ცდილობს. მაგრამ სხვასაც რომ აქვს ეს წარსული – მისგან განსხვავებით, მართლაც საამაყო – ამას მისი *მოზგები* ვერ სწვდება?!

კი ბატონო, იეარაუდოს, ოღონდ ფრთხილად იყოს. ის ოლიმპიადა – თუკი საერთოდ ჩატარდა იგი – იმ აბლაბუდად არ გადაექცეს, რომელშიც გაიხლართება და მის იმპერიულ საცეცებს რომ შებოჭავს არა მარტო აფხაზეთში (საქართველოში), მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში თუ არა, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნაღდად.

დიახ, ფრთხილად იყოს და რუსი ხალხის ძვირფას ლიტერატურულ კლასიკიდან „ოქროს თევზის" ამბავიც გაიხსენოს.

ბ-ნი პუტინის განცხადებაც პოლიტიკური ყიამყრალობის მშვენიერი ნიმუშია. იცის, ყურს არავინ აუწევს და არც რაიმე პრაქტიკულ შედეგს მოუტანს. მაგრამ – დერეიმორდა რუს ამომრჩეველთან ერთად – გულს ნამდ-

ვილად მოიფხანს. ფხანას კი, ცნობილია, რაც იწვევს. არ ვიცით, შეიძლება თუ არა, ის სენი აზროვნებას ანუ იმ *მოზგსაც* რომ მისწვდეს.

ამკარად ვიტყვით: ვისაც ის სენი საქართველოშიც არ (ჯერ არ) შეპყრია – განსაკუთრებით თვალსაჩინო ოპოზიციონერ ქალსაც და კაცსაც – და ვინც, ვიმეორებთ, დემაგოგი, ყიამყრალი და (გნებავთ, ანუ) საქართველოს ფარული თუ ამკარა მტერი არ არის, გაიგოს, მიხვდეს, რომ ზემოთ აღნიშნულ გზაზე უკეთესს თავის ქვეყანას ვერაფერს უსურვებს. და თუ ამწვიტინდებიან, როგორ თუ მტერიო, კარგად ჩაფიქრდნენ – მამ ვინ არის ის, ვისაც იმ გზის მთელი ვეებერთელა მნიშვნელობა არ ესმის და არც სხვისგან უნდა რომ შეიგნოს. (სწორედ ამ შეგნების დეფიციტმა დაღუპა ზ. გამსახურდიას „ეროვნული მთავრობა").

ამასაც ვიმეორებთ – პირდაპირ გაოცებას იწვევს ჩვენი *თვალსაჩინო* ოპოზიციონერების პოზიცია – ოღონდაც მთავრობას კრიჭაში ჩაუდგეს და თავის მომხრე და მხარდამჭერთან ერთად ქვეყნის თვალში ბრიყვად რომ წარმოჩნდება, ეს არ აღარდებს. იმ გულსაც მოიფხანს და ტუჩების წკლაპუნით იმ თავის „პოლიტიკურ" პირსაც ჩაიტკბარუნებს.

თუ ასე არ არის, მამ უბრალო რამე როგორ არ იციან, რომ ადამიანის უფლებებში მისი ეროვნული უფლებების დაცვაც რომ შედის და მნიშვნელობა არა აქვს შენი სახელმწიფოს ეს ადამიანი ანუ მოქალაქე რა ეროვნების არის?! არ იციან ნაციონალისტური ხურეებით ატანილებმა ან დემაგოგიით გაჭყეპილებმა. და თუ იციან – ევროპის დემოკრატიული სტრუქტურებისგან განსხვავებით – „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე დადებით მოვლენებს რატომ ვერ, თუ არ, ხედავენ?!

ორივე შემთხვევაში იმპერიალისტი რუსის წისქვილზე რომ ასხამ წყალს, ვერც ამას ხვდები?! სწორედ რომ ასხამ

— ის მოვლენები რუსს, როგორ ფიქრობ, გულზე ეხატება?!

ამდენი როგორ არ იცი, რომ სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“ — და არა „სამაჩაბლო“ — დღეანდელი ოსისთვის, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაში ანუ მის იურისდიქციაში შემოსვლის წინაპირობას რომ წარმოადგენს, არ არის *საშიში*, იგი არ ღირს მის ირგვლივ ატეხილ დავიდარაბად. არა, რადგანაც წარსულს ჩაბარდა მისი შემქმნელი და დამცველი „სოციალისტური“ იმპერია. რუ, რაც არ უნდა ეცადოს, მის აღგილს ვეღარ დაიჭერს. იმავე მიზეზით მით უმეტეს, არ არის საშიში „თურქი-მესხების“ დაბრუნება.

მამ, რატომ ამხედრებულა ახლა ოპოზიციაში მყოფი, ნამინისტრალი, ჩვენთვის კარგად ცნობილი (პუბლიცისტურად. იხ. ჩვენი „ორი მიმართება მონარქიისადმი. ისევ არისტოკრატია?! ანუ პასუხად ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს, თბ., 2007, 112 გვ.) ქ-ნი ს. ზურაბიშვილი სახელწოდება „სამხრეთ ოსეთის“ წინააღმდეგ?! მას დავუჯეროთ, სახელწოდება უარვყოთ და მასთან ერთად დ. სანაკოევსაც ხელი ვკრათ?! ეს ხომ პოლიტიკა კი არა, სიბრიყვე იქნებოდა. საინტერესოა, ფრიად — თვითონ რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, უარყოფდა და ხელს ჰკრავდა?! თუ ბრიყვი იქნებოდა, ჰკრავდა. აბა ახლა რატომ გვთავაზობს ასეთ სიბრიყვეს?!

კეთილი, გაეხდით ბრიყვები და გავიმეოროთ ზ. გამსახურდიას ე. წ. „ეროვნული მთავრობის“ *შეცდომა* — ისევ გავაუქმოთ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, საერთოდ ნუ აღვნიშნავთ მას საქართველოში გამოცემულ რუკაზე,და დ. სანაკოევს,მის მხარდამჭერ ოსებთან ერთად ვკრათ ხელი! მერედა ამით მოიხსნება, გნებავთ, „სამხრეთ ოსეთში“ და, გნებავთ, სამაჩაბლოში არსებული ეთნიკური, ეროვნული, პოლიტიკურთან გადაჯაჭვული პრობლემა?! თუ ეს არის გამოსავალი, რატომ არ მოიხსნა იგი აღნიშნული შეცდომის შემდეგ?!

როგორ წარმოუდგენია პატივცემულ ოპოზიციას და მის მსარდამჭერ „პატრიოტებს“ ამ პრობლემის გადაჭრა – ზ. გამსახურდიას „ეროვნული მთავრობის“ პოლიტიკით თუ ადამიანის ერონული უფლების დაცვით. და ვიდრე აქოთქოთდებოდნენ, ამის თაობაზე ზემოთ თქმული კიდევ ერთხელ გადაიკითხონ. გულდასმით.

ასე რომ, თავი და თავი სახელწოდება კი არა, პრობლემის მოგვარებაა. მოვა დრო და ერთსაც და მეორესაც ისე მოევლება, როგორც ეს დემოკრატიულ, ცივილიზებულ ერს და ეთნოგრაფიულ ჯგუფს – ქართველებსა და ოსებს – რომ შეეფერება.

ეს დრო რომ დაჩქარდეს, ოპოზიცია, თუნდაც მისი გარკვეული ნაწილი, ეროვნულ საკითხშიც სწორ პოზიციაზე უნდა დადგეს და მთავრობას გვერდში ამოუდგეს. ამას არ იზამს – როგორც ითქვა, გაკოტრებად მიიჩნევს. მით უმეტეს, არ იზამს ნამინისტრალი ოპოზიციონერი. ის, რომ თავისი ასეთი პოზიციით ევროპელ კოლეგებთანაც ოპოზიციაში ჩადგა, არც ეს აწუხებს. მაგრამ *რომელ* კოლეგებთან – განა იმ ევროპაში ცოტანი არიან დემოკრატიულად მოყიამყრალენი?! აბა, საქართველო რატომ უნდა ჩამორჩეს მას?!

ნამინისტრალთა ოპოზიციაში ჩადგომა ჩვენთან პოლიტიკური მოდაა. როცა მინისტრი იყო, მოსწონდა მთავრობა. თუ არ მოსწონდა, რას შეეიდა მიგ – ვინმემ კალთა დააგლიჯა?! ახლა აღარ არის მთავრობის წევრი და არ მოსწონს. ოპოზიციაში ჩადგა და მთავრობის წინააღმდეგ ყიამყრალობს. ახალი მთავრობის მოლიდინშია – მინისტრობას გამოპკრავს სელს. არც საკუთარის შექმნაზე იტყვის უარს.

მერედა ამ იწილო-ბიწილოში საკუთარი მრწამსი, იდეოლოგია, მსოფლმხედველობა? ბოლოს და ბოლოს მოქალაქეობრიეი ვალი სამშობლოს წინაშე – თუ ყველაფერი ეს უმაქნისი, ცარიელი სიტყვების რახარუხია?!

რატომ ბატონო, ის *ისეთი* მოქალაქეა, ეს – *ასეთი!* მერე-და მათი *ქართველობა?!* უჰ, მოგცლია ერთი! ყველაფერი ეს მოიცდის, შე კაცო, სად წავა. რუსის არ იყოს, მგელი ხომ არ არის, ტყეში გაიქცეს.

კი მაგრამ ამ ჭიჭყინ-ყიამყრალობა-ლაზღანდარობაში საზოგადოებრივი დრო და ენერგია ფუჭად რომ იკარგება?! დიდი ამბავი, რა მოხდა მერე! დრო არა გვაქვს, თუ რა?!

ესეც ჩამორჩენილი ფეოდალური წყობიდან მომდინარე აზროვნების გადმონაშთიაო – ვთქვათ ასე და თავი დავიმშვიდოთ?!

ბურჟუა-კაპიტალისტი ძია სემი კი, რომელსაც თურმე კულტურა არა აქვს, – დრო ფულიაო – თავისი საქმიანობის ძირითად პირობად რომ გაიხადა, მუყაით, ბეჯით, ხელებდაკაპიწებულ შრომაში ყოველ წამს, მილიმეტრს, ცენტს უფრთხილდება და... ამიტომაც არის – ფანტიამშვილებისაგან განსხვავებით – მდიდარი და, მაშასადამე, ძლიერი და უძლეველი.

და ასეთი ძია სემი პრეზიდენტ საკაშვილის და დ. სანაკოევის „გარიგებას“ – თუ იგი საქმისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნია – მოიწონებს და მხარს დაუჭერს?!

გავიგოთ, შევიგნოთ, ბატონებო და ქალბატონებო, – ეთნიკურად ჭრელ საქართველოს სახელმწიფოში ქართველიც და არაქართველიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეა და რომ ორივეს უფლებებს ერთნაირად უნდა დაცვა.

არ არის ეს ადვილი საქმე. მით უმეტეს, იმ პოსტსაბჭოურ ვითარებაში, სადაც ჩვენს შორის არსებულ არაქართველთა შორის ისევ მძლავრად მოქმედებს ზემოთ აღნიშნული ნონსენსი, ბოროტების იმპერიიდან რომ მომდინარეობს, სადაც ვითომცდა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა, ფაქტიურად საბჭოთა ხალხების დაპირისპირებაში იყო გადაზრდილი.

კი ბატონო, ასე იყო! მაგრამ დღეს ხომ იმ იმპერიაში აღარ ვცხოვრობთ, საქართველოს სახელმწიფო ჩალით

დახურულად აღარ მიგვაჩნია და დემოკრატიისკენ — სრულიად მართებულად — მიეისწრაფვით. ასეთ სახელმწიფოში *არაქართველთა* უფლებები *ქართველთა* უფლებების თანასწორი უნდა იყოს. ამის მოწინააღმდეგე უბრალოდ ყიამყრალი კი აღარ არის, არამედ პირწავარდნილი ნაციონალისტი და, მაშასადამე, ქვეყნის აშკარა მტერია. ყველა, ვინც არ უნდა იყოს იგი.

არც ეს არის საჭიჭყინო და საკამათო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე მცდარი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ. აჭარა აჭარლებით იყო და არის საქართველო. აფხაზეთი აფხაზებით და ქართველებით და „სამხრეთ ოსეთი“ ოსებით და ქართველებით არ არის აჭარა.

მაგრამ არც სტალინის მიერ *გამოჭრილი* „აფხაზეთის ასსრ“ და „სამხრეთ ოსეთის აო“ არ იყო და არც არის „აფსაზეთი“ და, მით უმეტეს, აშკარა ნონსენსი „სამხრეთ ოსეთი“. მაგრამ ისტორიულად *თავიანთ* და არა მთელ აფხაზეთშიც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ *გარკვეული რაოდენობის* აფხაზები და ოსები. აი, სწორედ ამ — და სხვათა — არაქართველთა უფლებებია დასაცავი, დასაკმაყოფილებელი. და რაც უფრო სრულად გავაკეთებთ — თუ როგორ, ითქვა ზემოთ — ამას საქართველოს *დემოკრატიულ* სახელმწიფოში, მით უკეთესი ამ სახელმწიფოსათვის ანუ მისი *ყველა* მოქალაქისათვის. ვიმეორებთ ისევ — ეს სახელმწიფო კი ეროვნული, საქართველოს სახელმწიფოა და არა ფედერაცია ან იმპერია. ეს არის, ბატონებო და ქალბატონებო, ძირითადი და უმთავრესი.

დიახ, აფხაზეთი არ არის აჭარა. სადაც მიუხედავად დიდი ცდებისა, შოვინისტურმა რუსმა ვერ გააკეთა ის, რაც დიდი წარმატებით აფხაზეთის ასსრ-ში და „სამხრეთ ოსეთის“ აო-ში მოიმოქმედა. გააკეთა იმიტომაც, რომ ერთსაც და მეორესაც ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი მოძმე მოსდგამდა.

სსრკ-ის დროს ამ მოძმის საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება იმ რუსს არ დასჭირვებია. გლობალური რუსიფიკაციის იმედი ჰქონდა. ის მიაჩნდა სტრატეგიულ გეგმად. კავშირის დაშლამ ვითარება მკვეთრად შეცვალა და დასჭირდა. რაც მოიმოქმედა, ცნობილია.

ცნობილია ისიც, რომ ამღვრეულ წყალში ყველა თავისი ღლაეის დაჭერას ცდილობდა. ახლაც ცდილობს. არაფერი მოულოდნელი ამაში არ არის. ქართველებმაც იგივე ვცადეთ – იმ ნონსენსის, საბჭოური აეტონომიების ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით გაუქმება. „ეროვნული მთავრობის“ ამ ნაჩქარევ, გაუაზრებელ, მამასადამე, გაუმართლებელ ნაბიჯს შედეგიც შესაფერი მოჰყვა – მწარედ შევცდით. ეს შეცდომა დღესაც თავის ავ საქმეს აკეთებს. აფხაზიც და ოსიც მას ჩვენ წინააღმდეგ „ჯერის ტუზად“ ხმარობს. ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში, მომხდარს თუ მთლიანობაში, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით განვიხილავთ. არადა – პოლიტიკურად ბეცები ვიქნებით. არიან კიდეც „პატრიოტ“-ოპოზიციონერები, ზ. გამსახურდიას „ეროვნული მთავრობის“ ხიბლისგან – არ ვამბობთ, ფანატიკურად განწყობისაგან – დღესაც რომ ვერ დაეღწევიათ თავი...

დიახ, თანამოძმე მოსდგამთ. და არა მარტო მათ, აჭარლებსაც – ლაზების სახით. მოსდგამთ და რუსმა სწორად გათვალა – აჭარაში კონფლიქტის გაღრმავება, აფხაზურად აფეთქება მისთვის ხელსაყრელი არ იყო. რაც გააკეთა საკმარისი არ გამოდგა. წააგო. ქართველი „პატრიოტი“, საბჭოური „აეტონომიის“ „ფეოდალი“ რუსეთში შეიფარა – *აეოს – პრიგოდიტსჯა.*

და თუ ეს ყველაფერი – და სხვაც მრავალი – პატიეცემულმა ოპოზიციამ – ოფიციალურმაც და არაოფიციალურმაც – იცის, ძალიან კარგი! მაგრამ სად ჩანს, რა ამტკიცებს ამ ცოდნას?! პირიქით, არც თუ იშვიათად

მიუტევებელ უცოდინარობას ამკარად ამეღავნებს.

საქართველო სამუზეუმო ქვეყნად სურთ გადააქციონო, საჯაროდ მოგვახსენა საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მთავრობისეული გეგმითაც უკმაყოფილო ევროპულად განათლებულმა ქ-ნმა ზურაბიშვილმა. ჩვენ ესეც ხელმოცარულიპოლიტიკოსის ოპოზიციურ ყიამყრალობად და... – თუ რად მიგვაჩნია, ჩვენ არ ვიტყვით, ობიექტურმა მკითხველმა განსაზღვროს.

როგორ, განა მან არ იცის საერთაშორისო ტურიზმის არა მარტო ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადამიანთა შორის პირადი კავშირების დამყარებაში უდიდესი მნიშვნელობა?! ეს ხომ დაუჯერებელია!

ნუთუ მან მარილა არ იცის თუნდაც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ტურისტულ-მეცნიერული – არა მარტო ქართული, საერთაშორისო ძალებით – შესწავლა რა ვვებერთელა სამომავლო შედეგებს სახავს სწორედ რომ უძველესი ქართული ცივილიზაციის ჭეშმარიტი – და არა ცრუპატრიოტული – არსის გასარკვევად?! ეს ხომ ჩვეულებრივი, ობიექტური, გონებაგახსნილი მოქალაქისთვისაც ცნობილი რამ არის. მაშ, რა ხდება?!

ის, რაც იმ ცივილიზებული ევროპის გარკვეული პოლიტიკური წრეებისთვისაც, სამწუხაროდ *ისევ* არ არის უცხო – ქულების დაგროვება თავის მომხრე-მიმდევრებში. თუნდაც საფრანგეთში ლე პენი მეტყველი მაგალითია. საკითხში გაურკვეველ, უცოდინარ მიმდევრებში.

მაგრამ ეს რომ დანამაულია საფრანგეთშიც და საქართველოშიც იმ შენი მომხრეების და ქვეყნის წინაშე, ამას ვერ ხვდები?!

რით გავამართლოთ ტურიზმის დაწუნება? საბჭოური სინამდვილით ხომ არა, როდესაც სტალინის მიერ „სოციალისტური“ *კავშირის* დაგმანული კარები მისმა მემკვიდრეებმა – იძულებულნი რომ გახდნენ – მაინც რომ

მახინჯად გააღეს და მასში – იქითაც და აქეთაც – მხოლოდ მათთვის სასურველს რომ გააგარებდნენ?! იქნებ ნაციონალური თავისთავადობის დაცვით?! მაგრამ ასეთი „დაცვაც“ წმინდა ნაციონალისტური ღონისძიება რომ არის, ვერც ამას ხვდები?!

ის ტურისტი, შენი სასწაულად შემორჩენილი სვანური კოშკების და შატილის სანახავად ფული რომ გადაიხადა და გეწვია, აქ დარჩენას რომ არ აპირებს, არც ეს იცი?! და თუ დააპირა, საქართველოს მოქალაქის ზემოთ განხილულ სტატუტთან და სტატუსთან რომ ექნება საქმე, არც ეს იცი?! და თუ იმ ტურისტმა შენს საქართველოში შენთვის მიუღებელი რამ ჩაიდინა, შენ, კულტურულმა და ზრდილობიანმა, თავაზიანად შენიშნე და თუ საჭირო გახდება, კანონს მოუხმე.

და ის ფული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ სვანსა თუ სევსურს ანუ სრულიად საქართველოს მთიანეთს მოახმარე. თუ შენ – ვითომ მიჭირსო – მაგრამ იმ მთიელთან შედარებით მაინც გაცილებით უკეთეს საყოფაცხოვრებო პირობებში რომ ცხოვრობ, ეს – პატრიოტსა და ქვეყნის მოყვარეს – არ გაწუხებს?! სანამდე შეინარჩუნოს თავისი უტეხი ბუნებით სვანმა და ხევსურმა საქართველოს თავისი მამაპაპისეული ნაწილი?! ერთ დღესაც გუდა-ნაბადი რომ აიკრას და ბარში ჩამოსახლდეს, საყვედური გვეთქმის?!

მერედა იმ მიტოვებული ანუ დანგრეული და გაერანებული უშგულის და არხოტის სანახავად ის ტურისტი მაინც გეწვევა, როგორ ფიქრობ?!

და როდესაც ყველაფერი ეს – და სხვაც მრავალი – იმ ქვეყანაში, სადაც დიდი ხნის წინათ დაწერეს „არ გავცელი სალსა კლდეებსა...“-ო, დღეს სალაპარაკო და დასამტკიცებელი რომ გამხდარა, რას ნიშნავს ეს?! მხოლოდ ერთს – ამ ქვეყნის ამჟამინდელი გარკვეული, გნებავთ, „ინტელიგენტური“ ნაწილის აშკარა, რბილად

თუ ვიტყვით, გადაგვარებას; რომ ამ ქართველების შედარებაც კი არ შეიძლება იმ ქართველებთან.

და თუ ყოველივე ამას ჩაუფიქრდები, ქვეყნის პრობლემებს დამომავალს ობიექტურად განიხილავ,ადვილად მიხვდები, როდესაც საქართველოს სახელმწიფო პროგრესული ძალების — მათში ეს ტურისტიც შედის — მხარდაჭერით თავის ტერიტორიულ მთლიანობას და სრულ სასელმწიფოებრიობას დე იურე და დე ფაქტო აღიდგენს, მას ვერავინ და ვერაფერი დაშლის. დიახ, — თითსაც ვერავინ დააკარებს! ეს „როდესაც“ კი კარს არის მომდგარი.

მაგრამ ის „სრულ“-ი პირველ რიგში შინაურ თანხმობას, ერთიანობას, წესრიგს, დემოკრატიას და პროგრესული გზებით სვლას ნიშნავს. დემოკრატია კი ეჩო არ არის, სულ თავისკენ რომ მიითალოს.

დიახ, ვერაფერი დაშლის. ქართველი ხალხი დღეს უკვე ის *ჩიტი* აღარ გასლავთ, ვინმემ *ისევ* თავის მუჭში რომ გამოიჭიროს. „დაიწვა“ ის „სოციალისტური“ ჩალა, აქამდე რომ ჰხურავდა ჩვენს *სახლს*.

და თუ ეს ყველაფერი პატივცემულმა ოპოზიციამ — ოფიციალურმაც და არაოფიციალურმაც — იცის და მოეხსენება, სად ჩანს ეს ცოდნა, იქნებ მათ საქმიანობაში, სიტყვა-პასუხსა თუ ტონში?!

ტონი აკეთებს სიმღერასო, ფრანგები ამბობენ. ჭეშმარიტად. მერედა როგორ „მღერის“ ეს ჩვენი ოპოზიცია?! ისე, თითქოს არსებული ხელისუფლება მის წინაშე ვალშია და „ვარდების“ რევოლუცია რაღაც დასაგმობი მოვლენა იყოს. ისე,თითქოს საქართველოს ორიუკანასკნელი პრეზიდენტი დამნაშავე იყოს პირველის მიმართ.

ხმამაღლა, გადაჭრით, ყველას გასაგონად უნდა ითქვას: — ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც საქართველოში 1985 წლიდან მოყოლებული მოხდა, ქვეყნის წარმმართველი ძალების მოქმედების შედეგად მოხდა.

ამ ძალებისადმი საგარეო ძალების მხარდაჭერით მოხდა. დიახ, გაიმარჯვა ძლიერმა. სრული კანონზომიერებით.სწორედ ეს გახლავთ საქართველოში მომხდარი რევოლუციური გარდატეხის საფუძველი.

დიახ, სრული კანონზომიერებით. ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნებით, პოლიტიკური შეგნებით, პროგრესული ძალების მხარდაჭერით მოხდა და არავის წინაშე ამ ხალხს და მის ხელისუფლებას დანაშაული არ მიუძღვის და მოსანანიებელიც არაფერი აქვს.

შედეგები ამ გარდატეხისა სახეზეა – რეალური, საქმიანი, მჭიდრო კავშირი პროგრესულ დასავლეთთან და არა აგრესიულ რუსეთთან.

კანონზომიერად, და არა შემთხვევით, გაწყდა ფეოდალურ-მონარქიულად დაშლილი და დაბეჩავებული საქართველოს მიერ რუსეთთან კავშირის გზა, 1783 წელს – და უფრო ადრეც – რომ ჩაისახა. გაწყდა არა ქართველი ხალხის ნებით და სურვილით, არამედ იმპერიული რუსეთის უგუნური პოლიტიკის გამო.

დაბეჩავებული სწორედ ამ ქვეყნის მმართველი ძალების, რბილად თუ ვიტყვით, გადაგვარების გამო. მაშ, რას ნიშნავს თუ არა გადაგვარებას, როდესაც უკიდურესად გაჭირვებულ, აშკარა კატასტროფის წინაშე მდგომ შენს *სამეფოს,* ქვეყანას, ხალხს *მიატოვებ* და სხვას – იმ რუსეთს – შეეხიზნები?! დღეს კი, იმ ძალების დამცველი, გადმომდგარხარ და ხალხს ჭკუას ასწავლი?! ჯერ ერთი, როგორ *ჭკუას* და მერე რა უფლებით?!

არავისთან, არც შიგნით და არც გარეთ – არც იმ ჩრდილოელ მეზობელთან – ქართველ ხალხს სამგრო და საკონფლიქტო არაფერი აქვს. არავის წინაშე, არც შორეულ, არც უახლოეს წარსულში, მას – არც შიგნით, არც გარეთ – დანაშაული არ მიუძღვის. მაშ, რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ვინმეს წინაშე, რატომ უნდა ველაპარ-

აკოთ, ენებავეთ, შინაურს, ენებავთ, გარეულს, ენამოიჩლექით, ვის და რატომ უნდა ველოლიაეოთ და ველოლიალუროთ?!

დემოკრატია ლობიობა არ არისო, სწორად თქვა ჯ. იოსელიანმა. მაგრამ უბედურებას ის ქმნიდა და ქმნის, რომ არც იმ გარდატეხის წლებში და არც ახლა ბევრმა არ იცის, რა არის დემოკრატია.

საიდან უნდა გვესწავლა? – წიგნიდან, სხვისი გამოცდილებიდან. *ჩვეულებრივი* კაცთმოყვარეობაც სხვისგან გვესწავლება?!

ის, რაც ჯ. იოსელიანმა სამეგრელოში ჩაიდინა, რომელ დემოკრატიაში, რომელ კაცთმოყვარეობაში ჯდება?! არც ერთში.

გადაყვნენ კიდეც ამ არცოღნას.

ამასობაში ცნობა გავრცელდა, ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ქ-ნი ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებისთვის ემზადებაო. რატომაც არა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ამის უფლება ხომ ყველას, თითქმის ყველას აქვს.

თვალსაჩინო იგი თავისი ნამინისტრალობისა და ტელევიზორის ეკრანზე ხშირად რომ ჩანს, მხოლოდ ამიტომ კი არა, საკუთარი პარტიისა თუ საზოგადოებრივი მოძრაობის მფლობელიც რომ არის, და მისი პროგრამით – პრეტენციოზულად „საქართველოს გზას“ რომ უწოდებს – ძველი და ახალი არისტოკრატიის აღდგენადაწესებას და თურმე საქართველოში არსებული პრეზიდენტ სააკაშვილის ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ესპანელი მონარქის, ხუან კარლოს ბურბონის გამოცდილებას რომ გვთავაზობს მაგალითად, იმიტომაც არის.

ჩვენი თვალსაჩინო ოპოზიციონერი გასული წლის 5 ოქტომბრის არჩევნებში თავის პროგრამიანად რომ *ჩაფლავდა*, ეგ არაფერი, მომავალ არჩევნებამდე ეს „ფლავი“ ხალხს – მისი აზრით – დააავიწყდება კიდეც.

კარგს იზამს, იმ გამოცდილებიდან ფაშისტი გენერალ ფრანკოს მაგალითსაც თუ გაიხსენებს, სისხლში რომ ჩაახშო ესპანელი ხალხის რესპუბლიკა და ბოლოს ის ბურბონიც ტახტზე რომ დააბრძანა. გაიხსენოს და საქართველოშიც – რაც დიდად საეჭვოა – ან მის გარეთ, იქნებ მსგავსი ვინმე გამოძებნოს.

ასე რომ, აბა, ჰე, თქვენ იცით, ფეოდალურ-მონარქიული საქართველოს შინ თუ გარეთ შემორჩენილო უკანასკნელო მოჰიკანებო – მთელი ძალები დაძაბეთ, ესპანეთს თუ სხვაგან შეხიზნული ბაგრატიონების დიდი არა და გახუნებული, მაგრამ მაინც რაღაც სახელი მიზანშეწონილად გამოიყენეთ – განსაკუთრებით თქვენსავით *ჩამორჩენილად* მოაზროვნე ხალხის გასაბრიყვებლად; რაღაც ფულს ალბათ გაიღებენ, ის ბურბონიც – შესაძლებელია სხვებიც კი – ხელის (და სხვა რამისაც?!) შეშველებას, ალბათ, არ დაიზარებს და – თუ შემოგრჩათ – თქვენს ქონებასთან ერთად საარჩევნო კომპანია-კამპანიის შექმნა-წარმართვას მოახმარეთ. იმედია, ქართველურად არ გაფანტავთ.

მოახმარეთ და გაიმარჯვეთ. აბა, სხვაგვარად კანდიდატურის წამოყენებას რა აზრი აქვს – მხოლოდ პატიემოყვარეობის ჭიის ახვანცალება?!

დიახ, გაიმარჯვებთ და ქართველი ხალხი პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ოვაციას გაგიმართავთ ანუთავის მოწონებას, აღფრთოვანებას, აღტაცებას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით კოლექტიურად გამოხატავს. აბა, თუ ასე არა, ხომ თავი მოგვეჭრა და შევრცხვით იმ, ჯერ კიდევ არსებული მონარქიული ევროპის თვალში.

მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე – მზისქვეშეთში,

მოგეხსენებათ, რა არ ხდება, – რომ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებულმა და პრეზიდენტად გასულმა, შემდეგ იმ ხალხის ნება საერთოდ გეერდზე გადასდო და ის პრეზიდენტობა სულ სხვა რამეზე გადაცვალო. თუ ამის ნება დაგრთეს, რასაკვირველია.

დემოკრატიულ არჩევნებშიო... მაგრამ ხომ არ არის ასეთი დემოკრატია – თავისი ოპოზიციით – მართლაც, ლობიობა?! ჭეშმარიტი დემოკრატია კი – ესეც კარგად ცნობილია – ის გახლაეთ, როდესაც სახელმწიფოში ხელისუფლება იურიდიულადაც და ფაქტიურადაც ხალხს ეკუთვნის. ხალხს ანუ ამ სახელმწიფოს ექსპლუატაციის, ჩაგვრისაგან თავისუფალ მოსახლეობას...

ქნი სალომეს მოგვარე, თუმცა არც ისე, მაგრამ მაინც თვალსაჩინო – ტელევიზორის ეკრანზე ხშირად კი ჩნდება, მაგრამ მისდა სასახელოდ, არც *საკუთარი* პარტია აქვს და არც არისტოკრატიის აღდგენას რომ არ გეპირდება – ოპოზიციონერი არ აპირებს პრეზიდენტობას?! სხვა, ასევე თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო ოპოზიციონერებირას ფიქრობენ? ჯერ არ ვიცით. გავიგებთ.

დააპირონ. ხელს არავინ უშლით. მაგრამ მთავარი ის არის – ესეც არაერთხელ ითქვა – რას და რა გზით გეთავაზობენ.

უმთავრესი კი ის არის – ესეც ცნობილია – ოპოზიციამ პირველ რიგში თავი შეიცნოს ანუ თავისი დანიშნულება გაარკვიოს, განათლების – ძირითადად პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ანუ მსოფლმსედველობრივი – დონე აიმაღლოს, დემაგოგია-ყიამყრალობას მოეშვას და თუ ბუტაფორიად გადაქცევა არ სურს, ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე აკეთოს. გასაკეთებელი და დასაძლევი არ გვაკლია.

რა თქმა უნდა, ვიცით. მაგრამ „ბუტაფორიის“ მნიშვნელობაც გავიხსენოთ. არ გვაწყენს. – „1. თეატრალური წარმოდგენისათვის საჭირო საგნები (ავეჯი, ტანისამოსი, იარაღი ან

სსვა), ნამდვილს მიმსგავსებული. 2. მაღაზიის ვიტრინებში გამოსაფენი ყალბი საგნები – ნამდვილი, გასაყიდი საქონლის ნაცვლად".

არადა, – ესეც კარგად მოგეხსენებათ – მსოფლიო „ქარავანი" თავისი გზით მიდის. მიუხედავად ადგილობრიეი და საერთაშორისო *ოპოზიციონერების* დიდი წინააღმდეგობისა, მაინც პროგრესული გზით...

Terminus post quem non
2.VIII.2007.

მინაწერი (მ.): 9 აგვისტოს ქ. თბილისის მერმა, ბ-ნმა გ.უგულავამ სამი დღის წინ რუსეთის თვითმფრინავების მიერ საქართველოს სახელმწიფოს საჰაერო სივრცის დარღვევის პარლამენტის ორად გაყოფილი ოპოზიციის შეფასებას ქვეყნის ღალატი უწოდა.